

ყვარლი

გამოცემის 1932 წლიდან

ფასი 80 თეთრი

გიორგი გახარია – ისტორიას, გუნებას, გომბრაზიას, სამზარეულოს, ღვინოს, რიტაჲ გავაცანით მსოფლიოს საქართველო, უნდა დავუმატოთ, რომ სხვაბთან შედარებით, ეფექტურად ვმართავთ ინფრასტრუქტურას



უნდა ვიმუშაოთ ბევრი, რომ სტანდარტები დავაკმაყოფილოთ, მაგრამ არ უნდა დაგვავინყდეს და ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ვირუსი, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, გიორგი გახარიამ იმერეთის რეგიონში ტურისტების სექტორის წარმომადგენლებთან შეხვედრისას განაცხადა.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, ეს კრიზისი საქართველომ უნდა გამოიყენოს, როგორც ეკონომიკური თვალსაზრისით გამარჯვების და წარმატების შესაძლებლობა ქვეყნისთვის.

„უნდა გვახსოვდეს ვირუსი და აქეთ ბევრი უნდა ვიმუშაოთ იმისთვის, რომ დავიზღვიოთ, პირველ რიგში, ჩვენი თავი, თანამოქალაქეები, ჩვენი ხანდაზმულები და, რა თქმა უნდა, სტუმრები. არ არის ეს ხმამაღალი სიტყვები. საქართველო“

გაგრძელება მე-2 გვ. -ზე

მთავარია, რომ ახალგაზრდებთან კონტაქტები გავხადეთ ცოცხალი, რამაც კარგი შედეგი მოგვიტანა

საქართველოს მასშტაბით, პირველად ყვარლის მუნიციპალიტეტის ადგილობრივმა ხელისუფლებამ ახალგაზრდების ადგილზე დასაქმების მიზნით სპეციალური პროექტი შეიმუშავა და მისი განხორციელებისთვის ბიუჯეტიდან 170 ათას ლარამდე გამოყო.



ყვარლის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის პროექტის შინაარსის დეტალურად გარკვევის მიზნით გაზეთ „ყვარლის“ პირველივე ნომერში დაიბეჭდა ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის დავით ქვეციშვილის ინტერვიუ. ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე და მუნიციპალიტეტის მერი როსტომ სესიაშვილი შეხვედრენ პროექტის მნიშვნელობაზე ესაუბრნენ მუნიციპალიტეტის სოფლებში მცხოვრებ ახალგაზრდებს, სადაც მათ გამოუხატეს მის მიმართ დიდი ინტერესი და მასში მონაწილეობის სურვილი.

პროექტის დაწყებიდან ოთხი თვე გავიდა – ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს დავით ქვეციშვილს ვთხოვეთ მისი მიმდინარეობისა და რეალური შედეგების თაობაზე ინფორმაცია მოეწოდებინა გაზეთ „ყვარლისთვის“.

– ბატონო დავით, ვირუსული ინფექციის გლობალურად გავრცელებისა და მსოფლიო კრიზისის ფონზე რა ბედი ეწვია ახალგაზრდული სტრატეგიის პროექტს და კმაყოფილი თუ ხართ მისი განხორციელებით და არსებული შედეგებით?
– როგორც მოგეხსენებათ, მიმდინარე წელს საკრებულოს სხდომაზე

დავამტკიცეთ ახალგაზრდული სტრატეგია, ანუ ახალგაზრდების ხელშეწყობის პროგრამა, რომელიც არის 4 წლიანი გეგმა, ანუ ჩარჩო ხელშეკრულება, სადაც ავიღეთ ვალდებულება ახალგაზრდებისთვის შევქმნათ ხელი.

გაგრძელება მე-2 გვ. -ზე

კახეთის გუბერნატორი და ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი ფერმერებს შეხვდნენ

15 მაისს, კახეთის გუბერნატორი ირაკლი ქადაგიშვილი და ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი, როსტომ სესიაშვილი ყვარლის მუნიციპალიტეტში ფერმერებს შეხვედრენ და სასოფლო – სამეურნეო სამუშაოების მიმდინარეობას გაეცნენ.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კახეთში სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის, აღნიშნული პროგრამა თითოეული ფერმერისათვის, სტიმულისა და იმპულსის მომტანი იქნება.

ხელისუფლების წარმომადგენლებმა მთავრობის ანტიკრიზისული გეგმა სოფლის მეურნეობის მიმართულებით, „ზრუნვა ფერმერსა და სოფელზე“ გააცნეს და მათგან საგაზაფხულო სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია მოისმინეს.

„როგორც მსხვილი, ასევე საშუალო და მცირე კატეგორიის ფერმერი ამ ხელშეხებაში პროგრამის სიკეთის მიმდებარეობას“, – აღნიშნა მხარის სახელმწიფო რწმუნებულმა.

ირაკლი ქადაგიშვილის განცხადებით, მთავრობის ანტიკრიზისულ გეგმას სოფლის მეურნეობის მიმართულებით,

ფერმერების განცხადებით, მთავრობის მხრიდან ამ პროგრამის განხორციელება მისასალმებელია და არის დიდი ალბათობა იმისა, რომ ბევრ ახალგაზრდას ფერმერული საქმიანობის დაწყების სურვილი გაუჩნდება.



ყვარლის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობა საოცარი ტემპით ვითარდება, მთავრობის ანტიკრიზისული პროგრამა კიდევ უფრო ხელს შეუწყობს დარგის აღმავლობას

„სოფლად ფერმერებმა უნდა გააგრძელონ მუშაობა და არ უნდა დარჩენ დაუმუშავებელი მიწა. ეს არის მთავარი მიზანი. გარდა ამისა, შემდეგი მიზანი, რაც სისტემური გამოწვევაა სოფლის მეურნეობის დარგისთვის, არის დარგის ინდუსტრიალიზაცია. ჩვენ გვჭირდება ინდუსტრიული სოფლის მეურნეობა და პროდუქტიულობის ზრდა. ეს ის გამოწვევებია, რომლებსაც წლებია ვებრძვი, სადაც გარკვეული წარმატებები გვაქვს“ – განაცხადა საქართველოს პრემიერ მინისტრმა გიორგი გახარიამ სოფლის მეურნეობის ანტიკრიზისული გეგმის პრეზენტაციის დროს.



როგორც წარმოდგენილი გეგმიდან ირკვევა, მთავრობა ფერმერებს მნიშვნელოვან დახმარებას სთავაზობს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა მიმართულებებით არსებული პრობლემების მოგვარებისა და მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევისათვის.

საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ ანტიკრიზისულ გეგმაში და საერთოდ სოფლის მეურნეობის დარგის წარმატებული განვითარებისათვის შემოღებულ პროგრამაში ფერმერთა დაკავალანების მიზნით ინტერვიუ ვთხოვეთ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყვარლის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსს მამუკა ბერიაშვილს.

უცნაურად დასრულებულ სასწავლო წელს ვულოცავ ყველას...



COVID-19 გავრცელების პრევენციის მიზნით, ქვეყნის მასშტაბით, ყველა სკოლაში ტრადიციული სასწავლო პროცესი სექტემბრამდე შეჩერდა და ამის ალტერნატივა კი ონლაინსწავლება აღმოჩნდა.

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების პრაქტიკა ადასტურებს, რომ რიგ სფეროში ონლაინ განათლება უფრო წარმატებულად ახდენს ფაქტობრივი პრობლემების გადაჭრას, ვიდრე ტრადიციული განათლება, ასევე, ონლაინ სწავლება არა მხოლოდ უზრდვება პოპულარობით, არამედ იქცა სასურველ ფორმატადაც და მრავალმა ადამიანმა უკვე გაცნობიერა, რომ ინტერნეტი და სწავლების უახლესი ტექნოლოგიები გვთავაზობენ თანამედროვე განათლების ხელმისაწვდომობას, ჩვენი ქვეყნის განათლების სისტემა კი ამ მიმართებით სერიოზული გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა.

გაგრძელება მე-4 გვ. -ზე

– ბატონო მამუკა, ყვარლის მუნიციპალიტეტის ფერმერებისა და მცირემშენიან მეპატრონეთათვის რა დახმარებას სთავაზობს სახელმწიფო ანტიკრიზისული გეგმა?
– ანტიკრიზისული გეგმით სახელმწიფო ფერმერებს სოლიდურ დახმარებას სთავაზობს, რომელიც ეტაპობრივად განხორციელდება და მათი მეშვეობით ფერმერებს შეეძლება სასოფლო-სამეურნეო კულტურებიდან

უფრო მსხვილი მილიონ. კონკრეტულად შემუშავებულია შემდეგი პროგრამები: სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრეთა სტიმულირება; აგროდონორული ხელშეწყობის პროგრამა; 2012-2019 წლებში სამელიორაციო მომსახურების დაგეგმვის ჩამოყალიბება; 2020 წელს სამელიორაციო მომსახურების საფასურისგან გათავისუფლება; მერძეეობის დარგის მოდერნიზაციის და ბაზარზე წვდომის სახელმწიფო პროგრამა; ტექნიკური დახმარების პროგრამა; აგრონარმეობის ხელშეწყობის პროგრამა; დანერგე მომავალი – წვეთოვანი სარწყავი სისტემის დაფინანსება; აგროდაზღვევა; შეღავათიანი აგროკრედიტი; კოოპერატივების მხარდაჭერა.

გაგრძელება მე-15 გვ. -ზე

გიორგი გახარია – ისტორიას, ბუნებას, გეოგრაფიას, სამხარეულს, ღვინოს, რითაც გავაცანით მსოფლიოს საქართველო, უნდა დავუმატოთ, რომ სხვაბთან შედარებით, ეფექტურად ვმართავთ ინვესტიას

დასაწყისი 1-ელ გვ. -ზე

ლო, ბოლო წლების განმავლობაში, ჩვენი, ყველას ერთად ძალისხმევით შედეგად, ტურისტულად მნიშვნელოვანი ქვეყანა გახდა მსოფლიოში. ყველამ იცის უკვე საქართველო, როგორც ტურისტულად მნიშვნელოვანი ქვეყანა. საქართველოს მიმართულებით უკვე დიდი ნაკადებია ტურისტული. ეს ყველაფერი, რაც აქამდე გვექნა, რაზეც ავაგეთ ჩვენი რეკლამა, რითაც გავაცანით მსოფლიოს საქართველო, ისტორია, ბუნება, გეოგრაფია, სამ-

ზარეულო, ღვინო, ამას ყველაფერს უნდა დავუმატოთ, რომ ჩვენ, სხვებთან შედარებით, ეფექტურად ვმართავთ ინვესტიას. ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ ბრენდი საქართველოსი, ტურისტული ქვეყნისი, უნდა გაძლიერდეს იმით, რომ ეს ხალხი კოვიდსაც არ შეუშინდა, იმასაც ეფექტურად მართავენ და კოვიდისგან სუფთა ქვეყანაა. ეს შესაძლებელია, მხოლოდ და მხოლოდ, ერთად. კონკრეტულად თქვენ რაც გეხებათ არის შემომხმებები, რომ სასტუმროები მაქსიმალურად გაიხსნას. ეს ჯაჭვი ერთმანეთს უკავშირდება – გახ-

სნილი სასტუმრო თუ არის და თუ აკმაყოფილებს ნორმებს, მეტი ტურისტი მოდის, რესტორნებს მეტი სამუშაო აქვთ, სოფლის მეურნეობაში გლეხს მეტი სამუშაო აქვს იმიტომ, რომ მეტი კიტრი და პომიდორი და ყველაფერი იყიდება. ტურიზმი, შიდა იქნება თუ უცხოური, აგენტირებს მოთხოვნას. ამ მოთხოვნას მეტი ყველა ერთად ვაკმაყოფილებთ, გლეხიდან დანაწევებული, სასტუმროებით და მფლობელებით დამთავრებული. ამიტომ ამაზე ყველა ერთად უნდა ვიმართოთ, – აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

მთავარია, რომ ახალგაზრდებთან კონტაქტები გავხადეთ ცოცხალი, რამაც კარგი შედეგი მოგვიტანა

დასაწყისი 1-ელ გვ. -ზე

ბოლო წლებში პირველად უპრეცედენტო თანხა 166 ათასი ლარი ავსახეთ, რომელიც უნდა მიმართულიყო სწორედ ახალგაზრდების დასაქმებისთვის, რათა ისინი ადგილზე დამაგრდნენ, არ გაეიდნენ რაიონიდან და შეძლონ სხვადასხვა მიმართულებით ცხოვრების განვითარება.

ვფიქრობთ საკმაოდ წარმატებით განხორციელდა, რამეთუ პირველივე კონკურსზე იყო დიდი გამოხმაურება ახალგაზრდებიდან.

ამასთან დაკავშირებით, შევექმენით სამუშაო ვაკუუმი და დავინყეთ მუშაობა სამართლიანი ბაზის შესაქმნელად, რადგან მუნიციპალიტეტს რაღაც ნაწილზე შეზღუდული აქვს უფლებები, არ გააჩნია და არ არის გრანტის გამცემი ორგანიზაცია, ასევე ჩვენ არ შეგვეძლო ფულადი სახსრები გადაგვეცა ახალგაზრდებისთვის თავიანთი იდეების განხორციელებლად. ამიტომ გამოვხატეთ სწორი მიმართულება და უშუალოდ ჩვენ შევისყიდეთ მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები, რომელიც შემდეგ გადაეცათ ახალგაზრდებს პროექტის ფარგლებში. აქ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ არ ვზღუდავთ ახალგაზრდებს იდე-



მერამ ერთობლივად ავიღეთ პასუხისმგებლობა, შევიძინავეთ ღონისძიებები, რათა სითულები დაგვექონა. მთავარია, რომ ახალგაზრდებთან კონტაქტები გავხადეთ ცოცხალი, რამაც კარგი შედეგი მოგვიტანა.

დღეს ჩვენ პირველად ვდგამთ სწორედ იმ ნაბიჯებს, სადაც ხაზი ესმება

– ახალგაზრდული პროექტის ფარგლებში 8 ახალგაზრდის მიერ ახორციელებული მიმართულება შევარჩიეთ და მოვახდინეთ მათთვის ტექნიკური საშუალებების და შესაბამისი მონაცემების შექმნა და გადაცემა. მათგან სამს გადავეცით სასაბურთე მეურნეობის მონაცემების შესაბამისი აღჭურვილობები, ერთს ჩირის სამზარეულო, ორ ახალგაზრდას ფუტკრის სკები და თავისი საწერი, ერთ ქალბატონს ერთფანტურიანი საქსოვი მანქანა.

– კიდევ რამდენ ახალგაზრდას გავწევა დახმარება მიმდინარე წელს?

– ბიზნეს გეგმის მომზადების სასწავლო კურსს გადიოდა 26 ახალგაზრდა, სამსუხაროდ, კრიზისული სიტუაციიდან გამომდინარე სწავლა შეწყდა. ვიმედოვნებთ, რომ შემოდგომიდან მოვეცემება საშუალება მუშაობის გაგრძელების. ამ პერიოდში ახალგაზრდები ჩამოყალიბდებიან და აირჩევენ ბიზნესის რომელიმე მიმართულებას, ჩვენ კი მათ დავხმარებით იდეის განხორციელებაში.

– კერძო კომპანიებში დასაქმების მიზნით თუ გაენათ რეკომენდაციები და რამდენმა ახალგაზრდამ მიიღო სამუშაო ადგილი?

– ბიზნეს გეგმის კურსების დამთავრების შემდგომ დაგვემილი გვაქვს ახალგაზრდები შევახვედროთ ყვარლის მუნიციპალიტეტის კერძო კომპანიების წარმომადგენლებს და ამ შეხვედრაზე გადავწყვიტოთ მათ დასაქმების პრობლემები.

– გვადლობთ ბატონო დავით, გისურვებთ წარმატებებს მეტად მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებაში. ესაუბრა ალექსანდრე გიგილიძემ



ებში, სხვადასხვა მიმართულებებში. მათ შეუძლიათ თავიანთი ფანტაზია, თავიანთი შეხედულება ნებისმიერ სფეროში განავითარონ. ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ აუცილებელი მომენტად ჩავენრეთ ჩვენს მიერ ბიზნეს კონსულტანტებთან გარკვეული პერიოდით შეხვედრები და მათი რეკომენდაციების გათვალისწინება სამუშაო პროცესში, მათთან ერთად მომზადება ბიზნეს გეგმის, რათა წინასწარ იყოს დაზღვეული სხვადასხვა რისკები ამ პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის.

პროექტის ხიბლი სწორედ ის არის, რომ შეუძლიათ ჩვენთან ერთად გაიარონ როგორც დოკუმენტაციის მოგროვების, ასევე გარკვეული მიმართულებების მკაფიოდ ჩამოყალიბების პროცედურები, რაშიც ბიზნეს კონსულტანტის, ასევე ჩვენი თანამშრომლების დახმარებით ვუწყობთ ხელს და მაქსიმალურად, დეტალურად მიგვყავს პროცესი ბოლომდე, რომ შემდეგ მან შეძლოს პრაქტიკულად დასახული იდეის განხორციელება.

პროექტის განხორციელება ბუნებრივია სირთულეებთან იყო დაკავშირებული, რამეთუ არ არსებობდა სამართლებრივი ბაზა და პრეცედენტიც არ იყო ქვეყნის მასშტაბით. საკრებულომ და

მუნიციპალიტეტის დამოუკიდებლობას, პასუხისმგებლობის აღებას, რაც მთავარი ნიშანი უნდა იყოს ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის.

– კონკრეტულად რამდენმა ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა პროექტის ფარგლებში და ბიზნესის რომელი მიმართულებები აირჩიეს?



ბრემის თემის ბენეფიციარებს სასურსათო პაკეტი გადასცეს

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერმა და კომპანია „ემ ბი ჯის“ ხელმძღვანელმა გრემის თემის ბენეფიციარებს სასურსათო პაკეტი გადასცეს. „დღეს სასურსათო პაკეტი გადავეცით გრემის თემის ბენეფიციარებს, რისთვისაც მინდა დიდი მადლობა გადავუხადო კომპანია „ემ ბი ჯის“-ს. მათი მხრიდან ეს არ იყო ერთფეროვანი დახმარება, კორონა ვირუსის პანდემიის დროს, აღნიშნულმა კომპანიამ ყვარლის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 100-მდე ოჯახისთვის პროდუქტი გადმოგვცა“. – განაცხადა როსტომ სესიაშვილმა.

ყვარლის მუნიციპალიტეტში, სასურსათო კალათების გაცემის მეორე ეტაპი მიმდინარეობს



სასურსათო კალათები სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებზე: უკიდურესად გაჭირვებული, მარტოხელა მოზუცებისა და შშმ პირთა ოჯახებზე გაიცემა.

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი, როსტომ სესიაშვილი ქ.ყვარელში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ ოჯახებში იმყოფებოდა და სასურსათო კალათები თავად გადასცა. მიმდინარეობს სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისთვის პროდუქტების გაცემის მეორე ეტაპი, ასევე დასრულდა საბავშვო ბაღების აღსაზრდელთა ოჯახებისთვის პროდუქტების გაცემა, საერთო ჯამში, მუნიციპალიტეტმა აღნიშნული ოჯახებისთვის და საბავშვო ბაღის აღსაზრდელებისთვის 5000 სასურსათო კალათა შეიძინა.



ყვარელში 9 აპრილის სკვერის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

ქალაქ ყვარელში, 9 აპრილის სკვერის სრული რეაბილიტაცია მიმდინარეობს. აღნიშნული პროექტის ღირებულება 184799 ლარს შეადგენს. სარეაბილიტაციო სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შ.პ.ს. „ზანაძე“ ასრულებს.

ვერავინ წარმოიდგენდა თუ მსოფლიო ასეთი პანდემიის წინაშე დადგებოდა, სამწუხაროდ, ხუთი თვით ბოლომდე ვერ მოხერხდა ამ უხილავი მტრის დაპარება. ყველაზე მეტად კი დაზარალებულნი არიან მთელი მსოფლიოს მცხოვრებლები. საქართველო კი ერთ-ერთი გამონაკლისი და წარმატებული ქვეყანა აღმოჩნდა ვირუსის წინააღმდეგ ბრძოლაში და ეს ქვეყნის ხელისუფლების და ჯანდაცვის სისტემაში მომუშავე ექიმებისა და მედიკოსების დამსახურებაა. ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს დაზარალებულთა დასახმარებლად, ემიგრანტების სამშობლოში დასაბრუნებლად, ზრუნავდა და ზრუნავს ხანდაზმულებზე, სოციალურად დაუცველებზე. უნდა ვიმედოვნოთ, რომ მალე დადგება ის დროც, როცა ვიზიტები ამ უხილავი მტრის დამარცხებას და ყველა ჩვენთვის ახლებურ ცხოვრებას დაიწყებენ.

ჩვენთანაც არიან ჰუმანური ადამიანები, რომლებიც უშურველად გასცემენ სიკეთეს ასაკს მიღწეულ, უფრო და უპატრონო ადამიანებისთვის.

ეს ქალბატონი ყვარელში მცხოვრები მამარჯანი მარჯანიძეა, მისი ქველმოქმედი საქმიანობის შესახებ არაერთხელ დაბეჭდილია რაიონულ გაზეთშიც, და აგერ უკვე ოთხი წელია და დღესაც კი ამ კორონა ვირუსის აფეთქების პერიოდში მათ გვერდითაა, დღე და ღამე მათ ზრუნავს და მოვლა პატრონობაში ატარებს. მისი ბენეფიციარები თავიანთ „მამა-მარჯანებს“ ასე ახასიათებენ, - თამარი ჩვენთვის არის დედაც, მამაც, ძმაც და დაც. ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს და დიდი ძალა მისცეს უფალმა, რომ ჩვენ მოგვხედოს და მოგვიაროს, არის კარგი ბუნების ადამიანი, მოღვნილი და ყოველთვის ფორმადი და რაც მთავარია, ჩვენს მიმართ ყურადღებიანი ქალბატონი. თუ რაღაც გადამწყვეტა ამ სახსრისთვის მოეკიდა ხელი თავად გაიმბობთ.

– ქალბატონო თამარ, არაერთხელ დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში თქვენი კეთილშობილი საქმიანობის შესახებ, მაგრამ უკვე ოთხი წელია კიდევ შეასხვინოთ ჩვენს მკითხველს პირველად როდის და როგორ დაიწყეთ ამ ჩანაფიქრის განხორციელება? თავიდან ვინ გავიკვლიათ გზა და ვინ დაგეგმათ გეგმა?

– 2017 წლის 15 თებერვალს გაზეთ „ყვარელში“ გამოქვეყნდა ჩემი წერილი სათაურით „გახდა ქველმოქმედი, დახმარე ხალხს“. ამ წერილის გამოქვეყნებას ჩვენი რაიონის შექმნილი ოჯახის პატრონებისა და ბიზნესმენებისათვის არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონია, ხელმისაწვდომი გახდა მხოლოდ მათთვის, ვინც არსებული ეკონომიკური კრიზისის გამო გამოუვალ მდგომარეობაში არიან ჩანაფიქრისთვის. მაშინ ძალიან ბევრმა ბენეფიციარმა მომაკითხა – ისინი მივიღე და დღემდეც მაკითხავენ. ჩემთვის ამ მხრივ არავის გაუჭვლიტა გზა. ეს გზა მე თვითონ გავკვალე. ეს იყო და არის ჩემი კეთილი ნება, რაშიც მენდობა და დიდი იმედი მაქვს ყოველსაქმელე უფლისა. იმ ავადსახსენებელმა 2013 წლის მინისის ვინაში ძალიან დამაზარა. საცხოვრებელი სახლის აღმოსავლეთი მხარე ისე დაზიანდა, რომ სახურავი ჩაივარდა. მას შემდეგ როგორც ვარცხნილი, ისე ვივინო რამოდენიმე თვისაში. ჩემთვის გამოყოფილი თუნუქი სხვას ვაგაბანეს. ამ მხრივ ძალიან გულმარტუნი ვარ.

– რამდენი ბენეფიციარი გყავთ ამჟამად და ძირითადად რას უჩივიან ისინი, როგორ და რა ფინანსების ხარჯზე იკვებებიან?

– დღის მდგომარეობით მყავს ცხრა ბენეფიციარი, ესეუნი შემინდა, ზაღა ნაცვლიშვილი – ახალსოფლიდან, ცისანა შარბიძე – თბილისიდან – გამოთვლილი მათემატიკური ინსტიტუტის აკადემიკოსი, ქეთევან კიკლაშვილი – სავანის რაიონიდან – დიასახლისი, ცისანა ჯიშ-

კარიანი – წყალტუბოს რაიონის სოფელ გუმათიდან – ზოტაქეციკოსი, თინათინ ხუციშვილი – საბუედან – დიასახლისი, ზინა კოჩუაშვილი – თბილისიდან – თბილისის სავაჭრო ცენტრის ყოფილი მთავარი ბუღალტერ-ეკონომისტი, მაყვალა ბუჯიაშვილი – ყვარლიდან – ექთანი, ჟენია ტალიურიძე – თელავიდან – საქოვი ფაბრიკის ტექნოლოგი, ტიგო ცერცვაძე – კაზრეთიდან – ხელოსანი.

ჩემი ბენეფიციარები არაფერს არ უჩივიან. თუმცა ერთი 91 წლის ზინა კოჩუაშვილი, რომელსაც ძმის შვილმა კერძო ბინა გაუყიდა და პენსიის ნახევარიც რამოდენიმე წლით შეუჭამა, – მოატყუა, – მთავრობა ახალ ბინას მოგცემო და მოიყვანა რამოდენიმე თვით, მაგრამ 1, 5 წელიწადია აღარ ჩანს. ღმერთმა უწყის სად არის – დღის მდგომარეობით ეს პიროვნება თელავის რეფერალურ საავადმყოფოში გადაყვანილი, ვერც ფეხზე დგებდა და ხელით ვაჭმევდი, მიძიმე ავადმყოფია. ვარსაუხაროდ ვერავითარ ნათესავებს ვერ მივაკვირე. რაც შეეხება დანარჩენ ბენეფიციარებს არიან მშვიდად. კვებას ძირითადად მათი სახლისი შემოსავლით ვახერხებ, არ აკლიათ სითბო, სუსუფთავე, (მჭირდება ძალიან დიდი რაოდენობით პამპერსები). თუ რამე მჭირდება და არა მაქვს, ამას მე განვიცდი – მათ რომ ვუთხრა, რა აზრი აქვს, საიდან მომიტანენ. მათ ჩემი მხრიდან არაფერი არ აკლიათ. აკლიათ მხოლოდ ხალხის სიყვარული და თანადგომა (ცოტათი მაიც დახმარება).

ვერ ავიწყობ რა ძალიან რთულ საქმეს მოვიკიდე ხელი. ჩვენი უბნის ექიმი ქალბატონი ქეთევან ხვიჩია მეტყვის ხოლმე – თამარი, მენ უფალმა გამოგარჩია, მან იცოდა, რომ შენ ამას შეძლებდი და გვერდშიც დაგიდგა – დიდება უფალს. – შენი გადარჩენაც იმ ურთულესი ოპერაციის დროს უფლის ნება იყო. მე მჯერა, რომ სადაც ვაგაფიქრებდა, იქ უფალი აუცილებლად გვერდით დაგიდგებაო.

დიდ მადლობას ვუხდის ჩემს ექიმს ქეთევან ხვიჩიას, რადგან ყოველთვის უხარია ჩვენთან მოსვლა და ჯანმრთელობის მხრივ ბენეფიციარებისა საუბარი. მართლაც ასეა – დიდება ყოველსაქმელე უფალს – ისეთ ძალას მძალეობ, რომ მიუხედავად იმედ სირთულეებისა, მზად ვარ ამითვე უარესებიც ავიყვანო, თუ კი ხელმეწილად მექნება (დაფინანსება ან დახმარება) რომ შევიძინო საწოლები, ლოჯიანი, თეთრეული, რომ მათ თავი კომფორტულად იგრძნონ. ამჟერად ექვსი ბენეფიციარი თხოულობს მიღებას, მაგრამ ვერ ვღებულობ უსახსრობის გამო. ესენი ჩვენი რაიონის მცხოვრებლები არიან.

– გაიკეთეთ ურთულესი ოპერაცია. ექიმებმა ყველაფერი იღონეს თქვენს გადასარჩენად. თქვენი დღევანდელი საქმიანობა ხომ ფიზიკურ დატვირთვასთანაც არის დაკავშირებული. როგორ ართმევთ თავს?

– კითხვაზე გიპასუხებთ – ძალიან რთული ოპერაცია გვიკეთებ განსაკუთრებით გულის არეში, სადაც ჩემი გადარჩენის იმედი ერთი პროცენტზეც არ იყო. საოპერაციო მაგიდაზე მოვედარე, მაგრამ ისეც და ისეც უფლის ნებით მე გამოვცოცხლდი – თვითონ ექიმებმაც გაუკვირდით. მე კიდევ დამრჩა ოპერაცია გასაკრებელი „სტენდირება“, რომელიც ოპერაციის შემდგომ აუცილებლად 1 ან



მე მათი ჰჭირდება



1, 5 თვეში უნდა გაკეთებულიყო, მაგრამ ვერ მოვიცალე იქ ნასასულელად. არ გიცი, დაიჯერებთ თუ არა. მე კი მჯერა და მწამს ყოველსაქმელე უფლისა. ორი წელი გახდებოდა ოპერაციის გაკეთების დღიდან. ჩემთან ერთად ვინც ოპერაციები გაკეთდა, დღესაც დადიან კოლსულტაციის ცენტრში ვართ. ვინც ვერ ვიყავი თბილისში კონსულტაციებზე. მას შემდეგ აღარც ნახსულვარ და არც არავითარ ნამუბებს არ ვეხვებო, რადგან გულის მხრიდან ამჟამად არაფერი არ მანუხებს. არის თუ არა ეს უფლის ნება?

მიუხედავად იმისა, რომ დამხმარე არ მყავს (სად მაქვს ფული, რომ დამხმარე ავიყვანო და ხელფასი მივცე) ამ ფიზიკურ დატვირთვას თავს ვართმევ, (ძალიან ბევრს უჭირს სახლში ერთი მოხუცის მოვლა-პატრონობაც კი). ამ მხრივ ჩემს მოხუცებს კარგად აქვთ საქმე. (თუმცა არც მე ვარ პატარა ასაკის).

– როგორ პირობებში გყავთ პენსიონერები და ამჟამად თუ გეხმარებიან ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები, ან ქველმოქმედი ორგანიზაციები?

– ჩვენს პანსიონატს „ოჯახური გარემო“ ჰქვია – რომელიც ნამდვილად ამართლებს თავის სახელს. თავს ძალიან კარგად გრძობენ. ვისაც ეჭვი ეპარება იკითხონ, ან თვითონ მოვიდნენ და ნახონ. ჩვენი სახლის კარი ყველა კეთილშობილისთვის ღიაა.

რაც შეეხება თქვენსკითხვას გვეხმარებიან თუ არა რაიონის წარმომადგენლები. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ გვეხმარება ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი ბატონი როსტომ სესიაშვილი, თავისი სიტყვის კაცია და უკეთილშობილესი პიროვნება. როგორც კი ერთ ზარს გაუშვებ, მაშინვე მპასუხობს – ქალბატონი თამარ, ხომ მშვიდობაა – ძალიან ბევრი რამით მოგვამარაგა და დიდ ყურადღებას იჩენს ჩვენს მიმართ (ბოლოს-დაბოლოს რაიონში მარტო ჩვენ ხომ არ ვართ) ქვეყანა თხოვლობს დახმარებას, ყველა მას შეჰყურებს, ყველა მისი გასასატყურებელია. მიუხედავად ამისა, ჩვენთვის დიდი იმედია ბატონი როსტომ სესიაშვილი. ღმერთმა გამოგვიგზავნა ასეთი კეთილშობილი პიროვნება.

რადგან დამხმარებაზე მიდგა საქმე, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა ვუთხრა სასტუმრო „როიალ ბატონის“ ხელმძღვანელს, თელაველ კაცურ კაცს, ბატონ გოცა ცხატაშვილს, რომელმაც პანსიონატისთვის გარკვეული რაოდენობის თეთრეული და პირსაწმენდები გამოგვიგზავნა.

მადლობას იმსახურებს ყვარლის საფარო მალაზია „ემბაველის“ ხელმძღვანელი ქალბატონი მაია ბუჯიაშვილი, რომელმაც საჩუქრად გამოგვიგზავნა კომოდი და კომპიუტერის მაგიდა. კომოდი ნამდვილად მჭირდებოდა და კიდევაც მჭირდება მათი ტანსაცმლისა და თეთრეულის შესახებ. ამასთანავე, დიდ მადლობას ვუხდის თქვენს ბიზნესმენ ქალბატონ თამარ ბურკიაშვილს, რომელმაც გულთან ახლოს მიიტანა უპატრონო და უსახლკარო მოხუცთა ბედი და შეძლებისდაგვარად დაგვეხმარა, გაზეთ „ყვარლის“ თანამშრომლებს, რომელთაც სისტემატურად უწევთ გაშუქება ჩვენი „ოჯახის“ საქმიანობის შესახებ, ყვარლის კულტსახლის ხელმძღვანელობას და თანამშრომლებს (მათ გაჭირვების დროს შემთხვევით მოგვამარაგებს).

– როგორ მოხდენილია სატელევიზიო არხ „რუსთავი-2“-ის ეთერში, „ნანუკა მოუმი“ და სატელევიზიო არხ „ფორმულაში“?

რამდენიმე ხნის წინ „რუსთავი-2“-ის ეთერში მე ვნახე სიუჟეტი თუ როგორ ეფერებოდნენ უპატრონო ძაღლებს, რომლებიც თავშესაფარში არიან. დაგრეკე და განაცხადა – ძალიან კარგია, რომ უპატრონო, მიუსაფარ ძაღლებს ასეთი მფარველები გამოუჩნდით, თუ გიფიქრიათ უპატრონო და უსახლკარო მოხუცებზე, რომლებიც თავმფარებულები არიან, – გაუკვირდათ, ჩაიჭრეს მისამართი, ჩემი გვარ-სახელი, ტელეფონის ნომერი და ჩამოვიდნენ. თურმე არ სჯეროდათ, რომ ყვარელში ცხოვრობდა ისეთი ქალბატონი, რომელიც ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე უფლდა უპატრონო და უსახლკარო მოხუცებს. როგორც სოუჟეტად გავიგე, თურმე წინასწარ ყველგან გადაუმონებიათ – ეს ბიზნესი იყო თუ ვინმე თანხებს მიხვდითა და ჩუმად, დამატებით. რადგან ეს ასე არ იყო, მათაც ვაგადაიღეს. მეორე დღეს კი სხვა ტელევიზიის არხი „ფორმულა“ გვეწვია. ეს იყო 2020 წლის 1 მაისი. გაცოცხლდა გერმალადენი, იძახოდნენ რატომ აქამდის ვერ გავიგეთო.

ამ სიუჟეტის გასვლის შემდეგ ძალიან ბევრი ადამიანი ლოცვა დიდებით გვიხსენიებს, – დიდი მადლობა მათ – მაგრამ კაცი არ გამოჩნდა ისეთი, რომ გულთან ახლოს მიიტანოს ამ მოხუცების მდგომარეობა და შეძლებისდაგვარად ჯიბეზე ხელი მოსვათ. (ისე როგორ უჭირთ ამ მთლიან ბიზნესმენებს?). სიუჟეტის გასვლის შემდეგ ტკბილესი და სხვა საკვები პროდუქტებით გაუმასპინდლდნენ მოხუცებს ქალბატონი ნელი აგურაშვილის და ქალბატონი ნინო ბუბიძის რძლები, რისთვისაც დიდ

მადლობას ვუხდის მათ. ასევე ნინო კუსიან – არჯვენიშვილს, რომელიც ძალიან ხშირად გვაკითხავს. თავისი ხელფასით ხელცარიელი არასოდეს არ მოდის. ამათაც ძალიან უყვართ ნინო, რადგან მისგან განხიზღვრულები არიან.

– დღეს ქვეყანა და მთელი მსოფლიო ამ უხილავი მტრის – კორონა ვირუსთან ბრძოლაშია ჩართული. რა იქნება მომავალი, არავინ ვიცით, თქვენ რას ფიქრობთ, კიდევ თუ აპირებთ ამ საქმის გაგრძელებას, რამეთუ ჩვენი ეკონომიური მდგომარეობაც ალბათ არ იქნება სახარბიელო.

– სახლიდან ერთი საათითაც რომ გავდივარ საქმეზე, ისე მელიდობიან, როგორც ბავშვები მშობელს. მათ ჩემი დიდი იმედი აქვთ. ღმერთმა დიდხანს აცოცხლოთ, მაგრამ სამი ბენეფიციარი მთლად უპატრონოა და რამე რომ მოუვიდეთ, ეს-ვალე ვეფიქრობ როგორ, რა გზებით უნდა მივხედო ამ საქმეს, მაშინ როცა არც ერთი თეთრის დაფინანსება არ მაქვს (ბენეფიციარების პენსიის გარდა). მპატიოს, მაგრამ ისეც და ისეც ბატონ როსტომ სესიაშვილის იმედი მაქვს.

რაც შეეხება თქვენს კითხვას ვაპირებ თუ არა მომავალში ამ საქმის გაგრძელებას, გიპასუხებთ: მართალია, მთელი მსოფლიო პანდემიასთან ბრძოლის ფერხულშია ჩაბმული და ჩვენც ამ ფერხულს შევერთოდით უკვე სამი თვეა, – ბატონმა როსტომ სესიაშვილმა საკვებით მომარაგებასთან ერთად მოგვამარაგა პირბადეებითა და სადეზინფექციო ხსნარებით, რისთვისაც კიდევ ერთხელ ჩვენი პენსიონერების სახელით დიდ მადლობას ვუხდით მას. ჩვენც ჩემი ბენეფიციარებიანად ცხელ კარანტინში ვიმყოფებით. (ასეთი ავადმყოფებისათვის ხომ ყოველი დღეც კარანტინია). ამ უხილავ მტერთან დაკავშირებით ლექსიც დავწერე და მოხუცებთან ერთად ვიმღერე. სიმღერა ორივე ტელევიზიაში ძალიან მოიწონა, ჩაწერეს კიდევ, მაგრამ არც ერთმა არხმა სიმღერა ბოლომდე არ გააშუქა, დროში შეზღუდულობის გამო. რაც შეეხება ეკონომიურ მხარეს, – ეჭვი არ მებარება, რომ მოსახლეობას ხელაც გვიჭირს და ვირუსის შემდეგაც ეკონომიურად უფრო გაჭირვდება, მაგრამ თამამად ვიტყვი, რომ ბოლომდე მათ სამსახური ვიქნები.

ესენი დღესაც და მომავალშიც ჩემი ოჯახის წევრები არიან და იქნებიან. ოღონდ ჩემთან იყვენ და მზად არიან ყველაწინარი გაჭირვება აიტანონ. მე არ შემოძლია და არც ვაპირებ გაჭირვების დროს ჩემი მოხუცები ვინმეს გადავუგზავნო და ამ კეთილშობილურ საქმეზე უარი ვთქვა (ადამიანი მაშინ ხარ, თუ ყოველგვარ სიძინესს გაუმკლავდები და გაიმარჯვებ). ის კი არა და, ვაპირებ რაოდენობის გაზრდას. დღეს თუ ცხრანი არიან (არ ვიცი, რა ძალა მაქვს, რომ ასეთი შემართებით ვარ), მზად ვარ 15-20 კაცამდეც გაზარდო რაოდენობა, თუ რა თქმა უნდა, ხელშეწყობა მექნება – დახმარების სახით.

მე ეს ხალხი მაცოცხლებენ. უფლება არ მაქვს დავიზარო და დავილალო. მე მათ ვჭირდები. მართალია ძალიან რთული მოსავლულები არიან, მაგრამ მზად ვარ უარესსაც ვაგუძლო.

ყოველი შემთხვევისთვის ვაქვეყნებ ჩვენი „ოჯახური გარემოს“ ანგარიშის ნომერს, რომელიც ლიბერთი ბანკშია გახსნილი GE – 14 – LB 0115178883638000.

ჩვენ კი, – ამბობენ ბენეფიციარები, კვლავ დაგრძობთ ამ სახლში, დავიწყებით ქალბატონ თამარის და კეთილი ადამიანების იმედზე და უფლდაც ჩვენთან ერთად იქნება.

ესაუბრა ღალი ტატულიშვილი

P.S. იმედი, ამ სტატიის გასვლის შემდეგ პანსიონატში მყოფ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოხუცების დასახმარებლად გამორჩედიან ისეთი ადამიანები, რომლებიც მათი ყოფა-ცხოვრების პირობებს ცოტათი მაინც შეამსუბუქებენ.

ქალს, სოფლის ჩასახვევში ექვსიოდ წლის გოგონა ახლავს... ავტობუსს ულიან.
– გამარჯობათ, დეიდა! სოფელში მიდიხართ? – ჰკითხა ახალგაზრდა, ბავშვიან ქალს ოციოდ წლის გოგონამ და ქერა თმის ბულოლი ხელით უკან გადაყარა... ლურჯ თვალებში მზე უბრწყინავდა.
– კი! – მიუგო ბავშვიანმა ქალმა.
გოგონამ ჩანთიდან წიგნი ამოიღო, მოსაცდელში მდგარ სკამზე ჩამოხა, წიგნი გადაშალა...
– „რა ლამაზია!“ – გაიფიქრა ბავშვმა, – „ნეტავ, მეც ასეთი ვიყო!“... ინატრა.
არ გავიდა 2-3 წუთი და მოსაცდელს ბიჭები მიუახლოვდნენ... კამათობდნენ... გოგონამ წიგნიდან მზერა მათკენ გადაიტანა...
ბიჭებმა კამათი უნაბედა. მათი კონფლიქტი ჩხუბში გადაიზარდა. ბავშვი შემინდა, დედას მიეკრა...
... ბიჭებმა ერთმანეთისკენ გაიხიეს. ბავშვიანმა ქალმა წამიერად გაიფიქრა: „ბავშვით მანიც არ ვიყო!“... ამის გაფიქრება ძლივს მოახერხა... გოგონამ სკამზე მიაგდო წიგნი... მოჩუბებულს შუაში ჩაუდგა...
– არ ქნათ ეგ, ბიჭებო! – გაშლილი ხელისგულით, მეკრდზე, ერთი – ერთს მიაღო, მეორე – მეორეს! შერცხვათ... ერთმანეთს შეეშენენ... ავტობუსიც

მოვიდა. ბავშვი ნატრობდა! „ნეტავ, მეც ასეთი გავიზარდო, რა ლამაზი და უშოპიანო!“ და თან თვალს ჩაფიქრებულად გოგონასაკენ აპარებდა.
სალამით, დედა მუხობლის ქალს უყვებოდა:
– რა კარგი რძალი ყოლია შალვა გაფრინდამშვილს, რა თავგანწირული.
– „თავგანწირული! ნეტავი მეც თავგანწირული გავიზარდო!“ – ინატრა ბავშვმა.
... გავიდა წლები... სოფელში ამბავი მოვიდა: „შალვა გაფრინდამშვილს, თბილისში რომ ჰყავს ბიჭი ჩასიძებულო, ძალიან ცუდი რამე შეემთხვაო!“... „რაო?! – იკითხა ქალმა.
– მეზობლის სახლს ცეცხლი გაჩენია. სახლში მოხუცი ქალი და ორი ბავშვი ყოფილა. შალვას რძალი შევარდნილა, ბავშვები გამოუყვანია, მოხუცის გამოსაყვანად უკან შებრუნებულს, ცეცხლდაკიდებული ბოძი დასცემია და მოხუცთან ერთად, ცეცხლში დამწვარა... ბავშვი უკვე ბავშვი აღარ იყო... სტუდენტი იყო,

თავგანწირული მოთხრობა

ოციოდ წლის... მალულად მოიწმინდა ღამეზე ჩამოგორებული ცრემლი... – ნეტავ, მეც შემეძლია სხვისთვის თავგანწირვა! – ინატრა...
... გადიოდა წლები... გოგონა უცნობი ადამიანის ცხოვრებით ცხოვრობდა... ებრძოდა უსამართლობას... უნუგეგმოს მალამოდ ედებოდა...
გადიოდა წლები... დაქალდა... ათასგვარი სიღუფეები, ვაება გამოიარა, მაგრამ არ შეცვლილა... ბავშვითი შთაბეჭდილება და სიტყვა – „თავგანწირული“, მუდამ თან სდევდა...
ერთ დღეს ქმარი მალაზიამ გადავიდა. თვითონ მანქანაში ზის და ქუჩას გაჰყურებს...
ბიჭების კამათი შემოესმა... დავობდნენ... ქალი დიდაბა: – იჩუბებენ! – გაიფიქრა, გულმა ჩხვლეტა დაუნყო. მანქანის კარი გახსნა, გადავიდა... მოსაცდელი გახსენდა... ბულოლათმებიანი გოგონა დაუდგა თვალწინ...

– არ გინდათ, ბიჭებო! – იყვირა და მოჩუბებულს გაშლილი ხელით შუაში ჩაუდგა!
... დანიანმა მოქნილი ხელი ვეღარ შეაჩერა და...
... ქმარი, სასეუ ჩანთით, მალაზიიდან გამოვიდა... გაოცებულმა გაიხედა შეგუფებული ხალხისკენ... ცოლი მოემბედა თვალებით... მანქანაში ვერ დაინახა...
– „ავსუს, რა თავგანწირული ადამიანი ყოფილა!“ – თქვა შუახანის ქალმა...
... კაცს ჩანთა ხელიდან დაუვარდა... სისხლით დასერილი ცოლი მიწიდან აიტაცა, მკლავებზე გადაისვენა...
... ქალმა, ერთი წამით თვალი აახილა... პატარა გოგონა დაინახა... მზუნამდვარ, ლურჯ თვალებში ცრემლი უბრწყინავდა, შეგუფებული ხალხში მდგარ დედას მკლავზე მიეკრავდა...
... ქუთუთოები დაუმიძიდა... დალანდა... ცეცხლდაკიდებულ სახლში, ქერაბულილებიანი, ახალგაზრდა, ლამაზი ქალი, მოხუცის უძლურ სხეულს კარისკენ მიათრევდა...
სასწრაფო დახმარების მანქანიდან გადმოსულ ექიმს ხალხმა გზა დაუთმო...
იოზოლა იოსებანი

უცნაურად დასრულებულ სასწავლო წელს ვულოცავ ყველას...

დასაწყისი 1-ელ გვ. -ზე

ამ პერიოდში, ნათლად გამოიკვეთა და არაერთხელ აღინიშნა კომპეტენტური ადამიანების მიერ, რომ ციფრული ტექნოლოგიებისა და წიგნების განვითარება სერიოზული გამოწვევაა ჩვენი ქვეყნისთვის. მათგან ერთ-ერთი მთავარია ონლაინსწავლებისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურა – მოსწავლეებისა და მასწავლებლების წვდომა ინტერნეტსა და კომპიუტერზე. ასევე, პრობლემური საკითხია მასწავლებელთა ციფრული კომპეტენცია, რომელიც ხშირ შემთხვევაში სრულად ვერ პასუხობს ონლაინსწავლების მიმართულებით არსებულ გამოწვევებს.

– რამდენად მზად შეხვდა ყვარლის მუნიციპალიტეტის განათლების სისტემა ონლაინსწავლებას? ვადასტურებ, ასევე, რას გეგმავს და რა სიახლეებს ასეთ ვადასტურებ განათლების სამინისტრო, ამასთან დაკავშირებით გვესაუბრა ყვარლის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი ქეთევან ჭიჭიანიძე.

– როგორც მოგესწინებოთ, კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, ქვეყნის მასშტაბით, ყველა სკოლაში სასწავლო პროცესი ახალ 2020-2021 სასწავლო წელს დაიწყო.

განათლების სამინისტრომ რეკომენდაციით მიმართა სკოლებს, სასკოლო თემის შესაძლებლობების ფარგლებში მაქსიმალურად გამოიყენონ მათთვის ხელმისაწვდომი დისტანციური კომუნიკაციის არხები. ამდენად, სკოლები ახალი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდნენ – შესაძლებლობის ფარგლებში უზრუნველყონ მოსწავლეების დისტანციურად სწავლება. შექმნილი კრიზისმა კარგად დაგეგმვა, რომ ციფრული ტექნოლოგიებისა და წიგნების განვითარება სერიოზული გამოწვევაა არა მარტო ყვარლის მუნიციპალიტეტისათვის, არამედ მთელი ქვეყნისთვის... ონლაინ სწავლების პირველ ეტაპზე მრავალმა პრობლემამ და გამოწვევამ იჩინა თავი... პრობლემებს შორის უმთავრესი გამოწვევა ონლაინ სწავლებისთვის, შესაბამისი ინფრასტრუქტურა – მოსწავლეებისა და მასწავლებლების წვდომა ინტერნეტსა და კომპიუტერზე იყო.

გკონდა და გვაქვს უთანასწორობა ქალაქებსა და სოფლებს, სხვადასხვა სკოლას შორის, რაც მეტწილად ოჯახების სოციალურ და ეკონომიკურ სტატუსს უკავშირდება. მოსწავლეთა გარკვეულ ნაწილს არ აქვს ინტერნეტსა და კომპიუტერზე წვდომა, ხშირად ამ მართლაც პრობლემები არ არის თავად პედაგოგებსაც. სამწუხაროდ, მათი ციფრული კომპეტენცია ხშირ შემთხვევაში სრულად ვერ პასუხობს ონლაინსწავლების მიმართულებით არსებულ გამოწვევებს. ასევე, პრობლემაა ის საგანმანათლებლო რესურსების სიმცირე. ძალიან მწირია მშობელთა ჩართულობა, არადა კარგად ინფორმირებულ მშობელს შეუძლია, სათანადოდ მხარდაჭერა გაუწიოს შვიკს, დაეხმაროს, სულ მცირე, დღის რუტინის დაგეგმვასა და მართვაში.

– როგორ ფიქრობთ, ჩიანაცვლების ონლაინსწავლება ტრადიციულ სასწავლო პროცესს, ისე რომ ნეგატიურად არ აისახოს ეს პროცესი განათლების ხარისხზე?

– გასაგებია, რომ ამ პრობლემები და ამ დასაწყის ეტაპზე მალაი ხარისხის განათლების უზრუნველყოფა რთულია, მაგრამ დაბალი ხარისხის განათლების მიღება შესაძლებელია. ანუ, შესაძლებელია ის, რომ მოსწავლეები არ მიეცევიან სწავლების პროცესებს, წიგნებს. რაც შეეხება ტრადიციულ გაკვეთილებს, მას ალტერნატივა ძნელად მოეძებნება, განსაკუთრებით დაბალ საფეხურზე, მაგრამ სწავლა როდესაც განახლებდა, აუცილებლად გაავრცელებოდა ონლაინ გაკვეთილებსაც. ყველა ვხვდებით, რომ სამყარო სხვა განზომილებებში გადადის და ჩვენც ფეხი უნდა ავუსწოთ. ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში ვართ და მარტო ტრადიციული შორს ვერ წავალთ.

– როგორ დაინყებთ გამოწვევებთან გამკლავებას?

გამოწვევებთან გამკლავება მყისიერად დაიწყო: განათლების სამინისტროს რეკომენდაციების შესაბამისად სკოლებმა საკუთარი სასწავლო გეგმის მოდიფიცირება განახორციელეს ისე, რომ ერთნაირად სასწავლო გეგმის მიზნები იყოს მიღწეული.

ამ მიმართულებით, ეროვნული სასწავლო გეგმის ექსპერტებთან ერთად სამინისტრომ შეიმუშავა რეკომენდაციები, რომელშიც წარმოდგენილია კონკრეტული ინსტრუქციები და აქტივობები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.

რეკომენდაციების თანახმად, სკოლებს დაევალია მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო შედეგებით რესურსების მიწოდება უზრუნველყონ სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებები. ასევე, მნიშვნელოვანია, სკოლამ მოსწავლეთა დამოუკიდებელი სწავლების მხარდაჭერის მიზნით, ორგანიზება გაუწიოს მშობელთა ჩართულობასა და კონსულტირებას არდადეგების პერიოდში. შემუშავებული გეგმის ფარგლებში, ერთ-ერთი ალტერნატიული საკომუნიკაციო საშუალებას წარმოადგენს ტექნოლოგიების გამოყენებით დისტანციური სწავლების უზრუნველყოფა, TEAMS-ის პროგრამის მეშვეობით, რაც გულისხმობს დისტანციური სწავლების პროცესში Microsoft office 365-ის პროდუქტების გამოყენებას.

საუკეთესო პროექტი ჩაეშვა განათლების სამინისტროსა და საზოგადოებრივ მასშტაბზე თანამშრომლობით – „ტელესკოლა“. პროექტი ითვალისწინებს სკოლის მოსწავლეებისთვის ეროვნული სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ტელეგაკვეთილებს. „ტელესკოლა“ დისტანციური სწავლების ერთ-ერთი მთავარი ფორმატი გახდა, ის ყველა მოსწავლეს, განურჩევლად იმისა, აქვს თუ არა წვდომა ინტერნეტს, საშუალებას აძლევს, ნახოს/დაესწროს საინტერესო გაკვეთილებს ყველა საგანში.

საეთერო ბადე (გაკვეთილების ცხრილი) ყველა კლასის საგანს მოიცავს. პროექტი აბიტურიენტის საათსაც ითვალისწინებს, რომელზეც შესაბამისი დარგის სპეციალისტები აბიტურიენტებს ეროვნული გამოცდებისთვის უნდავენ კონსულტაციას.

უნდა ვითხარათ, რომ ყვარლის საჯარო და კერძო სკოლის მასწავლებლებმა ძალიან ენერჯიკი დაიბრუნეს და არც იმოუბნენ, რომ ონლაინ სწავლება წარმატებულად წარმოებოდა.



ლად წარმართად. სკოლის ყველა თანამშრომელი ჩართულია პროცესში. გარდა TEAMS-ის ვიდეოების ძალიან ბევრ სასწავლო პლათფორმას – მესინჯერს, ზუმს, სატელეფონო კომუნიკაციას. რითაც კი შეიძლება, რომ თვითოეულ მოსწავლეს დაეძლვივინოთ ეს-ის ის მოთხოვნა, რაც მის კლასს და საფეხურს შეესაბამება.

– შეფასების სისტემაზე რას გვეტყვი, ანუ, როგორ შეფასდებიან მოსწავლეები 2019-2020 სასწავლო წლის მეორე სემესტრში?

– მოგახსენებთ, რომ ცვლილება შევიდა ეს-ში და ვფიქრობ, რომ ეს ცვლილებები საინტერესო იქნება ჩვენი საზოგადოებისთვის, როგორც შეფასების კუთხით, ასევე სხვადასხვა მიმართულებით:

„საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მოქმედი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ 2019-2020 სასწავლო წლის II სემესტრში მოსწავლის შეფასების და 2019-2020 სასწავლო წლის მოსწავლის ნლიური შეფასების განხორციელების წესი:

1. მოსწავლის ნლიური შეფასება შეიძლება იყოს: განმსაზღვრელი და განმავითარებელი (დანყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე 31-ე მუხლით გათვალისწინებული შესაბამისი);

2. განმავითარებელი შეფასებისას მასწავლებელი აღწერს თითოეული მოსწავლის სასწავლო წლის განმავლობაში განვლილ საგანმანათლებლო პროცესს. ახასიათებს მის სუსტ და ძლიერ მხარეებს, ასაბუთებს თუ რის გაგება, გაზრება გაუჭირდა მოსწავლეს და რატომ, წახალისებს მოსწავლეს ძლიერ მხარეებს და განურჩევლად რეკომენდაციებს, სასურველი შედეგის მისაღწევად. დასახავს მომდევნო სასწავლო წელს განსახორციელებელ ღონისძიებებს, აქტივობებს და სხვა. შემოთავაზებული ვითარებელი შეფასება, მასწავლებელს

მომდევნო სასწავლო წელს თითოეული მოსწავლისთვის ეფექტიანი საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვის და წარმართვის შესაძლებლობას მისცემს. შეფასების დოკუმენტი მასწავლებელმა მოსწავლის მშობელს/ კანონიერ წარმომადგენელს უნდა გააცნოს და საჭიროების შემთხვევაში მასთან/მათთან ინდივიდუალურად მოხდეს დოკუმენტის განხილვა.

3. განმავითარებელი შეფასების პროცესში ფასდება მოსწავლის როგორც საკლასო ოთახში მიღებული გამოცდილება, ისე დისტანციური/ელექტრონული ფორმით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებებით მიღებული ცოდნა, მასალა, სასკოლო აქტივობები, განხორციელებული პროექტები და სხვა.

მოზარდის სარაკომუნდაციო დატვირთვის რეგულაციების განხორციელებაში პირობები

1. დისტანციური სასწავლო პროცესში მოზარდის ფიზიკური და ფსიქოლოგიური შესაძლებლობების გათვალისწინებით, სარეკომუნდაციო დატვირთვით (გაკვეთილებზე გატარებული ასტრონომიული საათების) მაქსიმალური რაოდენობა არის შემდეგი:

1-დან მესამე კლასის ჩათვლით – 1 საათი, მე-4 და მე-5 კლასებისათვის – 1 საათი, მე-6, მე-8 და მე-9 კლასებისთვის 1, 5 საათი და მე-10, მე-12 კლასებისათვის 2 საათი.

2. ონლაინ გაკვეთილების რეკომენდებული ხანგრძლივობა არის შემდეგი: I-IV კლასებში 20 წუთი;

V-IX კლასებში – 30 წუთი;

X-XII კლასებში – 40 წუთამდე.

3. რეკომენდებულია დღეში არაუმეტეს 3 გაკვეთილის ჩატარება.

4. დაგეგმილი გაკვეთილი უნდა შეიცავდეს სხვადასხვა ინტერაქტიულ ტექნი-

კას, მათ შორის 10-15 წუთიან შესვენებას ფიზიკური აქტივობით. პერიოდულად შეიძლება ჩატარდეს თვალის ვარჯიში, მაგ.: ეკრანთან მუხრის გადატანა შორს მდებარე საგანზე, თვალის 5-6-ჯერ დახამაზება.

ქულების გამომავალი ნაწილი დადგინდა რეგულაციების განხორციელებაში პირობები

1. განმსაზღვრელი შეფასების და ნლიური ქულის გამოყენების მიზნით, მოსწავლის 2019-2020 სასწავლო წლის ნლიური ქულად სკოლის მიერ თითოეული მოსწავლისთვის განისაზღვრის ქვემოთ ჩამოთვლილი შესაძლებლობები:

ა) მოსწავლის 2019-2020 სასწავლო წლის I სემესტრში მიღებული ქულა;

ბ) მოსწავლის 2019-2020 სასწავლო წლის I სემესტრის ქულის და 2019-2020 სასწავლო წლის II სემესტრის პირველი ექვსი კვირის განმავლობაში გავლილი პროგრამის და დისტანციური/ელექტრონული ფორმით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებებით ცოდნის შეფასების (იმ შემთხვევაში, თუ სკოლას აქვს დისტანციური გამოკითხვის შესაძლებლობა) საფუძველზე მიღებული შეფასებული ქულის საშუალო არითმეტიკული (დამრგვალებული) მთელის სიზუსტით);

გ) V კლასის II სემესტრის შემთხვევაში – 2019-2020 სასწავლო წლის II სემესტრის პირველი ექვსი კვირის განმავლობაში გავლილი პროგრამის და დისტანციური/ელექტრონული ფორმით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებებით მიღებული ცოდნის შეფასების (იმ შემთხვევაში, თუ სკოლას აქვს დისტანციური გამოკითხვის შესაძლებლობა) საფუძველზე მიღებული შეფასებული ქულის საშუალო არითმეტიკული (დამრგვალებული) მთელის სიზუსტით);

დ) (იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს 2019-2020 სასწავლო წლის I სემესტრის



შეფასება არ აქვს) მოსწავლის 2019-2020 სასწავლო წლის II სემესტრის პირველი ექვსი კვირის განმავლობაში გავლილი პროგრამის და დისტანციური/ელექტრონული ფორმით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებებით მიღებული ცოდნის შეფასების (იმ შემთხვევაში, თუ სკოლას აქვს დისტანციური გამოკითხვის შესაძლებლობა) საფუძველზე მიღებული შეფასებული ქულის საშუალო არითმეტიკული, რომელიც დამრგვალებულია მთელი სიზუსტით ან 2019-2020 სასწავლო წლის II სემესტრში დისტანციური სწავლების პროცესში მიღებული ცოდნის შეფასების (იმ შემთხვევაში, თუ სკოლას აქვს დისტანციური გამოკითხვის შესაძლებლობა) საფუძველზე მიღებული შეფასებული ქულის საშუალო არითმეტიკული (დამრგვალებული მთელის სიზუსტით).

შენიშვნა. სკოლა თავად განსაზღვრავს მოსწავლის შეფასებისას რომელ შესაძლებლობას/შესაძლებლობებს გამოიყენებს. სამინისტრო და რესურსცენტრები მეთოდოლოგიურ მხარდაჭერას გაუწევენ სკოლებს.

2. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს (გარდა XII კლასის მოსწავლისა), რომელსაც კონკრეტული კლასის თითოეული საგნის ნლიური ქულა (დამრგვალების შემდეგ) აქვს 5. 0 ან მეტი და მიღებული აქვს ჩათვლა 31-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ საგნებში, რაც აძლევს მას მომდევნო კლასში გადასვლის უფლებას, სურვილი აქვს ამაღლოს ნლიური შეფასება:

ა) მოსწავლე/მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი 2020 წლის 16 ივნისიდან – 2020 წლის 30 ივნისის ჩათვლით მიმართავს სკოლის ადმინისტრაციას ნებისმიერი ფორმით (განცხადება, ელექტრონული ფოსტა, სატელეფონო შეტყობინება) და კონკრეტულ საგანში/საგნებში აფიქსირებენ ნიშნის/ნიშნების ამაღლების სურვილს.

ბ) სკოლის ადმინისტრაცია 2020-2021 სასწავლო წლის დასაწყისში კონკრეტული საგნების მიხედვით განსაზღვრავს შემაჯამებელი კომპლექსური დავალების შესრულების და შეფასების ვადებს. თითოეული საგნის მასწავლებელი მოსწავლის/მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე იწყებს მოსწავლისთვის შემაჯამებელი კომპლექსური დავალების მომზადებას. სკოლა ვალდებულია, მოსწავლეს წინასწარ გააცნოს შემაჯამებელი კომპლექსური დავალება/დავალებები და კონსულტაცია გაუწიოს მოსწავლის მშობლებს/მშობლებს პროცესში.

გ) მოსწავლის შემაჯამებელი კომპლექსური დავალების შეფასება მასწავლებელმა უნდა მოახდინოს 2020-2021 სასწავლო წლის I სემესტრის სემესტრული ქულის და ნიშნების მიხედვით.

დ) მოსწავლის 2019-2020 სასწავლო წლის ნლიური ქულად განისაზღვრება შემაჯამებელი-კომპლექსური დავალებაში მიღებული ქულისა და მოსწავლის ამ მუხლის 1-ლი პუნქტის რომელიმე ქვეპუნქტის შესაბამისად განსაზღვრული ნლიური ქულის საშუალო არითმეტიკული (დამრგვალებული მთელის სიზუსტით).

3. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს (გარდა XII კლასის მოსწავლისა), რომელსაც კონკრეტული კლასის რომელიმე საგნის ნლიური ქულა (დამრგვალების შემდეგ) აქვს 5. 0-ზე ნაკლები და/ან არ აქვს მიღებული ჩათვლა 31-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ საგნებში:

ა) სკოლის ადმინისტრაცია 2020 წლის 1 სექტემბერამდე მოსწავლეს აძლევს შემაჯამებელი-კომპლექსური დავალების შესრულების და შეფასების საშუალებას დისტანციური/ელექტრონული ფორმით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებებით მიღებული ცოდნის შეფასების (იმ შემთხვევაში, თუ სკოლას აქვს დისტანციური გამოკითხვის შესაძლებლობა) საფუძველზე მიღებული შეფასებული ქულის საშუალო არითმეტიკული (დამრგვალებული) მთელის სიზუსტით);

ბ) (იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს 2019-2020 სასწავლო წლის I სემესტრის

წლის ნლიური ქულად განისაზღვრება შემაჯამებელი-კომპლექსური დავალებაში მიღებული ქულა.

4. თუ IX კლასის იმ მოსწავლეს, რომელიც ასრულებს საფუძველურ საბაზო საფეხურს და გადის ზოგადი განათლების სისტემიდან და სურს საგნის ნლიური ქულის ამაღლება:

ა) 2020 წლის 16 ივნისიდან 2020 წლის 19 ივნისის ჩათვლით, მოსწავლე/მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი მიმართავს სკოლის ადმინისტრაციას ნებისმიერი ფორმით (განცხადება, ელექტრონული ფოსტა, სატელეფონო შეტყობინება) და კონკრეტულ საგანში/საგნებში აფიქსირებენ ნიშნის ამაღლების სურვილს;

ბ) სკოლის ადმინისტრაცია 2020 წლის 30 ივნისის ჩათვლით მოსწავლეს აძლევს შემაჯამებელი-კომპლექსური დავალების შესრულების და შეფასების საშუალებას დისტანციური/ელექტრონული ფორმით (განცხადება, ელექტრონული ფოსტა, სატელეფონო შეტყობინება) და კონკრეტულ საგანში/საგნებში აფიქსირებენ ნიშნის/ნიშნების ამაღლების სურვილს.

გ) მოსწავლის 2019-2020 სასწავლო წლის ნლიური ქულად განისაზღვრება შემაჯამებელი-კომპლექსური დავალებაში მიღებული ქულისა და მოსწავლის ამ მუხლის 1-ლი პუნქტის რომელიმე ქვეპუნქტის შესაბამისად განსაზღვრული ნლიური ქულის საშუალო არითმეტიკული (დამრგვალებული მთელის სიზუსტით).

5. იმ შემთხვევაში, თუ XII კლასის მოსწავლეს სურს საგნის ნლიური ქულის ამაღლება:

ა) 2020 წლის 21 მაისიდან 2020 წლის 29 მაისის ჩათვლით, მოსწავლე/მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი მიმართავს სკოლის ადმინისტრაციას ნებისმიერი ფორმით (განცხადება, ელექტრონული ფოსტა, სატელეფონო შეტყობინება) და კონკრეტულ საგანში/საგნებში აფიქსირებენ ნიშნის ამაღლების სურვილს;

ბ) სკოლის ადმინისტრაცია 2020 წლის 19 ივნისამდე მოსწავლეს აძლევს შემაჯამებელი-კომპლექსური დავალების შესრულების და შეფასების საშუალებას დისტანციური/ელექტრონული ფორმით (განცხადება, ელექტრონული ფოსტა, სატელეფონო შეტყობინება) და კონკრეტულ საგანში/საგნებში აფიქსირებენ ნიშნის/ნიშნების ამაღლების სურვილს.

გ) მოსწავლის 2019-2020 სასწავლო წლის ნლიური ქულად განისაზღვრება შემაჯამებელი-კომპლექსური დავალებაში მიღებული ქულისა და მოსწავლის ამ მუხლის 1-ლი პუნქტის რომელიმე ქვეპუნქტის შესაბამისად განსაზღვრული ნლიური ქულის საშუალო არითმეტიკული (დამრგვალებული მთელის სიზუსტით).

6. მოსწავლეს, რომელიც არ აქვთ I სემესტრის შეფასება რომელიმე I სემესტრში, უნდა მიეცეს შემაჯამებელი/კომპლექსური ტიპის დავალების შესრულების საშუალება, რის საფუძველზეც მიღებული განმსაზღვრელი შეფასება იქნება საგნის ნლიური ქულა.

7. მოსწავლემ, რომელმაც 2020 წელს ექსტრენატის ფორმით დაძლიეს კლასი და 2019-2020 სასწავლო წლის II სემესტრიდან ჩაირიცხნენ მომდევნო კლასში, ასევე იმ მოსწავლეს, რომელმაც შეწერებული სტატუსი აღიადგინა II სემესტრიდან და არ აქვთ პირველი სემესტრის შეფასება, ყველა საგანში მიმდინარე დისტანციური სწავლების ფარგლებში უნდა შესარულონ მინიმუმ ერთი შემაჯამებელი/კომპლექსური ტიპის დავალება, რომლის განმსაზღვრელი შეფასება წარმოადგენს ნლიური შეფასებას.

დასაწყისი 1-ელ გვ. -ზე

7. მოსწავლემ უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული ზოგადი განათლების აღიარების შემდეგ, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საკვლევებელი საგნები, რომლებთან შესაბამისობაც არ იქნა დადგენილი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, შესაძლებელია დაძლიოს ექსტრენატის ფორმით ან ინდივიდუალური გეგმით მიმდინარე დისტანციური სწავლების ფარგლებში. ინდივიდუალური გეგმის დაძლივა დადასტურდება ერთ შემაჯამებელი/კომპლექსური ტიპის დაავალბაში მიღებული განმსაზღვრელი შეფასებით, რომელიც წარმოადგენს საგნის წლიურ ქულას.

8. მოსწავლე, რომელმაც უცხოეთში სწავლის პერიოდში მიიღო ზოგადი განათლება და ვერ ადასტურებს უცხოეთში სწავლის პერიოდში ზოგადი განათლების მიღების ფაქტს, წლიური ქულის გამოყვანის მიზნით:

- ა) უნდა აღუდგეს მოსწავლის სტატუსი;
- ბ) მიმდინარე სასწავლო წლის ბოლომდე, დისტანციური ფორმით, ინდივიდუალური სასწავლო გეგმით უნდა გაიაროს ეროვნული სასწავლო უცხოეთში განსაზღვრული შესაბამისი კლასის საგნები;
- გ) სკოლის ადმინისტრაცია 2020 წლის 19 ივნისამდე მოსწავლეს აძლევს ორ შემაჯამებელ-კომპლექსურ დაავალბას და შემაჯამებელი კომპლექსური დაავალბების საფუძველზე აფასებს მას. სკოლა ვალდებულია მოსწავლეს წინასწარ გააცნოს (სიტუაციიდან გამომდინარე, მოსწავლესთან შეთანხმებული ფორმით) შემაჯამებელი კომპლექსური დაავალბა/დავალებები და ჩაუტაროს კონსულტაციები საჭიროებისამებრ;
- დ) მოსწავლის 2019-2020 სასწავლო წლის წლიურ ქულა განისაზღვრება შემაჯამებელ-კომპლექსურ დაავალბებში მიღებული ქულის საშუალო არითმეტიკული, რომელიც დამრგვალებულია მთელის სიზუსტით.

გაცდენის აღრიცხვა და სასკოლო გამოცდები

1. 2019-2020 სასწავლო წელს საჯარო სკოლაში არ შეიძლება ჩატარდეს გამოცდები, რომლებიც განსაზღვრულია ეროვნული სასწავლო გეგმის 36-ე მუხლის 7-12 პუნქტებით (გარდა „ზოგადი განათლების I-XII კლასის/კლასების/სემესტრების, ასევე I-XII კლასში/სემესტრში შემავალი საგნის/საგნების ზოგადგანმანათლებლო სასწავლო პროგრამის/პროგრამების ექსტრენატის ფორმით დაძლივის გამოცდის ჩატარების და ექსტრენატ რეგისტრაციის ვადების დადგენის შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 31 იანვრის 132 ბრძანებით გამოცხადებული ექსტრენატის გამოცდისა).

2. 2019-2020 სასწავლო წელს არ შეიძლება ჩატარდეს 36-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული გამოცდები.

3. თუ საბაზო-საშუალო საფეხურებზე მოსწავლემ სასწავლო წლის განმავლობაში გააცდინა კონკრეტული საგნისთვის 2019-2020 სასწავლო წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი, მოსწავლე დასაჯდება საგანში წლის განმავლობაში მიღებული მიმდინარე საკლასო, მიმდინარე სამინიარო და შემაჯამებელი დაავალბების ქულების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს არ უფიქსირდება საგანში მიმდინარე დაავალბების ქულები, შეფასდება ერთი შემაჯამებელი/კომპლექსური ტიპის დაავალბაში მიღებული განმსაზღვრელი შეფასების საფუძველზე.

4. 2019-2020 სასწავლო წელს კერძო სკოლები და საგნის/საგნების გაძლიერებული სწავლების სტატუსის მქონე სკოლები დამოუკიდებლად იღებენ 36-ე მუხლის 7-12 პუნქტებით გამოცდების ჩატარების გადაწყვეტილებას და გამოცდების ჩატარების შემთხვევაში განსაზღვრულ გამოცდის ფორმას.

შემაჯამებელი დაავალბები

1. 2019-2020 სასწავლო წლის მეორე სემესტრში სკოლები თავად განსაზღვრვენ შემაჯამებელი დაავალბების რაოდენობას.

მე-12 კლასელებისათვის დასრულება სწავლა...

- უცნაურად დასრულებულ სასწავლო წელს ვულოცავ ყველას, იმედს ვიტოვებ, ეს თაობა, უკვე სხვა სოციალური სტატუსითა და მდგომარეობით უკეთესობისკენ შეცვლის ჩვენს ქვეყანას და ყველას ემსახურება - ბოლო ზარი რომ არ ქონდათ, ეს ისინი არიანოო. (... ისე, გამორჩეულობა, რჩეულობა ხვედრია).

ესაუბრა ია მიმინაშვილი

აღდგება თუ არა სასწავლო პროცესი საქმეებში

ჯანდაცვის მინისტრი ეკატერინე ტიკარაძე არ გამოირჩევა, რომ სწავლა სკოლებში დაგეგმილ დროს, სექტემბრის შუა რიცხვებში არ დაიწყოს.

როგორც ტიკარაძემ კორონავირუსთან დაკავშირებით შექმნილი უწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა, დღევანდელი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე, უწყებებში მიიჩნევენ, რომ სასწავლო პროცესმა შეიძლება გადაინიოს.

„დღევანდელი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე, ვთვლით, რომ სასწავლო პროცესი შეიძლება გადაინიოს, თუმცა, ვგეგმავთ იმისთვის, რომ როგორც ახლა, ასევე სექტემბერში მოგვინებს კოვიდიდან ერთად თანაცხოვრება. შესაბამისად, ჩვენი შედეგებიც უნდა მოვამზადოთ ამ პროცესებისთვის, რათა მათ შეძლონ შეუფერხებლად განაგრძონ სწავლა“, - განაცხადა ტიკარაძემ.

რაც შეეხება ეროვნულ გამოცდებს, მინისტრმა აღნიშნა, რომ განათლების მინისტრის განცხადებით ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს და აბიტურიენტებისთვის

ვის გამოცდების ჩაბარება უსაფრთხო პროცესი იქნება.

„ინტენსიურად ვმუშაობთ განათლების სამინისტროსთან. ისინი რა თქმა უნდა, ითვალისწინებენ ყველა იმ რეკომენდაციას, რომელსაც გავცემთ და ვთვლით, რომ გამოცდები ჩატარდება სრულიად უსაფრთხოდ ყველა იმ აბიტურიენტისთვის, რომელიც წელს აპირებს გამოცდებში მონაწილეობის მიღებას“, - განაცხადა ტიკარაძემ.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის, ამირან გამყრელიძის განცხადებით კი, კორონავირუსის გამო რეგულაციების გამოკერძების საჭიროება ამ ეტაპზე არ არის.

როგორც გამყრელიძემ კორონავირუსთან დაკავშირებით შექმნილი უწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა, ახლა ჩვენ მივდივართ სლოგანით - „ვისწავლით თანაცხოვრება კორონავირუსთან ერთად“.

„დღევანდელი მონაცემებით, მე არ ვფიქრობ ჩვენ ისეთი ძლიერი შემზღუ-



დავი ლონისძიებები დავანესოთ, როგორც გვერდა. ახლა ჩვენ მივდივართ სლოგანით - „ვისწავლით თანაცხოვრება კორონავირუსთან ერთად“. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ტიპის მატებები შესაძლებელია იყოს. ეს დასაშვებია და ამას თავისუფლად მართავს ჯანდაცვის სისტემა ყოველგვარი ძლიერი შემზღუდავი ღონისძიებების გარეშე“, - განაცხადა გამყრელიძემ.



ამასთან, გამყრელიძე ამბობს, რომ დღევანდელი მოცემულობით, არც არადადგენილი გახანგრძლივების, ან სასწავლო პროცესის გადადების აუცილებლობაა. „დღევანდელი მოცემულობით ამის საშუალება არ არის. სასწავლო პროცესი რომ არ აღდგეს სექტემბერში, ამის აუცილებლობა არ არის“, - განაცხადა გამყრელიძემ.

1 ივნისს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე აღინიშნა



1 ივნისი, ზაფხულის პირველი დღე ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა. ბავშვთა საერთაშორისო დღე ერთ-ერთი ყველაზე უძველესი საერთაშორისო დღეა. იგი დაარსებულია ბავშვთა კეთილდღეობისადმი მიძღვნილ 1925 წლის უენეის მსოფლიო კონფერენციასზე.

უცნობია, რატომ აღინიშნება ეს დღე 1 ივნისს. ერთ-ერთი ვერსიით, 1 ივნისს ამ თარიღის აღნიშვნა დაკავშირებულია ჩინური პოლიტიკოსის სახელით. 1925 წლის 1 ივნისს სან-ფრანცისკოში ჩინეთის გენერალურმა კონსულმა შეკრიბა ჩინელი ობოლები ბავშვები და მონაწილე მათთვის დუან-უ ცისგ ზეიმი (ხაი-დრაკონის

ნების ფესტივალი). ბედნიერი შემთხვევის წყალობით ეს დღე დაემთხვა „ბავშვთა“ კონფერენციას უენეიაში.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც განსაკუთრებით აქტიური იყო ბავშვთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შენარჩუნების საკითხი, 1949 წლის ნოემბერში პარიზში შედგა ქალთა საერთაშორისო კონგრესი, რომელზეც დაიდო ფიცი დაულაღვი ძალისხმევისა, რათა შენარჩუნებულიყო მშვიდობა მთელ მსოფლიოში, რაც ბავშვებისთვის ბედნიერი ცხოვრების ერთადერთ გარანტიად შეიძლება ჩათვალიყო.

1950 წელს, 1 ივნისს პირველად იზეიმეს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე, რის შემდეგაც იგი ყოველ წელს აღინიშნება.

აღნიშნული თარიღის მიზანია მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრის მოზიზღება ახალი ომის საშიშროებისაგან ბავშვთა დასაცავად. ზრუნვა მათი ჯანმრთელობისა და დემოკრატიული აღზრდა-განვითარებისათვის.

მარცვლების ზრდის პროცესში მცენარეული განიცდიან შემდგომ ცვლილებებს:

1. მცირდება ყლორტების დილორი ზრდა;
2. ყლორტები იზრდება სივანეთში;
3. ხდება მოზაზითურ ანუ ძირითადი კვირტების ჩასახვა;
4. გრძელდება ფოთლების ზრდა;
5. იწყება ყლორტების მომწიფება, ე. ი. სახამებლის დაგროვება, მარცვლების ზრდა იწყება ივნისში და გრძელდება 1-2 თვე.

ხახვის ფურცელი მცენარეთა დაცვის გუნებრივი საშუალება

სიზარმაცის პერიოდი. ხახვის ფურცელი დააქუცმაცეთ და მოყარეთ ნიადაგს, მორწყვისას (ნადგომი, ოთახის ტემპერატურის წყალი), მისი სასარგებლო ნივთიერებები – ჩავა ნიადაგში და მცენარე შეითვისებს.

არის ოთახის მცენარეები, რომლებიც ან არ, ან ცუდად რეაგირებენ ხახვის ფურცლის ხსნარზე, ეს არი კატულები და მცენარეები ხორციანი ფოთლებით, მაგალითად როგორც ალუე ან ბარაქის ხე.

გოსტნული

კიტრი. მთელი ვეგეტაციის პერიოდში ხშირად განიცდის, სხვადასხვა მავნებლების შემოტევებს. ამიტომ საჭიროა სეზონზე რამდენჯერმე დამუშავება.

2 ჭიქა, დატკეპნილ ხახვის ფურცელს დაასხით 2 ლიტრი ადულებული წყალი, გააჩერეთ 48 საათი, შემდეგ გაწურეთ და გააზავეთ 1/2 შეფარდებით (2 ნილი წყალი) გრილი, სუფთა წყლით. შესასურეთ ფოთლებს სეზონზე 2-3 ჯერ. არ გადააჭარბოთ, თორემ შესალოა კიტრმა მწარე გემო მიიღოს.

მსავალს სქემა გამოიყენება კარტოფილის, ყაბაყის, გოგრის და სტაფილოსთვის.

პომიდორი. ხახვის ფურცელი პომიდორისთვისაც კარგი საკვებაა, ოღონდ მის შემთხვევაში ფოთლებზე არ უნდა შევასხუროთ. ახალგადაარგულ (ჩითილს) მცენარეს დაფუსხათ 0.5 ლიტრი, ხოლო ერთ თვის მცენარეს 1.0 ლიტრი ხსნარი.



მარცვლების მომწიფება

მარცვლების სიმწიფის დასაწყისი დაკავშირებულია მათში მიმდინარე ქიმიურ ცვლილებებთან. გარეგნულად ეს მიმწიფევა იმით, რომ მარცვლები ხდება რბილი და უფრო ღია ფერის; თეთრი ჯიშების კანი იღებს ელასტიურობას და გამჭვირვალეობას. შავ ჯიშებში კი შეთავაზებისას იწყება საღებავი ნივთიერების დაგროვება.

სიმწიფის კვალობაზე შექრიანობა უფროდ ნვენში ჩქარა მატულობს. ამასთან ერთად, დასაწყისში გლუკოზა მეტია, ვიდრე ფრუქტოზა. სრული სიმწიფის დროს მათი შეფარდება თანაბრდება. საერთო სიმწიფე მკვეთრად მცირდება. მცირდება აგრეთვე მთრიწლავი ნივთიერებების რაოდენობა. ამ პერიოდში ფოტოსინთეზის პროდუქტიულობა მაქსიმალურია.

ორგანული ნივთიერებები გამოიყენება ყლორტების (რქების) მოსამწიფებლად, ფესვებში და შტამბში მარაგის შესაქმნელად, მარცვალში შექრიანობის განხრდისა და თესლში საკვები ნივთიერებების მარაგის შესაქმნელად.

სრული სიმწიფის, ანუ ფიზიოლოგიური სიმწიფის დადგომის დროს:

1. მარცვლები ხდება თხელი, ელასტიური და იფარება ცვილის ფიფქით;
2. მარცვლებში გროვდება შაქრების მაქსიმუმი;
3. ეიდიდრმისის უჯრედები აგროვებენ საღებავ ნივთიერებებს და იძენენ ჯიშისათვის დამახასიათებელ შეფერვას;
4. ნიჰა (თესლი) მთლიანად მომწიფებულია. მათი გარსი იღებს ყავისფერს.

ფიზიოლოგიური სიმწიფის შემდგომ მარცვლებში შექრიანობა შეიძლება კვლავ მოიმატოს, მაგრამ ეს ხდება არა სინთეზის საფუძველზე, არამედ წყლის აორთქლებით და მარცვლების ზომის შემცირებით.

სრული სიმწიფე შეიძლება ზუსტად დადგინდეს შაქარ-შაქრიანობის დაგროვების დინამიკის შესწავლით. ამასთან ერთად, უნდა განისაზღვროს მარცვლების მოცულობა.

გარდა სრული ანუ ფიზიოლოგიური სიმწიფისა, ვაზს ახასიათებენ ტექნიკური სიმწიფე, რაც ღვინის ტიპის მოთხოვნილებებით განისაზღვრება. სასუფრე ყურძნის ტექნიკური სიმწიფე განისაზღვრება მისი სამომხმარებლო სიმწიფით,

რომელიც დგება მაშინ, როცა ყურძენი იღებს კარგ გემურ თვისებებს.

სუფრის ყურძენი ტრანსპორტირებისათვის იკრიფება ოდნავ დაუმწიფებელ მდგომარეობაში. გადამწიფებული ყურძენი ტრანსპორტირებისათვის გამოუსადეგარია. საქიშიმე ჯიშებს კრეფენ სრულ სიმწიფეში, ან გადამწიფების სტადიაში, როცა იგი შეიცავს დიდი ოდენობით შაქარს. მეღვინეობისათვის ყურძნის კრეფა ხდება ტექნოლოგიური მოთხოვნების დონეზე, ამა თუ იმ ტიპის ღვინის თავისებურების გათვალისწინებით. მშრალი ღვინოებისთვის შაქრიანობა უნდა იყოს 18-20%, ბუნებრივად ნახევრადტკიბილი ღვინოებისთვის – 22-24%, ცქრიალა ღვინოებისთვის კი – 18-19%.

რქების მომწიფება, ფოთოლცვენა

სრული სიმწიფის დადგომის შემდეგ მარცვლებთან საკვები ნივთიერებების მიღება წყდება. მარცვლები იწყებენ გადამწიფებას, ე. ი. შაქრის კონცენტრაცია მატულობს აორთქლების ხარჯზე. მოსავლის მოკრეფის შემდეგ გრძელდება ასიმილაცია – პლასტიკურ ნივთიერებათა გადადენა ზემო ნაწილებიდან ქვემოთ.

ორგანული ნივთიერებები გროვდება ბუჩქის ძველ ნაწილებში – ყლორტებსა და განსაკუთრებით მუხლებში. ყლორტების მომწიფება იწყება ზრდის პროცესების მომწიფებამდე შემცირების შემდეგ.

იმის შემდეგ, რაც ქერქი გაყავისფერდება, ყლორტის მომწიფება მიმდინარეობს ნელ-ნელა, 1-3 მუხლთაშორის 3-7 დღეში. ყლორტების მომწიფების პერიოდი არ ემთხვევა ნაყოფის დამწიფების პერიოდს. ეკოლოგიური პირობების მიხედვით, ყლორტები მომწიფდება ან მთლიანად ან ნაწილობრივ. ზღვის დონიდან სიმაღლის მატებასთან ერთად ყლორტების სიმწიფის ხარისხი კლებულობს და ყველაზე მცირეა მევენახეობის განვითარების ზღვარზე (1200 მ ზ. დ.).

შემოდგომაზე, აცივების დროს, ფოთლები წყვეტენ ფოტოსინთეზს. ყუნწის მომარგების ადგილზე წარმოიქმნება საკორე ვენა. ქლოროფლისტების დამოწყობისას ვენაზე იწყება ფოთლების იღვრება. ამით თავდება ვეგეტაციის ბოლო ფაზა.

ვაზის მომწიფება, ანა მოვლაპრაღი



სტატისტიკის თანახმად, 3-4 ნევიანი ოჯახი ნელიანდში საშუალოდ 4-5 კგ. ხახვის ფურცელს ყრის. ამ დროს ის ბუნებრივი ფუნგიციდია ცვაფს ხეხილს, ბოსტნულს, ყვავილებს და ოთახის მცენარეებს მავნებლებისგან.

გარდა ამისა ხახვის ფურცელი მცენარეთა კვების (განოყიერების) კარგი საშუალებაა. ის კვებას მცენარეს და აუმჯობესებს ნიადაგის სტრუქტურას. ხახვის ფურცელი შეიცავს მრავალ, სასარგებლო, ბიოლოგიურად აქტიურ და მინერალურ ნივთიერებებს, ფლავონოიდურ გლუკოზიდებს, კაროტინს, ფიტონციდებს, ორგანულ მჟავებსაგრეთევე B, C, E, PP ვიტამინებს.

მსავალს კომბინაცია არამარტო

იცავს მცენარეებს, არამედ კვებას, ზრდის იმუნიტეტს და მოსავლიანობას.

ოთახის მცენარეები და ყვავილეთი სადილის მომზადების შედეგად დარჩენილ 2-3 თავი ხახვის ფურცელს დაასხით 1 ლ. ადულებული, ცხელი წყალი. გააჩერეთ ორი დღე გადანურეთ (თუ შემასხურებელს იყენებთ, რომ არ გაიჭიდოს) და მზად არის.

ხახვის ფურცლების ხსნარი (გამოყენეთ მხოლოდ ახალი დამზადებული), რეგენერაციულ გავლენას ახდენს მცენარეებზე, რწყავენ ოთახის მცენარეებს, რომლებსაც მოულოდნელად დაეცეით ფოთლების შეყვითლება. ასეთ კვების 90% იწვევს მცენარეთა გამოცოცხლებას. თუ დრო არ გავქვთ, ან შემთხვევით

ბუგრები – ბოსტანის, ბაღის და ხეხილის ბაღების სერიოზული მავნებელია. აბლაბუდიანი ტკიპა – აზიანებს კიტრს, სახამოროსს, ნესეს, პომიდორს და სხვა კულტურებს. განსაკუთრებით სახიფათოა დაცულ გრუნტში.

რქების მომწიფება

ერთ ვერო ხახვის ფურცელს ასახვეთ – 2 ვერო (რაოდენობა საჭიროების მიხედვით – შეფარდება 1/2-ზე). ვასხავთ, ანადულარ, ცხელ წყალს (დაახლოებით 40°C), გაეაჩერებთ 2 დღე და გავწურავთ, შემდეგ ვამატებთ საყოფაცხოვრებო საპონის (72 %) ნაჭრებს 50 გრამი (ხსნარი, რომ კარგად გაჩერდეს ფოთლებზე), საპონი ბოლომდე უნდა განისხნას და ხსნარი მზად არის.

შესხურების წინ ხსნარი გავაზავთ წყლით შეფარდება 1/2 – ზე. მიღებული ხსნარი უნდა დაეასხათ მცენარეებს 3-4 ჯერ, ერთი კვირის ინტერვალით.

ხახვის ფოთლების ხსნარის შენახვა არ არის რეკომენდირებული, დაამზადეთ გამოყენების წინ. ზოგადად, უნდა ვითავალისწინოთ, რომ ჯიშები რომელსაც ვყიდულობთ, ითხოვენ გარკვეულ აგროტექნოლოგიას, შესაბამისად მცენარეთა დაცვის ან განოყიერების სქემას. ამიტომ როდესაც ვიყენებთ ხალხურ საშუალებებს, უნდა ვიცოდეთ რა ნივთიერების ჩანაცვლებას ვახდენთ აღნიშნულ სქემებში და რისი საჭიროება აქვს მცენარეს.

როგორ უნდა დარგოთ და მოუაროთ კიტრსა და პომიდორს



ზაფხულში განსაკუთრებით აქტუალურია კიტრი და პომიდორი, ყველაზე საყვარელი და სასურველი ბოსტნეული წლის ამ სეზონზე. თანაც, ეს ისეთი ბოსტნეულია, რომლის ჩითილების დარგვა და მოვლაც ზაფხულშიც შეიძლება და სახლის პირობებშიც შესაძლებელია – განსაკუთრებით, კიტრის. პომიდორი შედარებით უფრო სათუთი მოსავლეა.

კიტრი გოგორისებრთა ოჯახის ერთ-ერთი წევრია და ბუნებრივად მცენარეა. ფესვთა სისტემა შედგება მთავარი ღერძისა (1 მ-მდე სიგრძის) და გვერდითი ფესვებისაგან. ღერო მხოლოდ ან ხეირაა. სიგრძე 1, 5-2 მ-ს აღწევს. გვხვდება ნახევარბუჩქისებრი ფორმებიც. კიტრი სითბოს, სინათლისა და ტენიის მოყვარული მცენარეა. მისი სამშობლო ინდოეთია.

პომიდორი ძალაყრძენასებრთა ოჯახის ერთ-ერთი წევრია და ბუნებრივად მცენარეა. ველური ფორმები ნაპოვნია პერუში, ვესტინდოეთში, ეკვადორში, ჩილეში, კანარის კუნძულებზე, ფლიპინებზე. მისი

სამშობლო სამხრეთი ამერიკაა. ევროპაში გავრცელდა XVI საუკუნიდან, საქართველოში ცნობილია XVIII საუკუნის II ნახევრიდან.

პომიდორის უნიკალურობას საუცხოო გემოსთან ერთად მისი სასარგებლო თვისებებიც განაპირობებს. რაც უფრო მწიფეა პომიდორი, მით უფრო მეტ ვიტამინსა და სასარგებლო ნივთიერებას შეიცავს. მის შემადგენლობაში შედის შაქრები – გლუკოზა და ფრუქტოზა, A, B1, B2, B6, B9, C, E, K, PP ვიტამინები და ბეტაკაროტინი, ორგანული ვაშლის, ლიმონისა და ღვინის მჟავები, ორგანული მფრინავი სპირტი და ეთერზეთები, კალციუმი, კალიუმი, იოდი, ფოსფორი, მაგნიუმი, ნატრიუმი, რკინა, ქლორი, სპილენძი, თუთია და გოგირდი მანვანუმთან ერთად. პომიდორი მძლავრი ანტიოქსიდანტია, სპობს ბაქტერიებს, ამაღლებს გუხნება-განწყობილებას, შემოგლობინს, კარგია დიეტის დროს.

კიტრი არანაკლებ სასარგებლოა – უხვად შეიცავს კალციუმს, კალციუმს,

რკინას, ფოსფორს, იოდს, კაროტინსა და სხვა სასარგებლო ნივთიერებას.

ჩითილავი

სანამ ჩითილებს დავრგავთ, კარგად უნდა დავამუშაოთ ნიადაგი – გავაფხვიროთ და შევიტანოთ სასუქი. სასუქად შეიძლება გამოვიყენოთ ორგანული სასუქი: გამომწვარი ნაკელი, ქათმის ექსკრემენტები, ასევე შეიძლება მაღაზიაში ვიყიდოთ სასუქი (მაგალითად, კალუმიანი და ფოსფორიანი სასუქები).

იმისათვის, რომ კარგი მოსავალი მივიღოთ, აუცილებელია ხარისხიანი ჩითილი ვიყიდოთ, ჯრობა სათბურში გამოყვანილი ჩითილები, რომლის წარმომავლობაც კარგად ვიცით, და არა უზარალოდ ბაზარში ნაყიდი.

დარგვა ჯობს დილით ადრე, 6-7 საათზე. გამზადებულ ნიადაგზე გავაკეთოთ 5-6 სმ-იანი ორმოებს, შიგნით ჩავდებთ ჩითილს და გარს მოვუტყუპნით, ოღონდ ისე, რომ ფესვი არ დაზიანდეს. დავეუსხამთ 200-300 მილილიტრ წყალს.

უნდა მოვრწყათ დილას, შუადღეს და საღამოს. მორწყვისას არ უნდა დავასხათ წყალი მცენარეს, მოსარწყავად საუკეთესოა წვეთოვანი მორწყვა.

დარგვიდან ერთ კვირაში (გაჩნია ჩითილის ზომას) ჩითილი უნდა მივებათ ბანარზე (თოკზე) ან სარზე. ბანარს შემთხვევაში საათის მიმართულებით უნდა შემოვახვიოთ. ჯობს, ორი მეტრი მაინც იყოს თოკი, კიტრის შემთხვევაში მეტიც შეიძლება.

პომიდორს არ უყვარს მაღალი ტენიანობა და ძალიან მგრძობიარე ტემპერატურის მიმართ. ხშირად ემართება სხვადასხვა დაავადება, ამიტომ ხშირად უნდა შეინაშნოს. კარგი იქნება, თვეში ერთხელ სასუქს თუ დავემატებთ. კიტრი ძალიან ადვილად ხარობს, მთავარია წყალი არ მოაკლდეს. წვეთოვანის შემთხვევაში დღეში ოთხჯერ მოვრწყათ, თითო მორწყვა 2 წუთის ხანგრძლივობით.



კიტრზეც და პომიდორზეც აუცილებელია ეგრეთ წოდებული ნამხრეების მოცილება, რადგან მათ ზედმეტი ენერგია მიჰქვამს.

ასევე ძალიან ადვილად გასახარებელია წინასწარი და ბადრიჯნის ჩითილები, ამ შემთხვევაშიც მთავარია, ნიადაგი იყოს კარგად დამუშავებული და სასუქით გაჯერებული.

სახლის პირობებში შეიძლება, გადავჭრათ პლასტმასის ბოთლები და მათში ჩავრგოთ ჩითილები.

ყველა მცენარისთვის აუცილებელია მზის სხივები, წყალი, სითბო და მდიდარი ნიადაგი. ოთხივე კომპონენტის შემთხვევაში ძალიან ადვილად გაიხარებს ნებისმიერი მცენარე და კარგი მოსავალიც გარანტირებული იქნება.

უსწავარი ჰიშვები

შავი პომიდორი. დიდი რაოდენობით შეიცავს ბეტაკაროტინს, ასკორბინის მჟავას და არაერთ ვიტამინს, თუმცა მისი მთავარი ღირსება მაინც არაჩვეულებრივად

ვი გემო და არომატია. ნაკლიც აქვს: გვიან მწიფდება, ნაკლებად მსმორარეა და სიცხეს ვერ უძლებს.

თეთრი პომიდორი. ძალიან გემრიელია. მოტკბო გემო აქვს, რადგან საკმაოდ რაოდენობით შეიცავს შაქარს. წითელის პომიდორისგან განსხვავებით არ აქვს სიმჟავე.

გოგორისებრი პომიდორი. გარდა უცნაური შეხედულებისა, დიდი მოსავლიანობითაც გამოირჩევა.

პომიდორის ხე. ამ სიმალემდე, რასაც ფოტოზე ხედავთ, წელიწად-ნახევარში იზრდება. სწრაფადზრდადობის გარდა გამოირჩევა უხვმოსავლიანობით. კარგად უძლებს დაავადებებსა და ტემპერატურის ცვალებადობას.

ნარინჯისფერი პომიდორი. ძალიან გემრიელია. მოტკბო გემო აქვს. თუ ვინმეს წითელ ნაყოფზე ალერგია აქვს, თანამად შეუძლია ნარინჯისფერი მიირთვას.

ყვითელი პომიდორი. სასარგებლოა ორგანიზმის სისხლის გასაწმენდად. გემრიელია და არ ინვესს ალერგიას.

პომიდორის განოყიარების სალსური საშუალებები და რეცეპტები

პომიდორის კვება შეიძლება არამართო მზა სასუქებით, არამედ ხალხური რეცეპტებით, ნატურალური, ბუნებრივი განოყიერების საშუალებებითაც.

თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ საჭიროა კარგად ვიცოდეთ, რას ვაკეთებთ, რა ნიადაგია, ანგარიში უნდა გავუწიოთ კლიმატს და მცენარის მდგომარეობას.

მცენარის სწორი კვება, სხვა ფაქტორებთან ერთად განაპირობებს, კარგ ყვავილობას, ნაყოფიერებას, ჯამრთელ და ხარისხიან მოსავლას.

როგორც წესი პომიდორის პირველი გამოკვება ხდება ჩითილის გადარგვიდან ორი-სამი კვირის შემდეგ, ეს ეხება როგორც დახურულ, ისე ღია გრუნტში გამოზრდილ ჩითილებს. მთელი ვეგეტაციის პერიოდში 3-4 ჯერ კვებავენ – საშუალოდ 12-14 დღიანი ინტერვალით.

ბთავაზოთ პომიდორის კვების რეცეპტები

- იოდით გამოკვება**
იოდით არამართო აქქარებს ნაყოფის მომწიფებას, არამედ ფიტოფტოროზისგან თავის დაცვის (პრევენციის) ერთგვარი საშუალებაა.
- ნაცრით გამოკვება**
ფოთლოვანი ხის ნაცარი შეიცავს: 3, 5% ფოსფორს, 10% კალციუმს და 30% კალციუმს. ხოლო წინვოვანი ხის ნაცარი შესაბამისად: 2, 5% ფოსფორს, 6% კალციუმს და 35% კალციუმს.
- ნაცრის ხის ხისნარს ასე ამზადებენ:** 10 ლიტრ წყალში გახსნიან 1 ჭიქა (150-200 გრ) ნაცარს მიღებულ სითხეს გავაჩერებთ ერთი კვირა და შემდეგ დავუხსნათ პომიდორს, დაახლოებით 0. 5 ლიტრი 1 მცენარეზე.
- ნაცარი გამოიყენება მცენარეთა ფესვებზე კვებისთვისაც.**
- რეცეპტი 2:** ამისთვის იღებენ 300გრ. ნაცარს ხისნარს მას 3 ლიტრი წყალში, ადუღებენ 30 წუთი, შემდეგ აჩერებენ 5 საათი და უმატებენ 50 გრამ სარეცხ (72%) საპონს, მიღებულ სითხეს განუზავებენ და ახსურებენ მცენარეს.
- ქათმის ნაკელი (სკორე) გამოკვება**
ქათმის სკორე მცენარეებზე, კომპლექსურ მინერალურ სასუქზე ნაკლებად

არ მოქმედებს მასში ბევრია აზოტი და ფოსფორი.

რეცეპტი 1: ძალიან ეფექტურია წყალში გახსნილი ახალი სკორეს გამოყენება, ამისთვის 10 ლიტრთან ჭურჭელს 1/3 – ით ავსებენ ქათმის ახალი ნაკელით, შემდეგ ჭურჭელს პირამდე ავსებენ წყლით და აყენებენ 7-10 დღით ჰაერზე. ამის შემდეგ 0. 5 ლიტრ მიღებულ სითხეს აზავებენ 10 ლიტრი წყლით (არ გამოიყენებთ გაუზავებლად) და კვლებს შორის ასხავენ დაახლოებით 5-6 ლიტრი 1მ2-ზე.

რეცეპტი 2: მშრალი სკორესაც იყენებენ განოყიერებისთვის, 0. 5 კვ. მშრალ სკორეს დაახლოებით 10 ლიტრ წყალს, ჭურჭელს კარგად დახურავენ (აზოტი, რომ არ დაიკარგოს), აყენებენ 3-5 დღე. ყოველდღე ურევენ. შემდეგ აზავებენ მიღებულ სითხეს შეფარდებით 1/20 (1წლი სითხე, 20 წლი წყალი) და უხსავენ მცენარეს 1 ძირზე 0. 5-1. 0 ლიტრის ანგარიშით.

• უთვა
უთვა საქონლის ნაკელისგან მომზადებული მასაა, წილობრივად 1:1 შემადგენლობით.

რეცეპტი: 10კვ. ახალ ნაკელს დავასხამთ 10 ლიტრ წყალს და დღეში ორჯერ ურევეთ, 10-14 დღის მანძილზე. მასა აუცილებლად უნდა იყოს თავდახურული. მიღებულ სითხეს ვაზავებთ წყლით 1/10 პროპორციით (არ გამოიყენებთ გაუზავებლად) და ვიყენებთ 1 მცენარეზე 0. 8-1. 0 ლიტრის ანგარიშით.

• წუნწუხი
წუნწუხი პირუტყვის შარდია, რომელსაც აგროვებენ ბოსტნთან სპეციალურად მომზადებულ ორმოში. საქონლის შარდი ძალიან მდიდარია აზოტით.

რეცეპტი: 1ლ წუნწუხი ვაზავებთ 20 ლიტრი წყლით და დაუსხით მცენარეებს 1 ძირზე 1 ლიტრის გათვლით. გახსოვდეთ აზოტის ჭარბი დონებით მიღების დროს მცენარეს უფითარდება ზედმეტი ვეგეტატიური მასა, რაც ამცირებს მოსავლიანობას.

ეს რა თქმა უნდა არ არის სრული ჩამონათვალი.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჯიშები რომელსაც ვყიდულობთ, ითხოვენ გარკვეულ აგროტექნოლოგიას, შესაბამისად მცენარეთა დაცვის ან განოყიერების სქემას. ამიტომ როდესაც ვიყენებთ ხალხურ საშუალებებს, უნდა ვიცოდეთ რა ნივთიერების ჩანაცვლებას ვახდენთ აღნიშნულ სქემებში და რისი საჭიროება აქვს მცენარეს.

მცენარის ტილებს გან, იგივე გუბრების გან კვალის კი არ დარჩება. მიაკუთროთ თქვენს მცენარეს ეს საშუალება



მცენარის ტილი, იგივე ბუგრი ერთ-ერთი ყველაზე ამაზრზენი მავნებელია, რომლისაც მთელი ჩვენი მოსავლის გადაგურება შეუძლია. მათ წინააღმდეგ ბრძოლა არც თუ ისე მარტივია, თანაც ისინი საოცარი ტემპით მრავლდებიან. ეს მავნებელი ბოლომდე წოვენ უჯრედულ წვენს და სწრაფად ასუსტებენ ახალგაზრდა მცენარეებს. გარდა ამისა, მცენარის ტილი გამოჰყოფს შხამს, რომელიც იწვევს ფოთლების დეფორმირებას და მისი უჯრედების კვდომას. ბუგრებს სხვადასხვა მავნე ვირუსებიც გადააქვთ, რომლებიც ჩვენს მცენარეებს სწრაფად ანადგურებს. მეზობლებს ხშირად უწინდებამ შეკითხვა, თუ როგორ ებრძოლონ ამ პრობლემას და როგორ განკურნონ დაავადებული მცენარე ისე, რომ მოსავალი ქიმიური ინსექტიციდებით არ მოზანდობდეს. დღევანდელ სტატიაში ჩვენ შევეცდებით, სწორედ ამ შეკითხვაზე გავცეთ პასუხი.

როგორ ვებრძოლოთ ბუგრებს სალსური საშუალებებით

არყის კუპრი-არყის კუპრის ძლიერი სპეციფიკური სუნი აქვს და წარმოადგენს არაჩვეულებრივ საშუალებას მავნებლების წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ საშუალებას უშუალოდ მავნებლების განადგურება არ შეუძლია, ის მუშაობს რეპელანტის პრინციპით. მისი კონცენტრირებული არამეტი აშინებს მწერებს და იცავს ჩვენს ბალს მათი შემოსევისგან.

თქვენ დაგჭირდებათ: 10-15 გრამი არყის ხის კუპრი, 50 გრამი სარეცხი საპონი (შეიძლება კუპრის საპონიც), 10 ლიტრი წყალი.

მომზადება და გამოყენება:

1. გახსენით საპონი მსხვილ სახეხზე.
2. არყის ხის კუპრი და გახეხილი საპონი გახსენით 10 ლიტრ წყალში.
3. კარგად გადაურეთ და მიღებული ხსნარი გამოიყენეთ მცენარის დაინფიცირებული და დაავადებული ფოთლების დასაშუშვებლად. უმჯობესია, თუ პროცედურას საღამოს საათებში ჩაატარებთ.

საპონის ხსნარები

ეს ერთ-ერთი ყველაზე მარტივი და ხელმისაწვდომი გზაა მავნებლების წინააღმდეგ საბრძოლველად.

რეცეპტები

1. გახსენით 300 გრამი სარეცხი საპონი 10 ლიტრ წყალში. მიღებული ხსნარი მიაკუთროთ თქვენს დაავადებულ მცენარეებს რეგულარულად და ხანმოკლე დროში მავნებლებისგან კვალის კი არ დარჩება.
2. 100 გრამი კუპრის საპონი გახსენით 10 ლიტრ წყალში. დაამუშავეთ ამ

ხსნარით დაავადებული ფოთლები რეგულარულად.

3. 250 გრამი ნაცარი ჩაამატეთ 10 ლიტრ წყალში. ნარევი ადუღეთ 30 წუთის განმავლობაში და უშუალოდ მცენარეების დაამუშავების წინ დაამატეთ მასში 40 გრამი სარეცხი საპონი.

მცენარული ნაყვანი

1. ხახვი-წვრილად დაჭერით 30 გრამი ხახვი, დაამატეთ ის 1 ლიტრ წყალს და დააყოფეთ 5 საათის განმავლობაში. მიღებული ნაყენით დაამუშავეთ მცენარის დაავადებული ფოთლები.

2. ნიორი-200 გრამი დაქუცმაცებული ნიორი ჩაამატეთ 1 ლიტრ წყალში. გამოყენებამდე 25 მილილიტრი ნაყენი გახსენით 10 ლიტრ წყალში და შემდეგ შეუდევით მცენარეების დაამუშავებას.

3. ბაზუანგერა-ბაზუანგერას 400 გრამი ფოთლები და 200 გრამი ფესვები დააყოფეთ 3-4 საათით 10 ლიტრ წყალში.

კიდევ რამდენიმე ეფექტური საშუალება მცენარის წინააღმდეგ

1. არაყი-ყველაზე იაფსაღარი არყის ბოთლზე დაამატეთ საკურნებელი – ეფექტური საშუალება მავნებლების წინააღმდეგ მზად არის!
2. რძე და იოდით-1 ჭიქა რძეში ჩაამატეთ რამდენიმე წვეთი იოდი, კარგად გადაურეთ და მიღებული ნარევი გახსენით 1 ლიტრ წყალში. შეუდევით მცენარის დაავადებული ფოთლების დაამუშავებას.
3. თუ თქვენ საკუთარი ბალი ან მინის პატარა ნაკვითი გაქვთ, ეს რჩევები აუცილებლად გამოადგებათ. ახლა თქვენ უკვე იცით, თუ როგორ ებრძოლოთ მავნებლებს ქიმიური ინსექტიციდების გამოყენების გარეშე.

რით ვუშვლოთ კიტრის ყვითელ ფოთლებს?

რძე და საპონი. 10 ლიტრ წყალში განაზავეთ ლიტრი რძე. დაამატეთ 30 წვეთი იოდი და 20 გრ ჩვეულებრივი სარეცხი საპონი. ამ ხსნარით შეწამლეთ ფოთლები ყოველ ათ დღეში.

ხახვის კანი. დაახლოებით 10 ლიტრი წყალი 0, 7 გრ ხახვის კანს. მიყვანეთ ადუღებამდე, შემდეგ გადმოიღეთ ცეცხლიდან და გააჩერეთ 14 საათის განმავლობაში. გადაწურეთ. მიღებული კონცენტრატის 1 ლიტრი უნდა განაზავდეს 4 ლიტრი წყლით. მორწყეთ თითოეული ძირი ამ წყლით.

პური და იოდი. დაალბეთ შავი პური 10 ლიტრ წყალში. დაამატეთ ქილა იოდი.

დატოვეთ ღამით, შემდეგ კი განურეთ. 1 ლიტრი ასეთი კონცენტრატი 10 ლიტრ წყალში ვაზავეთ და დაახლოებით კიტრს ეს ხსნარი ყოველ 14 დღეში ერთხელ.

კეფირი. სიყვითლის პირველივე ნიშნებისას, 10 ლიტრ წყალში გახსენით 2 ლიტრი კეფირი და 1 ჭიქა შაქარი. ეს ხსნარი მოასხით ფოთლებს.

ეს საშუალებები გამოიყენეთ პროფილაქტიკისთვის, რომ თავიდან აიცილოთ ფოთლების სიყვითლე. ამასთან, უარყოფითი შედეგები არ მოჰყვება. იმუქმეთ მარტვი რჩევებით და ისიამოვნეთ შედეგით ბალსი და თევზზე!



ალოე – სამკურნალო თვისებები და რამდენიმე რეცეპტი

ალოეს მინერალ უმარავ უწყველი თვისებებს. მაგალითად, ხშირად გაიგონებთ, რომ ალოე ახალგაზრდაებს ადამიანს; მისი წვენი ხელს უწყობს უჯრედების განახლებას, სპობს ბაქტერიებს, აქვს ანთების საწინააღმდეგო თვისება. ალოეს კოსმეტიკაში იყენებენ ანთებითი მოვლების, კანის გაღიზიანებისა და ფერისმკაშვლების სამკურნალოდ. საკმაოდ დადებით ალოეს პატარა ნაჭერი, რომ კუჭის მოქმედება მოწესრიგებულია.



ალოეს ძველი დროიდან იყენებდნენ ხალხურ მედიცინაში, მაგალითად, ქლექის სამკურნალოდ ურჩევდნენ ალოეს დაკეპილი ფოთლების ფაფას, რომელსაც დამატებული ჰქონდა თაფლი და ცხოველური ცხიმო. ბრონქიტისა და ხანგრძლივი ხველებისას, ალოეს წვენი, თაფლის, ბატის ქონის ან კარაქის ნაზავზე ცხელი რძის დაყოფას ურჩევდნენ.

ალოეს წარმატებულად იყენებდნენ ეგვიპტელები, რომელებიც, არაბები, ჩინელები და ბერძნები. თანაც არა მარტო სამკურნალოდ, არამედ როგორც კოსმეტიკურ საშუალებას. სილამაზით ცნობილი გვიგისის დედოფალი, კლეოპატრა, სახეზე ალოესგან მომზადებულ მალამოს და ნელსაცხებელს ისევამდა.

თანამედროვე მეცნიერება ადასტურებს, რომ ალოე გველეხინება ბუნებრივ კოსმეტიკურ საშუალებად, რომელიც წმენდს კანს და ავიწროებს ფორებს. ალოეს მალამოს გააჩნია დამანერვებელი და სამკურნალო თვისებები.

ბენ – ყოველ დღით, ერთი სუფრის კოვზი ალოესა და ხილის წვენი ნარევის მიერთებენ. ამის შედეგად უმჯობესდება საჭმლის მონელების პროცესი, ადამიანი უფრო შრომისუნარიანი ხდება.

გთავაზობთ "კლეოპატრას მალამოს" დამზადების წესს: 5 გრამი ალოეს ფხვნილი შეურთეთ 40 მლ. გამოხდილ წყალს. დაუმატეთ 20 მლ. ვარდის წყალი და 10 გ. თაფლი. ნარევი დადგით წყლის აბაზანაზე და მასში შეურთეთ 100 გ. ღორის გამდნარი ქონი. მზა მალამო გადაიტანეთ ქილაში და შეინახეთ მაცივარში. დღეში ერთხელ წაისვით, სახის და ყელის კანზე, თხელ ფენად.

მას როგორც სამკურნალო მცენარეს, იცნობდნენ ჯერ კიდევ ძველი ბერძნები და რომაელები. ალექსანდრე მაკედონელის ჯარისკაცები აფრიკაში ლაშქრობისას სწავლობდნენ ალოეს წვენი-საბრის მომზადებას.

ამერიკაში მიაჩნიათ, რომ ალოე თმის ძირებს ამაგრებს და გამეფოტების საწინააღმდეგო საშუალებაა.

რომაელები მას აწენებდნენ ბალებში. არაბები ალოეს მოთმინების სიმბოლოდ თვლიდნენ, რადგან იგი ძალიან დიდ ხნის განმავლობაში არ ჭკნება.

ალოეს ძალიან უყვარს სინათლე და სითბო. კარგად ხარობს მზიან ოთახში, ფანჯრის თაროზე. თუ ფოთლების სამკურნალოდ გამოიყენება გსურთ, მოჭარმდე 2-3 დღით ადრე, შეწყვიტეთ მცენარის მორწყვა. მოჭრილი ფოთლები, 15-20 დღის განმავლობაში, მაცივარში, 2-4 გრადუსამდე შეინახეთ. ალოეს ექსტრაქტის მოსამზადებლად დააქუცმაცეთ ფოთლები, გაავსეთ ლიტრის ქილა, დაასხით წყალი. დააყოფეთ ერთი თვე მაცივარში. მიიღეთ ერთი ჩაის კოვზი ჭამის დროს ან შემდეგ უწყლოდ.

სულხან-საბა ალოეს საბრს და აზუას უწოდებდა. ალოე იზრდება ნახევრადუდაბნოებში. აქვს წვნიანი ფოთლები, ღორწივანი რბილობით, რაც უზრუნველყოფს მის არსებობას გავლენის პირობებში.

ალოეს წვენი, პროფილაქტიკური მიზნით, ჯანმრთელი ადამიანების იღუ-

მედიცინაში ალოეს გამოყენება ხდება ძირითადად სამი სახით: მშრალი წვენი, საბრის ახალი წვენი და პრეპარატების სახით.

საბრის მოსაპოვებლად აფრიკასა და ამერიკაში გამოიყენება ძალიან მსხვილ-ფოთლიანი ალოე. მას აზუადებენ შემდეგი წესით: ჭრიან მსხვილ ფოთლებს და აწყობენ დახრილ სიბრტყეზე. ფოთლიდან წვენი წვეთავს 5 სთ-ის განმავლობაში. მიღებულ წვენი ცოცხალი მცხუნვარე მზის ქვეშ თევობით. ამ ხნის განმავლობაში წვენი არც მჭავდება და არც დლილს არ განიცდის. გამოობის შემდეგ საბრს აქვს მომავო-მორუხო უფრომი მყიფე ნაჭრების სახე და ძალიან მწარე გემო.

საბრის შეიცავს საფაღარათო ანტირაგულიკოზიდებს და ფისებს. დიდი დოზებით საბრის მიღება (0, 5-1, 0 გ) იწვევს ძლიერ საფაღარათო მოქმედებას, რაც 6-8 სთ-ის შემდეგ ვლინდება. ამასთან,

ინვეს სისხლის ჭარბად მიწოდებას მენჯ-ბარძაყის ორგანოებისაკენ, ამიტომ მისი გამოყენება არ შეიძლება ორსულობის დროს.

მცირე დოზებით (0, 05-0, 2 გ) აუმჯობესებს საჭმლის მონელებას, მადას. წვენი პირობებში ალოეს ფოთლები მცირე ზომისაა. ამიტომ წვენი მისალეზად ფოთლებს ჯერ წნეხავენ და შემდეგ აორთქლებენ.

ალოეს ახალი წვენი ხელს უწყობს ჭრილობის შეხორცებას. მის წვენი თაფლთან და კარაქთან ერთად იყენებენ ტუბერკულოზისა და საერთო სისუსტის დროს.

ძლიერი ბრონქიტის დროს აიღეთ 15 გ. ალოე, ღორის ან ბატის გამდნარი ქონი 100 გ, კარაქი (უმარილი) — 100 გ, ფუტკრის თაფლი — 100 გ, გახსენით 1 ჩაის ჭიქა ცხელ რძეში და მიიღეთ დღეში 2-ჯერ. გასტრიტის, დიზენტერიისა და ქრონიკული მეკროლოზის დროს დღეში 1-2 ჩაის კოვზი ალოეს წვენი 2-3-ჯერ დღეში 30 წთ-ით ადრე ჭამის წინ. მკურნალობის კურსი 1-2 თვე.

დაჩირქებული ჭრილობებისა და დამწვრობის დროს დაიდეთ ალოეს წვენი დასველებული დოლბანდი ან პირდაპირ დაიხვეთ თვე წვენი დაზიანებულ ადგილას.

ალოეს წვენი ფართოდ იყენებენ კოსმეტიკაშიც. იგი კარგი ბიოსტიმულატორია. თუ გნებავთ კიდევ უფრო გააღამაზეთ, გარეცხეთ ალოეს ფოთლი ცივი ანადლარ წყალში, დააქუცმაცეთ ფაფისგან მასის მიღებამდე (ან ვაატარეთ ხორციის საკვებ მანქანაში), დაამატეთ 5 წლი წყალი და გააჩერეთ 1 სთ. მიღებული მასა დადგით დაბალ ცეცხლზე, მიიყვანეთ დუღილამდე, ადუღეთ 2-3 წთ, გაწურეთ 2-3 ფენა დოლბანდში (არ დაგვიწყვეთ ფოთლიდან ეკლისმავარი კიდვების მოცილებას).

ასეთი სახით დამზადებულ ალოეს წვენი ხშირად ხსნის გასაწმენდად, ფერისმკაშვლების მოსაცილებლად, ზედმეტი ცხიმინობის დროს. თუ სახის კანი მშრალია, საჭიროა, განმედიც მერე წინსვთ ცხიმოვანი მკვებავი კრემი. ნაყენის გამოყენება შეიძლება გამოსადგება პირის ღრუსა და ყელის ანთებითი პროცესების დროს.

როგორც ავიცენა მიუთითებდა ალოეს წვენი კარგი საშუალებაა მელანქოლიის დროს. ალოეს წვენი თაფლთან ერთად იღებენ დანარტყამ ადგილებზე, ხოლო მისი წვენი ღვიზისთან შერეული თმის ცვენის საწინააღმდეგოდ გამოიყენება.

ალოეს იყენებენ აგრეთვე სწორი ნაწლავისა და მამაკაცის სასქესო ორგანოების სიმსივნის დროს.

მომზადება
ია გიზიაშვილმა

საქართველოს სამკურნალო მცენარეები

პრობლემები და პარასეპტიკები

სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში გამოყენებული ნედლეულის მნიშვნელოვან წყაროს ვეღურად მოზარდი მცენარეები წარმოადგენს. განსაკუთრებით ეს ეხება იმ მცენარეებს, რომლებიც უშუალოდ ან გადაამუშავების შემდეგ გამოიყენება სამკურნალო საშუალებად.

წარმოშობის სამკურნალო საშუალებათა გამოყენება. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ მცენარეებს, რომლებიც ე. წ. ბიოლოგიურად აქტიური დანამატების (ბად) სახელწოდებითაა ცნობილი.

მედიცინაში გამოყენებულ სამკურნალო საშუალებათა საერთო რაოდენობის დაახლოებით 40% მცენარეული წარმოშობისაა.

ეს არასპეციფიკური მოქმედების მცენარეები ადამიანის ორგანიზმში ინვეს საერთო ცონვის ამაღლებას, ნივთიერებათა ცონვის სტიმულირებას და ა. შ. სამწუხაროდ, ამ მცენარეთა დიდი ნაწილი ექსტრუქციული გავრცელების არასწორი მკურნალობის გამო ფაქტორების გამო გადაშენების საფრთხის წინაშეა. ამავ დროს არ არის განსაზღვრული, დაზუსტებული ან შეფასებული მრავალი მცენარის ბიოლოგიური და საექსპლუატაციო მარაგი, საფრთხეში მყოფი პოპულაციების სიმრავლე, სტატუსი, თანამედროვე არეალი.

ყოველწლიურად მთელ მსოფლიოში ასიათასობით ტონა სამკურნალო მცენარეული ნედლეული მზადდება. მიუხედავად ამისა, სააფთიაქო ქსელისა და სამედიცინო მრეწველობის გაზრდილი მოთხოვნები მაინც ვერ კმაყოფილდება. ამის ერთ-ერთ მიზეზს მრავალი მცენარის გავრცელებისა და ბუნებრივი რესურსების შესახებ მონაცემთა არარსებობა წარმოადგენს.

საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების ნაირგვარობა და კონტრასტულობა, განსხვავებული ფიტოლანდშაფტური მდებარეობა მცენარეული მარაგის განსაკუთრებულ სიმდიდრესა და მრავალფეროვნებას განაპირობებს.

საქართველოს ფლორა მოიცავს უმაღლეს მცენარეთა 4 ათასზე მეტ სახეობას, რომელთა შორის 700-მდე გამოიყენება სახალხო მედიცინაში, 200-მდე კი მეცნიერულ მედიცინაში.

უძველესი ცნობები, რომლებიც საქართველოში სამედიცინო მიზნით მცენარეთა გამოყენებაზე მიუთითებს, მითოლოგიურია.

ბერძნული მითების თანახმად, კოლხიდაში (კოლხეთი) იყო არტემისის ჯადოსნური ბაღები, მეფე აიეტის ასული მედეა ფლობდა მცენარეთა სამკურნალო და მაგიური მოქმედების სადღუმლოს და სხვა.

საქართველოს ფლორაში მოიხსენიებიან მცენარეული მარაგის მრავალი სახეობა, რათა მივაკვლიოთ სად და რა რაოდენობით იზრდება ესა თუ ის მცენარე, რომელ სახეობაზეა დამამზადებლის ყურადღება მისაქცევი და სხვა.

შუა საუკუნეებში საქართველოში შეიქმნა მნიშვნელოვანი სამედიცინო რესურსების რაციონალური გამოყენება ბუნებრივი სამკურნალო პრეპარატების მისაღებად გარკვეულ წვლილს შეიტანს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ალორმინებაში.

გარდა ამისა, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებზე დიდი მოთხოვნილებების გამო, სამკურნალო მცენარეთა მნიშვნელოვანი ნაწილის კულტივირება გააადვილებს მათი რესურსების კონსერვაციას და გარკვეულ წვლილს შეიტანს ადგილობრივი ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების საქმეში, ასევე შეიძლება გახდეს მომავლიანი კომერცია და საქმიანი წრეების დაინტერესებაც გამოინვიოს.

მათი მოცემული ცნობები მრავალი ველური და კულტურული მცენარის სამკურნალო მნიშვნელობასა და გამოყენების შესახებ.

თანამედროვე მედიცინაში ფიტოთერაპიას (მცენარეებით მკურნალობა) და ნაწილობრივ მედიკამენტოზურ თერაპიას საფუძვლად უდევს მცენარეული

ჯუმბარა კუჭუხიძე
სატყეო მოამბე

ყველაზე ცნობილი სამკურნალო მცენარეები

როგორც ცნობილია, ფიტოთერაპია სხვადასხვა დაავადების მკურნალობის მეთოდია, რომელიც უძველესი ხალხური მედიცინის საფუძველზე გაჩნდა. ის მცენარეებისა და მათგან მიღებული ნაშთების გამოყენებას ეყრდნობა. ამიტომაც ფიტოთერაპიას „ბალახებით მკურნალობასაც“ უწოდებენ. ამდენად, ფიტოთერაპია არატრადიციული მედიცინის ერთ-ერთი ნაწილია.

დროს. ასევე როგორც ამოსახველებელი, ბრონქიტების, ყვიანახველას დროს. მრავალძარღვას საწინააღმდეგო ჩვენება: გასტრიტისა და წყლულოვანი დაავადებების, მალალი მუყაფანობისას არ გამოიყენება.

პრაქტიკულად არ არსებობს მცენარე, მისი გამოყენება პრეპარატების მოსამზადებლად არ შეიძლებოდეს (როგორც ცალკეა, ისე ერთობლივად, სხვებთან კომბინაციაში).

• **პიტნა**
მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარის გვარია ტუჩოსანთა ოჯახიდან. 50-100 სმ სიმაღლის ფესვიანი მცენარეა. გვარი მდიდარია სახეობებით. საქართველოში ველურად იზრდება მხოლოდ 4 სახეობა: ომბალი, მიწვერის პიტნა, წყლის პიტნა, ტყის პიტნა. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყლის ტენიან მდელოებზე, ტყის პირებზე, ბუჩქნარებში, მდინარეთა სანაპიროებზე.

გვინდა რამდენიმე ძალიან ცნობილ მცენარეს შევხებით, რომელთა სამკურნალო თვისებების შესახებ ბევრი რამ ვიცით, თუმცა ზოგიც უცნობია. ამასთან, გავიხსენოთ მათი გარკვეული უკუჩვენებებიც.

• **პიტნის ფოთლი** და ყვავილენი ეთეროვან ზეთს შეიცავს, რომლის ძირითადი კომპონენტი მენთოლია. ფოთლისგან დამზადებულ ნაყენს იყენებენ მედიცინაში. ფოთლისა და მინისზედა ნაწილებსაგან მიიღება პიტნის ზეთი, რომელსაც, როგორც არომატულ ნივთიერებას, პარფიუმერია-კოსმეტიკაში ხშირად იყენებენ. კვების მრეწველობაში პიტნის ზეთი და ფოთლი კარგი საწებლებელია. ახასიათებს დამანყენარებელი, ტკივილგამაყუჩებელი, ნალექმდენი, მინაგანი ორგანოების გლუვი კუნთების მომადუნებელი და საჭმლის მომნელებელი ჯირკვლების ეთეროვანი გამაძლიერებელი მოქმედება. ეს ეფექტები განპირობებულია მასში შემავალი მენთოლით, რომელიც იწვევს გულის, ფლტვისა და თავის ტვინის სისხლძარღვების გაფართოებას.

• **მრავალძარღვა**
მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა მრავალძარღვისებრთა ოჯახიდან. გვრცელებულია მთელს საქართველოში გზის პირებზე, ბილიკებზე, თვლებში, ბაღებში, საძოვრებზე, საცხოვრებლის ახლოს, ტენიან ნიადაგებში. მთაში გვხვდება თითქმის 2500 მ-მდე ზღვის დონიდან.

გამოიყენება: ნევროზების, უძილობის, სტენოკარდიის, ნალვანის ბუშტისა და ზედა სასუნთქი გზების ანთების, კბილის ტკივილისას.

როგორც აბი და ფიტოთერაპევტი მაკა ჭაჭხანიძე გვეუბნება, მას საფაღარათო, ანთების საწინააღმდეგო, სისხლდენის შემამჩრებელი, ჭრილობის შემამჩრებელი ეფექტი აქვს.

გამოიყენება: ნევროზების, უძილობის, სტენოკარდიის, ნალვანის ბუშტისა და ზედა სასუნთქი გზების ანთების, კბილის ტკივილისას.

გამოიყენება: დაბალი მუყაფანობით მიმდინარე გასტრიტის, ენტერიტის, კოლიტის, წყლულოვანი დაავადებების

ზემო შესაძლოა გულის ტკივილი გამოინვიოს.

• **გვირილა**
როტულყვავილოვანთა ოჯახის რამდენიმე გვარის მცენარეთა კრებითი სახელწოდება. საქართველოში 24-მდე სახეობაა ცნობილი, მათგან 10 კავკასიის ენდემია, 3 – საქართველოსი. იზრდება მთის ქვემო სარტყლიდან მოკიდებული ალპურ სარტყლამდე, მდელოებსა და მალაბალახულში, ტყისპირებსა და ბუჩქნარებში, ტენიან და დაჭაობებულ ადგილებში, ქვიან და კლდოვან აკლთებზე, ჩამონახვავებზე.

გვირილა ანტისეპტიკური, სისხლდენის შემამჩრებელი, ტკივილგამაყუჩებელი ეფექტით გამოირჩევა, ამასთან, გულმდენი, ნალექმდენი, ანტიალერგიული, დამამუვიდებელი, ანთების საწინააღმდეგო მცენარეა.

გამოიყენება: ქრონიკული გასტრიტის, ქოლერისტიტის, ნაწლავების დისკენიზის, მეტეორიზმის, უძილობის, შემუშების, ნევროზისა და ნევრალგიის დროს.

ადგილობრივად იყენებენ – ფურუნკულის, დამწვრობის, ანგიის, სტომატიტის დროსაც.

• **კუნელი**
კუნელი ეკლიანი ხეებისა და ბუჩქების გვარისა ვარდისებრთა ოჯახიდან. მოიცავს 200-მდე სახეობას, რომელიც გავრცელებულია ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ზომიერსა და ნაწილობრივ სუბტროპიკული ჰავის ზონაში.

კავკასიაში ბუნებრივად გავრცელებული 20-მდე სახეობიდან საქართველოში 9 იზრდება. მათგან კავკასიური კუნელი და კოლხური კუნელი ენ-დებებია.



საკმაოდ ყინვაგამძლე და სინათლის მოყვარული მცენარეა და ცოცხლობს 200-300 წელს.

ჩრდილოეთ ამერიკაში. უმეტესად გავრცელებულია ჩვეულებრივი ცხენისნაბლა, რომელიც ბაღებსა და პარკებში გვხვდება. მისი სიმაღლე 30 მეტრს აღწევს, ღეროს დიამეტრი 2 მეტრამდეა.

მოქმედება: კორონალური და თავის ტვინის სისხლძარღვების გამაფართოვებელი, ნერვული სისტემის დამამუვიდებელი, გულისა და თავის ტვინის უანგბდით მომარაგების გამაძლიერებელი, ნივთიერებათა ცვლის და ძილის მომანერგებელი, გულის რითმის მანორმალიზებელი და სისხლში ქოლესტერინის შემამცირებელია.

მოქმედება: მატონიზირებელია, სისხლდენის შემამჩრებელი, ანტიბაქტერიული, შარდმდენი, ანთების საწინააღმდეგო. მასში შემავალი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები ამცირებს სისხლძარღვების, კაპილარების შეღწევალობას, აქვეითებს სისხლის სიბლანტეს, ზრდის მათ ტონუსს, როცა დარღვეულია ვენოზური გამჭარობა.

გამოიყენება: სტენოკარდიის, ტვინის სისხლძარღვების შევიწროების, გულის რითმის დარღვევის, უძილობის, კლიმაქსის, შიპერტონიის საწყის სტადიის დროს.

გამოიყენება: ვენების ვარიკოზული გაგანერებისას, ჰემოროის, მიოზიტების, ნევრალგიის, ათეროსკლეროზისას.

საწინააღმდეგო ჩვენება: არტერიული ჰიპოტენზია.

საწინააღმდეგო ჩვენება კი ასეთია: ნაწილობრივ ცხენისნაბლას მიღება უარყოფით გავლენას ახდენს საჭმლის მოწებებაზე, შეიძლება, გამოინვიოს ტკივილი მუცლის არეში და შეტერობა.

• **ცხენისნაბლა**
ხეების, იშვიათად ბუჩქების გვარია საპინდელისებრთა ოჯახიდან. 15-მდე სახეობა იზრდება ევროპაში, აზიასა და

მოამზადება ია გიზიაშვილმა

მეცნიერები და ექიმები გვაფრთხილებენ, გვირჩევენ, გვთავაზობენ!

„მონოღება: „არ აიცრათ!“, უბუნურებაა!“

„ვისაც ხელი მიუწვდება, გრიპისა და მათ შორის – H1N1-ის ვაქცინაცია წელს ყველამ უნდა ჩაიტაროს, რათა შევამციროთ ზოგადად რესპირაციული ინფექციების სიხშირე. გრიპისა და კორონავირუსის დიფერენცირება კლინიკურად ძალიან ძნელია და თუ გვექნება ბევრი შემთხვევა, ძალიან რთული სიტუაცია შეიქმნება...“

საქართველო ერთ-ერთი უმცირესი ქვეყანაა, რომლის შესაბამისად კორონავირუსზე ოთხ მედიკამენტს გამოიყენებენ. კვლევის დეტალებსა და ქვეყანაში არსებულ სიახლეებზე ინფექციური საავადმყოფოს ინფექციონისტი ალექსანდრე ბომბინაძე გვესაუბრება.

– რომელი თანამდევნი დაავადება ითვლება ყველაზე სახიფათოდ?

– არტერიული ჰიპერტენზია, ანუ წნევის მატება, შაქრიანი დიაბეტი, გულ-სისხლძარღვითა სხვადასხვა დაავადება, გულის ქრონიკული უკმარისობა, თირკმლის ქრონიკული უკმარისობა, ღვიძლის ქრონიკული უკმარისობა, ჭარბი წონა და ა. შ.

– ჯანმრთელობაზე გვიამბეთ, რომელსაც „სოლიდარობის კვლევა“ უწოდებს. როგორც ცნობილია, ამ კვლევაში საქართველოც მიიღებს მონაწილეობას.

– ეს იქნება მსოფლიოში Covid 19-ის სანინაზღვრო მედიკამენტების ეფექტურობის დასადაგენად ყველაზე მასშტაბური კვლევა, რომელიც ყველა ქვეყანაში არ ტარდება. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ სხვადასხვა ქვეყანა იარჩია და კარგია, რომ მათგან ერთ-ერთი საქართველოა.

კვლევის საგანია ოთხი პრეპარატი, რომელთაგან ერთ-ერთი ჩვენთვის კარგად ცნობილი „რემდევირი“ა. ის ამ ეტაპზე კოვიდინფექციის სამკურნალოდ ყველაზე საიმედოდ ითვლება. მეორე პრეპარატი უფრო კარგად ცნობილი „პლაქვენია“, რომელიც წარმატებით გამოიყენება საქართველოში. მესამეა „ლოპინავირ/რიტონავირი“, რომელიც შიდსის სამკურნალო პრეპარატია, თუმცა ჩინეთსა და ევროპის ქვეყნებში ისიც გამოიყენეს კორონავირუსის სამკურნალოდ და კარგი შედეგები გამოიყენეს. მეოთხე არის „ლოპინავირ/რიტონავირი“ და მასთან ერთად „ბეტაინტერფერონი“. ალბათ, რომელიმე, რომელიც კვლევის შედეგად უკეთეს შედეგს აჩვენებს, ჯანმო კორონავირუსული ინფექციის სამკურნალო პრეპარატად აირჩევს.

– როგორ შეაჩვენა პაციენტებს, რომლებიც ამ კვლევაში ჩაერთვებიან?

– პაციენტები კვლევაში ჩაერთვებიან ნებაყოფლობით. კრიტერიუმები გამოქვეყნდება კვლევის დანებებისას.

– ჯანმო როგორ ირჩევს ქვეყნებს?

– შერჩევა ისევ გრძელდება. მე ყველა ქვეყანაზე ვერ ვილაპარაკებ, მაგრამ მინდა ვთქვა, რომ ჯანმრთელობის ქვეყნები, სადაც კორონავირუსული ინფექციის მართვა მეტ-ნაკლებად წარმატებით მიმდინარეობს და რომლებსაც სხვადასხვა ინფექციური დაავადების კვლევის გამოცდილება აქვთ. მოგესვენებათ, საქართველოშიც ვევაქცინირებთ ელიმინაციის უბრუნებელი პროგრამა ხორციელდება, რაც ერთ-ერთი განმაპირობებელია იმისა, რომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია ენდობა საქართველოს, როგორც ქვეყანას, რომელსაც აქვს რესურსი ასეთი სერიოზული კვლევის ჩასატარებლად.

– როგორ შეხვდით აშშ-ის ალერგიისა და ინფექციური დაავადებათა ეროვნული ინსტიტუტის დირექტორის, მსოფლიო მედიცინის ერთ-ერთი ლიდერის, პროფესორ ენტონი ფაუჩის წინაშე, რომელიც მან ინფექციური პათოლოგიისა და შიდსის ცენტრს გამოუგზავნა და Covid 19-ის წინააღმდეგ საქართველოს ბრძოლა წარმატებულად შეაფასა?

– რა თქმა უნდა, ეს სასიხარულოა.



ალენიშნაე იმასაც, რომ ბატონი ფაუჩისა და ფაუჩის აკადემიკოსობა ხანგრძლივი მეგობრობა და თანამშრომლობა. სხვადასხვა დროს საქართველოს წინაშე ფაუჩის დამსახურება ძალიან დიდია. თავისი საბურთავე და ეს არის დიდი პასუხისმგებლობაც, რომ დანებდნენ საქმე წარმატებით მივიყვანოთ ბოლომდე.

– ვაქცინასთან დაკავშირებით თუ გვაქვს ახალი ინფორმაცია?

– ვაქცინაზე მუშაობა ბევრ ქვეყანაში მიმდინარეობს. რთული სათქმელია, ზუსტად როდის იქნება. უკეთეს შემთხვევაში ეს შეიძლება იანვარ-თებერვალში მოხდეს.

– როგორ ფიქრობთ, ნამალი უფრო ადრე იქნება თუ ვაქცინა? და რა პერსპექტივა გვაქვს ამა თუ იმ შემთხვევაში?

– ფიქრობ, ნამალი უფრო ადრე იქნება. ეფექტური ნამლის წყალობით იმ პაციენტებს, რომლებსაც დროულად დაეწყებათ კორონავირუსის მკურნალობა, შეუმცირდებათ გართულებები, ვირუსმატარებლობის ვადა და დაავადების ხანგრძლივობა, ანუ უფრო იოლად გადაიტანენ დაავადებას, შემცირდება გადადებაც, თუმცა იმისთვის, რომ კორონავირუსი დავამარცხოთ, აუცილებელია ვაქცინა. ვისაც ხელი მიუწვდება, გრიპისა და მათ შორის – H1N1-ის ვაქცინაცია წელს ყველამ უნდა ჩაიტაროს, რათა შევამციროთ ზოგადად რესპირაციული ინფექციების სიხშირე. გრიპისა და კორონავირუსის დიფერენცირება კლინიკურად ძალიან ძნელია და თუ გვექნება ბევრი შემთხვევა, ძალიან რთული სიტუაცია შეიქმნება.



ციის დამსახურებაა. მონოღება: „არ აიცრათ!“ ჩემი აზრით, უბუნურებაა.

– შეზღუდვების ნაწილი მოიხსნა. ხალხს მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა შექმნა და გასაგებია, რომ ეს აუცილებელია, მაგრამ ხომ არ არის საშიშროება, ისევ იფეთქოს დაავადებამ?

– ბოლო რამდენიმე დღის სტატისტიკით ახალმა შემთხვევებმა იკლო, თან ყოველდღიურად უფრო და უფრო მეტი ადამიანი იტარებს ტესტირებას. ამის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ პანდემიის პიკი, ალბათ, უკვე გადავლახეთ და საფრთხე შემცირდა, თუმცა მოსახლეობამ არ უნდა იფიქროს, რომ ყველაფერმა ჩაიარა და კორონავირუსი გაქრა. თითოეულმა ჩვენგანმა ისევ უნდა გააგრძელოს დისტანციისა და ჰიგიენური ნორმების დაცვა, დახურულ სივრცეში პირბადით სიარული. სოციალური და ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით უახლოესი რეგულაციების შემსუბუქება აუცილებელია, მაგრამ დანარჩენი ჩვენს ხელშია.

– ტურისტული სეზონის გააქტიურება სახიფათოა? ჩვენი სტუმრები, ძირითადად, არიან სომეხი, აზერბაიჯანელი, რუსი და უკრაინელი ტურისტები, მათთან კი ახლა არცთუ სახარბიელო სიტუაციაა...

– მე როგორც ვიცი, ჯერ შიდა ტურიზმი აღდგება, თუმცა საქართველოს ეკონომიკისთვის ეს უმნიშვნელოვანესი სფეროა და, ჩემი აზრით, შეზღუდვები იმ ქვეყნის მოქალაქეებისთვისაც უნდა მოიხსნას, სადაც ემიგრაციული მდგომარეობა მეტ-ნაკლებად გამოისწორდება. სხვა შემთხვევაში, რა თქმა უნდა, რისკი დიდია.

თუ ტურისტების დიდ ნაკადს მივიღებთ იმ ქვეყნიდან, სადაც ჯერჯერო-

ბით სიტუაცია უმართავია, რა თქმა უნდა, საფრთხე მოიმატებს.

– ზღვა არა მარტო უცხოელების, არამედ აქაურებისთვისაც განსაკუთრებით საყვარელი ადგილია. ხომ არ არის რისკი ზანაზობის შედეგად დაინფიცირების?

– ზღვა საშიში არ არის. ამასთან დაკავშირებით ბევრი კვლევა ჩატარდა, მაგრამ ვერც ერთმა ვერ დაადასტურა, რომ ზღვიდან კორონავირუსით დაინფიცირების საფრთხე არსებობს. ზღვა – არა, მაგრამ სახიფათო შეიძლება იყოს პლაჟი, სადაც აუცილებელი იქნება დისტანცირება.

– არც მდინარეზე ზანაზობა საშიშია?

– არა. არც გამდინარე წყალა საშიშია და არც – სასმელი, რადგან სასმელ წყალს ქლორით სტერილიზაცია უკეთდება, ქლორი კი ადვილად კლავს კორონავირუსს.

– ზღვებში მომრავლებული კოლონიები თუ შეიძლება გახდეს კორონავირუსის გადამტანი?

– არა, ჯერჯერობით კორონავირუსული ინფექციის ტრანსმისიული გზით, ანუ კბენით გადადების არც ერთ შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

– კორონავირუსის ეს სეზონი როდის დასრულდება?

– პანდემიის პირველი ტალღა, ალბათ, ივნისი-ივლისისთვის დასრულდება, თუმცა კორონავირუსი არსად წავა. ის იქნება ჩვეთთან ერთად, ოღონდ არა – ასეთი აგრესიული სახით. რაც შეეხება მეორე ტალღას, რომელიც შეიძლება შემოდგომამდე ან ზამთარში აგორდეს, იქნება უფრო მსუბუქი და ამასობაში, იმეღია, ვაქცინაც ნამოგვეწვება.

აკა სპალტრა

ვიტამინი D კარანტინი – რა მოვიმოქმედოთ რომ მონოღებამ

#დარჩისახლში ჯანმრთელობაზე ნებატიური გავლენა არ მოახდინოს

იმ უდიდეს სარგებელთან ერთად, რაც ამ ეტაპზე თვითიზოლაციას მოაქვს ადამიანებისთვის, სახლში ხანგრძლივად ყოფნამ შეიძლება ზიანიც მოგვიტანოს. პირველი, რასაც ყველა აღნიშნავს არის სტრესი, რადგან ამას თავადაც გრძობენ და აწუხებთ. თუმცა ეს ყველაფერი არაა. მზის სხივების ნაკლებობითა და უმოძრაობით არაერთი პრობლემა იჩენს თავს, რაც საბოლოოდ ცხოვრების ხარისხზე სერიოზულ გავლენას ახდენს. ერთ-ერთი უპირველესი პრობლემა ვიტამინის ნაკლებობაა.

რისთვის არის მნიშვნელოვანი ვიტამინი D?

რაქიტო, ოსტეომალაცია, ოსტეოპოროზი, სიმსივნე, დიაბეტი, გულ-სისხლძარღვითა დაავადებები, დეპრესია, იმუნური სისტემის დაქვეითება, ავტოიმუნური დაავადებები – ეს არის ჩამონათვლი იმ დაავადებებისა, რომლებსაც ორგანიზმში ვიტამინის ნაკლებობა იწვევს. მეცნიერულად დიდი ხანია დადგენილია, რომ ამ ვიტამინის დიდი როლი აქვს ძვალ-სახსროვანი სისტემის განვითარებაში, განსაკუთრებით, კი ბავშვებისა და მოზარდებისთვის. თუმცა თანამედროვე კვლევები ადასტურებს, რომ იმ დაავადებების ჩამონათვალი, რასაც ვიტამინის დეფიციტი იწვევს, გაცილებით ფართოა.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ვიტამინის ნაკლებობა მსოფლიო მოსახლეობის 13%-ის ჯანმრთელობაზე ახდენს ნეგატიურ ზეგავლენას.

რამდენია ვიტამინის დღიური ნორმა?

D ვიტამინის დოზირებასთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრე-

ბები არსებობს. თუ აშშ-ის მედიცინის ეროვნული აკადემია განმარტავს, რომ მოსახლეობის უმეტესი ნაწილისთვის დღიურად 600-800 I ვიტამინი საკმარისია, ამერიკელი ენდოკრინოლოგების რეკომენდაციით, დღიურად 1.500-2.000 I უნდა მივიღოთ.

რა არის D ვიტამინის წყარო?

ამ უმნიშვნელოვანესი ვიტამინის მთავარი წყარო მზეა, ამიტომ წარმოადგენს აუცილებლობას სეირნობა, დასვენების დღეების ბუნებაში გატარება. კვლევების თანახმად, ღია ფერის კანი მქონე ადამიანებს მზეზე დროის გატარება 8-15 წუთი სჭირდებათ, რომ ვიტამინის საჭირო დოზა მიიღონ, ხოლო მათ, ვისაც უფრო მუქი კანი აქვთ, მზის სხივებს მეტად უნდა მიეფიცნონ.

უკანასკნელ პერიოდში კი როცა ყველა თვითიზოლაციაშია და თან მეტ-ნაკლებად უმზერო ამინდებია, ადამიანების დიდი ნაწილი მზის სხივებიდან საჭირო რაოდენობის ვიტამინის მიღებას ვერ ახერხებს. ამიტომ დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ კვებას და ვეცადოთ ვიტამინის დეფიციტი არსებობდნენ მივიღოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი პრეპარატის სახით მიღება გახდება საჭირო.

პროფუტაბი, რომელიც დიდი რაოდენობით ვიტამინის შეიცავს

ოკეანის ცხიმისანი თევზი ორაგული – ეს ერთადერთი პროდუქტია, რომელიც განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ვიტამინს შეიცავს. ხშირად, მას ვიტამინის საბადოდც მოიხსენიებენ. სწორედ ამიტომ ექიმების მთავარი რეკომენდაციაა, მიიღოთ ორაგული კვირაში რამდენჯერმე.



აშშ-ის სოფლის მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების თანახმად, 100 გრამი ორაგული 526 IU (International Unit) რაოდენობის ვიტამინს შეიცავს.

საჭირო რაოდენობის ვიტამინის მისაღებად აუცილებელია ოკეანის ხარისხიანი ორაგული მიირთვათ. როგორც საქართველოში არსებული ყველაზე დიდი თევზის საწარმოს, „ნიკორას“ შვილობილი კომპანიის, „ოკეანის“ ტექნოლოგი განმარტავს, ორაგულის შერჩევისას უნდა გავითვალისწინოთ მისი წარმომავლობა და ხარისხი. აუცილებელია, ის ბუნებრივი საკვებით იყოს გაზრდილი და შენახვის ყველა პირობა დაცული იყოს, რათა ყველა ვიტამინი შენარჩუნდეს.

ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ ნედლეულის ხარისხს. ნედლეუ-

ლი შემოგვაქვს როგორც ნორვეგიიდან (ჩრდილოეთ ზღვაში მოპოვებული), ასევე ალიასკიდან. უგემოიერესი „ნორვეგიული ორაგული“ ფილე, რომელსაც მომხმარებელს 120გრ-იანი შეფუთვით ვთავაზობთ უმაღლესი ხარისხის პროდუქტია. დამზადების ტექნოლოგიით ეს არის ბუნებრივ ნახევარზე ცივად შეზღუდული, ორაგული ასევე შეიცავს დიდი რაოდენობით პროტეინებს, ომეგა სამის ცხიმოვან მჟავას. გარდა აღნიშნულისა, მომხმარებელს ასევე უმაღლესი ხარისხის ასანონ ორგანული სტეკის ვთავაზობთ, – განმარტავს „ოკეანის“ ტექნოლოგი.

ოკეანის ცხიმისანი თევზის, ორაგულის გარდა დიდი რაოდენობით

ვიტამინს შეიცავს კვერცხი და რძის პროდუქტები. თუ პროტეინების უმეტესი ნაწილი კვერცხის ცილაშია მოქცეული, მინერალები და ვიტამინები ძირითადად, მის გულში იყრის თავს. ერთი კვერცხის გულში 37 I რაოდენობის ვიტამინი არის მდიდარი. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კვერცხში ვიტამინის შემცველობა დამოკიდებულია მის ხარისხზე. თუ ქათამი ბუნებრივი საშუალებებით იკვებება და ეკოლოგიურად სუფთა გარემოშია გაზრდილი, მისი კვერცხიც ნატურალურია და მდიდარია როგორც სხვა საჭირო ვიტამინებით, ისე ვიტამინით.

გარდა აღნიშნულისა ვიტამინს დიდი რაოდენობით შეიცავს ისეთი პროდუქტებიც, როგორცაა: სოკო, ფორთოხლის წვენი, ნატურალური იოგურტი და მარცვლეული.

თუთა – „კენკრის დედოფალი“

სიცოცხლის ხე – ასე მოიხსენიებენ თუთას აღმოსავლეთის ქვეყნებში, ხოლო მისი ნაყოფს – „კენკრის დედოფალად“ მიიჩნევენ. ბევრი საინტერესო ფაქტი არსებობს მცენარესთან დაკავშირებით და აქ, ზოგიერთ მათგანს წარმოგიდგინებ:

აბრეშუმის არსებობა თუთის ხის გარეშე წარმოუდგენელია და ამიტომ, ზოგიერთ ქვეყანაში მას აბრეშუმასაც ეძახიან.

ჩვენ შეიძლება არაფერი გვცოდნოდეს აბრეშუმის ქსოვილის შესახებ, რომ არაერთი ფაქტი: ლეგენდის თანახმად, ეს ამბავი ძვ. წ. აღწ. 2640 წ. მოხდა. იმ დროს ჩინეთში ცხოვრობდა პრინცესა სი ლინ ში და ერთხელ, როდესაც ის თუთის ხის ჩრდილო იჯდა და ჩაის სვამდა, ჭიქაში აბრეშუმის ჭურჭლი ჩაუვარდა. გოგონამ შეამჩნია, რომ ჭურჭმა დნობა და ძაფებად დაშლა დაიწყო. სწორედ ასე გაიგეს ჩინელებმა და შემდეგ სხვებმაც, რომ ჩვეულებრივ პეპლის მუხლუხოს, რომელიც თუთის ხეზე ბინადრობს, ჩვენთვის უმშვენიერესი აბრეშუმის ქსოვილის ჩუქება შეუძლია.

თუთის ხე, ჩვეულებრივ, 200 წლამდე ცოცხლობს, ხან – 500 წლამდეც და 1 დიდ ხეს, სეზონზე, დაახლოებით, 200 კგ-მდე ნაყოფის მოცუმა შეუძლია.

შავი თუთის სამშობლოდ სამხ-დას. აზია ითვლება, ხოლო თეთრის – აღმ. ჩინეთი. 4 ათასი წლის მანძილზე, ჩინეთში ამ ხეს, ძირითადად, როგორც აბრეშუმის ჭიის საკვებად ზრდიდნენ და ნაყოფს უწოდებდნენ ნაკლებად აქცევდნენ. ჩრდ. კვირისზე ყოველწლიურად, თუთის მუხლუხოს საბატეცემოდ, ფესტივალი იმართება.

ძველთაგანვე, შუა აზიაში და აღმოსავლეთის ქვეყნებში თუთის ხე წმინდად ითვლებოდა და ამიტომ, სწორედ მის ქვეშ დგამდნენ მაგიდას, რომლის ირგვლივ იჯდებოდნენ იკრიბებოდნენ. იქ თუთის ხის ქვეშ ყოფნა, უსაფრთხოების გარანტიად ითვლებოდა. ხოლო, ხის ფესტივისგან თილისმებს ამაზღვებდნენ. ზოგიერთ რეგიონში ეს ტრადიცია დღემდე არსებობს.

შინკალურების 10 მიზეზი

1. ხელს უშლის სიმსივნის განვითარებას
თუთა დიდი რაოდენობით ანტოციანს, კვერციტინს და კეფეროლს შეიცავს, რომელიც თავისუფალ რადიკალებთან ბრძოლაში ეხმარება ორგანიზმს. გარდა ამისა, მას ბევრი სხვა უპირატესობაც აქვს. მათ შორის: ორგანიზმის დაბერების შეწყვეტა, ლიპიდების, ტუქუს და მსხვილი ნაწლავის კიბოს პრევენცია, ალერგიის გამოვლენის შემცირება და ა. შ.

2. ამცირებს გულ-სისხლძარღვთა დაავადების რისკს
ზემით თქმულის გარდა, კვერციტინს და კეფეროლს ასევე შეუძლია გულის და პიპერტონის დაავადების რის-

კის შემცირება. თუთა აძლიერებს სისხლძარღვებს და ხელს უშლის მის კედლებზე სისხლის კოლტების განვითარებას.

უამრავ სასარგებლო თვისებებთან ერთად, თუთის ნაყოფს აქვს უკუჩვენებაც. პიპერტონის შემთხვევაში, მისი სიკეთეების ბოროტად გამოყენება არ შეიძლება. რადგან, შესაძლებელია, წნევის აწევა გამოიწვიოს.

3. ამცირებს „ცუდი“ ქოლესტერინის რაოდენობას სისხლში
თუთა, მასში არსებული გამა-ამინო-ერბომჟავას (I მემუიონი), ამცირებს შაქრის დონეს სისხლში. ის შეიცავს ფიტოსტერონსაც, რომელსაც სისხლში ქოლესტერინის დონის შემცირება შეუძლია.

4. დადებითად მოქმედებს კანზე და მხედველობაზე
თუთა წყურვილის გრძობას კლავს, ატენიანებს სხეულს. ფესვის ექსტრაქტი ამშვიდებს კანის ანთებას და აპირალებს მას. ის შეიცავს ზეაქსანტინს, რომელიც თვალის უჯრედებში ამცირებს ჟანგვის სტრესს. ხოლო, კაროტინოიდები, რომელიც ასევე შეეძლება ნაყოფის შემადგენლობაში, თვალს იცავს კატარაქტის და ყვითელი ლაქის დევენერაციისგან.

5. ებრძვის ანთებით პროცესს
თუთაში რესვერატროლის არსებობა, უზრუნველყოფს მის ანთების საწინააღმდეგო თვისებას. თუთა ასევე შეიცავს ანტოციანებს, რომელიც იცავს ორგანიზმს ანთებით პროცესების განვითარებისგან. ხანდახან, პოპოლათიურ მედიცინაში, თუთის ნაყოფს ანთების ბუნებრივი ალბათიური საშუალებების ალტერნატივად იყენებენ. პერდოს უნივერსიტეტის (ურდუ) ნივერსიტეტი, ინდიანა, აშშ) მეცნიერთა კვლევის თანახმად, თუთა ჩინურ ფიტო-თერაპიაში, საუკუნეების მანძილზე, ართრიტის სამკურნალოდ გამოიყენებოდა.

6. ამცირებს გაციების სიმპტომებს
თუთა დიდი რაოდენობით C ვიტამინს შეიცავს, რაც მას ორგანიზმის გაციებისგან დაცვის საუკეთესო საშუალებად ხდის. გაციების გარდა, ის ორგანიზმს იცავს ალერგიული პროცესის განვითარების, ტუბერკულოზის, ფლავების დაავადებების, ვირუსების და სხვა დაავადებებისგან, ამცირებს ორგანიზმის იმუნურ სისტემას. თეთრი თუთა ბაქტერიოციდულ და მატონიზირებელ საშუალებად ითვლება.

7. არის ვიტამინების და მიკროელემენტების წყარო
თუთის ნაყოფში შემავალი ვიტამინების, მინერალების და სხვა სასარგებ-

ლო ნივთიერების ჩამონათვალი მეტად შთაბეჭდილია. ვიტამინებიდან აღსანიშნავია A, K, C, PP და ჯგუფის ვიტამინები, მათ შორის 1, 2 და პირიდოქსინი (B6 ვიტამინის ერთ-ერთი ფორმა). ხოლო მიკროელემენტებიდან შეიცავს კალიუმს, მაგნიუმს, კალციუმს, ფოსფორს, ნატრიუმს და რკინას. აქვს ნალღმდენი და შარდმდენი თვისება.

8. აუმჯობესებს სისხლის შემადგენლობას
თუთა შეიცავს დიდი რაოდენობის ფოლიუმის მჟავას, რომელიც ხელს უწყობს ზურგის ტვინის და თავის ტვინის უჯრედების ზრდას. ის ასევე საუკეთესო პროფილაქტიკური საშუალებაა ანემიის წინააღმდეგ.

9. ხელს უწყობს ნივთ-ნაწილის ტრანსპორტირებას
ფალარათის დროს რეკომენდირებულია უმნიშვარი ნაყოფის მიღება, ხოლო კოლტის შემთხვევაში, პირიქით – ნაყოფი მნიშვნეულად უნდა იყოს. მაგრამ, დიდი რაოდენობით ნაყოფის მიღებაც არ არის რეკომენდირებული, რადგან შეიძლება კოლტი – დიარეაში გადაიზარდოს.


10. ხელს უშლის დემენციის (ჭკუასუსტობა ან საკოვან ადამიანებში) განვითარებას
კვლევამ აჩვენა, რომ თუთა მნიშვნელოვან დამცავ ზეგავლენას ახდენს ნერვულ სისტემაზე. აძლიერებს ტვინს, უნარჩუნებს მას ახალგაზრდობას და მხელობას ანაჩუქებს.

შავი თუთის მურაბა
ინგრედიენტები: თუთა – 1 კგ. შაქრის ფხვნილი – 1 კგ. ლიმონი – 1 ცალი. ვანილის ექსტრაქტი – 1 წვეთი.

- მომზადება:**
1. თუთა თუმფალანგში გარეცხეთ > ცოტა ხნით მასში დატოვეთ, რომ დაინრიტოს.
 2. გადარჩიეთ: მოაცილეთ გადამწიფებული და გაფუჭებული კენკრა > მაკრატული მოაჭრით ყუნწები.
 3. გადაიტანეთ თუთა ემალირებულ თასში და დააყარეთ შაქარი.
 4. გააჩერეთ ასე რამდენიმე საათი, ვიდრე წვენი არ გამოიყვა.
 5. დადით ცეცხლზე > მიიყვანეთ დუღილის ტემპერატურამდე > მოხადეთ ქაფი და ადუღეთ 30 წთ.
 6. ვიდრე ცეცხლიდან გადმოდგამთ, დაამატეთ ლიმონის წვენი და ვანილი.
 7. შენიშვნა: თუ სქელი კონსისტენციის მურაბის მიღება გინდათ, ვიდრე ლიმონს დაამატებთ, სიროფის ნაწილი ამაკულოთ.
 8. ცხელი მურაბა ჩაასხით ქილებში და მოხუფეთ.

გამოსათხოვარი

ბიძინა ნერსეზაშვილის ხსოვნას



კიდევ ერთი ღირსეულად გამორჩეული პიროვნება დააკლდა ყვარულს, ჩოფელ ენისელს – ყველაზეათვის მოულოდნელად გარდაიცვალა კახეთის სატყეო მეურნეობის ღვაწლმოსილი მეტყევე ინჟინერი ბიძინა ნერსეზაშვილი, რომელმაც თავისი შეგნებული ცხოვრება ყვარლის რაიონის სატყეო მეურნეობაში სასიკეთო საქმეების კეთებას შესწირა.

ბიძინა ნერსეზაშვილი 1952 წლის 1 ივლისს დაიბადა ყვარლის რაიონის სოფელ ენისელში, მოსამსახურის ოჯახში. 1959 წელს სწავლა დაიწყო სოფელ ენისლის საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1969 წელს. 1970 წელს ჩაირიცხა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1975 წელს, სატყეო მეურნეობის ინჟინრის კვალიფიკაციით. ინსტიტუტში სწავლის პერიოდში, 1974 წელს სტუდენტთა IV რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომისათვის დაჯილდოებული იყო განათლების სამინისტროს სიგელით, ხოლო 1975 წელს გახდა სტუდენტთა საკავშირო სამეცნიერო კონკურსის ლაურეატი. 1975 წლის აპრილიდან ინსტიტუტის დამთავრებისთანავე განაწილებით მუშაობდა სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტში ეკონომისტის თანამდებობაზე. 1977 წლის ივნისიდან გადაიყვანეს ყვარლის სატყეო მეურნეობის გრემის სატყეოს უფროსად. 1979 წლის აგვისტოდან სამუშაოდ გადაყვანილი იქნა ყვარლის სატყეო მეურნეობაში ინჟინრის თანამდებობაზე. 1989 წლის ივლისიდან 1996 წლის ივლისამდე მუშაობდა ყვარლის სატყეო მეურნეობაში დირექტორის თანამდებობაზე 1998 წლის თებერვლამდე – ყვარლის სატყეო მეურნეობის ტყის კულტურების ინჟინრად. 1998 წლის თებერვლიდან მუშაობდა ყვარლის სატყეო მეურნეობის მთავარ მეტყევედ. 2002 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მეტყევის წოდება. 2007 წლიდან მუშაობდა კახეთის რეგიონალური სატყეო სამმართველოს ტყის მართვის განყოფილების უფროსად. იყო საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალის „სატყეო მოამბის“ კოორდინატორი.

სადაც არ უნდა ემუშავა ბიძინა ნერსეზაშვილს, ყველგან გამოიჩინებდა საქმიანადმი უდიდესი პასუხისმგებლობით, სასიკეთო საქმეთა კეთების დაუოკებელი სურვილით. ამასთან ერთად მას ეკავა აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია, მისთვის არ არსებობდა სათავისო და სასხვისო საქმე. იგი ყოველთვის რაიონის აქტივში ტრიალებდა, უყოყმანოდ ზიდავდა თავის წილ მძიმე ტვირის და ბოლომდე ნამუსიანად ასრულებდა საკეთილო საქმეებს.

ჩვეურობიანი, გულწრფელად გიყვარდა შენი სამო სამეგობრო, ყოველთვის ცდილობდა გაჭირვების ჯამს მხარში დადგომოდ, იყავი პატიოსანი, თავმდაბალი და უღალატო მეგობარი.

გემშვიდობებით ბატონო ბიძინა, შენს სახელს დავინყვება არ უწერია სანამ ცოცხლები ვიქნებით.

უფალს შევთხოვთ ნათელში ამყოფოს შენი ღამაზი სული და დაგიკვიდროს მარადიული სასუფეველი.

სამეგობროს სახელით: ტარიელ გრატიაშვილი, ალექსანდრე გიგლოშვილი, ლერი ბუჯიაშვილი, შოთა კოკორაშვილი, თათარ სხირტლაძე, გონა ქანდაღურიშვილი, თათარ ფოჩხიძე

ყველაზე საინტერესო ფაქტები ალუბლის შესახებ

ალუბლის კულტივირება დიდი ხნის წინ მოხდა და დღეს, ეს სასარგებლო და გემრიელი კენკრა, ალბათ, ყველა ბაღში თუ არა, ყოველ მესამეში მაინც ხარობს. თავდაპირველად ალუბალი მხოლოდ ზომიერი ჰავის პირობებში იძლეოდა ნაყოფს (არის ალუბალი ველური და დეკორატიული), ხოლო ახლა, მცენარის ყინვაგამძლე სახეობის ნახვა ჰიმალაის მთებშიც შეიძლება.

გაზაფხულის დაწყებასთან ერთად, ეს მცენარე თავს იაპონური საკურას ულამაზესი ყვავილებით გვაცხადებს. აყვავებული ალუბალი მარტოველ სურიალისტური სანახაობაა. მაგრამ, რა ვიცი რეალურად მის შესახებ? აქ სწორედ, მცენარესთან დაკავშირებული, ყველაზე საინტერესო 20 ფაქტია მოცემული:

ფაქტი №1: სპარსი ღამაზის
მცენარის სამშობლოდ მასრეთი (თანამედროვე ირანის ტერიტორია) ითვლება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კავკასიაში, შავი ზღვის რეგიონში, ალუბალი ძველთაგანვე ხარობდა.

ფაქტი №2: ნათესავი
ალუბალი ეკუთვნის ვარდისებრთა ოჯახის, ქლიავისებრთა ჯგუფს. ამ ჯგუფში ასევე შედის: ბალი, გარგარი, ატამი, ნუში, შოთხვი, რა თქმა უნდა, ქლიავი და სხვა კურკოვანი მცენარეები. ალუბლის ყველაზე ახლო ნათესავად ქლიავი ითვლება და ამ ორი მცენარის შეჯვარებით, ახალი ჰიბრიდული მცენარეც არის გამოყვანილი.

ფაქტი №3: ალუბლის კუმარინი
ალუბალი დიდი რაოდენობით კუმარინს შეიცავს. ეს არის ნივთიერება, რომელიც დადებით გავლენას ახდენს სისხლწარმოქმნაზე და არეგულირებს სისხლის შედედების პროცესს. ამიტომ,

ალუბალი განსაკუთრებით სასარგებლოა გულ-სისხლძარღვთა დაავადების და თრომბოზის დროს.

ფაქტი №4: ბუნებრივი ანტიბიოტიკი
ალუბალი დიდი რაოდენობით ფიტონიციდებს შეიცავს. როგორც ექიმები ამბობენ, ეს ბაქტერიების და ვირუსების გამრავლების შესაჩერებელი ბუნებრივი საშუალებაა.

ფაქტი №5: ნივთიერება და შიგნითა
ალუბალი დიდი რაოდენობით შეიცავს A, B ჯგუფის და C ვიტამინებს: A – დადებითად მოქმედებს მხედველობაზე, B – უზრუნველყოფს ჩვენი კანის, ფრჩხილების და თმის ჯანმრთელობას, ხოლო, C – იმუნიტეტს აძლიერებს და ახალგაზრდობის გახანგრძლივების საუკეთესო საშუალებაა.

ფაქტი №6: ალუბლის შხამი
დიხი, ალუბალით მონამვლაც შეიძლება. მაგრამ, არა ნაყოფის რბილობით. ალუბლის კურკა კი, ამიგდალინის შეიცავს, რომელიც ადამიანის ორგანიზმში ციანმჟავად გარდაიქმნება. ალუბლის კურკის შიგთავსი განსაკუთრებით ბავშვებისთვის არის სახიფათო.

ფაქტი №7: ტკბილი და მჟავე
საინტერესოა, რომ ჩვეულებრივი ალუბლის სახელწოდება, მეცნიერულად – „მჟავე ალუბალი“ არის, ეს იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის ტკბილია. გარდა ამისა არის კიდევ ერთი – „ფრინველის ალუბალი“, რომელსაც ჩვენ ბალს ვეძახით.

ფაქტი №8: სახელი Prunus Cerasus
ალუბლის ლათინური სახელი – რუნუს ჩერუსუს, მცირე აზიაში მდებარე ქ. კერესუსს (ამჟამად, გირესუნი თურ-

ქეთში) უკავშირდება. სწორედ იქ ნახეს, რომელი მხედართმთავრის, ლუკულუსის მეორებმა მისი ნაყოფი პირველად და მათვე დაარქვეს სახელი.

ფაქტი №7: ალუბალი დესერტებში
ალუბალი ტორტის და სხვა დესერტების გასაფორმებლად გამოიყენება, მაგრამ ეს არ არის ჩვეულებრივი ალუბალი. ჩვეულებრივი, საკონდიტრო წარმოებაში, ტკბილეულის გასაფორმებლად, „მარასკინის ალუბალს“ (ღია ნივთიერი გაჭჭირვალე) იყენებენ. ეს ალუბლის სახეობაა, რომელიც ძირითადად ბალკანეთში მოჰყავთ და ჩვენამდე კონსერვებული სახით მოდის. მაგრამ, ვიდრე ამ ალუბლის ნაყოფი ქილაში მოხვედება, მას ჯერ აუფერულებენ, შემდეგ სიმინდის სიროფით უღვინთავენ და საკვები საღებავებით ღებავენ.

ფაქტი №10: საჭმელად უფარგისი
ყველაზეათვის ცნობილი საკურა იმდენად უგემურია, რომ მისი ნაყოფის გამოყენება არ შეიძლება. არის ველური და დეკორატიული ალუბლის სხვა ჯიშებიც, რომლითაც სახლებს და ეზოებს ალამაზებენ და არა მარტო იაპონიაში.

ფაქტი №11: კენკრა ეპილეფსიისთვის
ვიდრე ეპილეფსიის საწინააღმდეგო ნაწილებს მოიკონებდნენ, ექიმები ეპილეფსიით დაავადებულებს, სეზონზე, ალუბლის წვენს, ხოლო ზამთარში – ალუბლის გამზარა ფოთლების ნახარშს უნიშნავდნენ – რაც ხელს უშლიდა ეპილეფსიის შეტყვის განვითარებას, ხოლო თუ ეს მიზნს ხდებოდა, შეტევა არც ისე ძლიერი იყო.

ფაქტი №12: ინფორმაცია ხალხური მედიცინიდან
ძველთაგანვე ცნობილია, რომ თუ ფეხშიძე ქალი ალუბალს მიირთმევს,

აუცილებლად ჯანმრთელი შვილი შეეძინება. დღეს ამ ფაქტის ახსნა იმით შეიძლება, რომ ალუბალი დიდი რაოდენობით შეიცავს რკინას, რაც ანემიის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური საშუალებაა. ფეხშიძე ქალები კი ამ დაავადებისადმი განსაკუთრებით მგრძობიარენი არიან.

ფაქტი №13: თუ გამოიძინა გინდათ...
ალუბალი უძილობის საუკეთესო წამალია. ძილის წინ, 10-15 ალუბლის ან 100 მლ. ალუბლის წვენის მიღების შემთხვევაში, მშვიდად და უშფოთვლად დაგეძინებთ. ამის მიზეზი კი ის არის, რომ ალუბალი დიდი რაოდენობით შეიცავს ტრიპტოფანის ამინომჟავას, რომელიც ორგანიზმში მოხვედრის შემდეგ, ჯერ სეროტონინად, ხოლო შემდეგ მელატონინად გარდაიქმნება.

ფაქტი №14: ოფიციალური სიმბოლო
1997 წლიდან ალუბალი – იუტას შტატის (აშშ) ოფიციალური სიმბოლოა.

ფაქტი №15: ოფიციალური ზემი
აშშ-ში, ყოველი წლის 20 თებერვალს, ალუბლის ღვეზელის ეროვნულ დღეს (ატიონალ ჩჰერწყ იე აყ) ზეიმობენ.

ფაქტი №16: ჯერ ყვავილი, შემდეგ ფოთლი
ალუბლის ხეზე ყვავილები უფრო ადრე იშლება, ვიდრე ფოთლი გამოდის.

ფაქტი №17: გიგანტური ალუბალი
საშუალოდ, ალუბლის ხის მაქსიმალური ასაკი 20-25 წელი შეიძლება იყოს. თუმცა, ალუბალს შეუძლია უფრო დიდ ხანსაც გაძლოს და საკმაოდ ხანდაზმულ ასაკსაც მიაღწიოს. მაგ., დიდი ბრიტანეთის ჩრდ-დას-ში არის ალუბლის ხე, რომელიც 150 წლისაა. მისი სიმაღლე 13 მ-ია, ხოლო ძირის დიამეტრი – 5 მ.



რაც ყველაზე საინტერესოა, ის ნაყოფს დღემდე იძლევა.

ფაქტი №18: ალუბალი ასპირინის აბის ნაცვლად
მეცნიერებმა ალუბლის შემადგენლობაში აღმოაჩინეს ნივთიერება, რომელიც ისევე მოქმედებს, როგორც ასპირინი. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ნაწლის 1 აბის ჩანაცვლება, მხოლოდ 20 ცალი ალუბლის ღვეზელის ეროვნულ დღეს (ატიონალ ჩჰერწყ იე აყ) ზეიმობენ.

ფაქტი №19: სტატისტიკა
სტატისტიკის თანახმად, საშუალო მაჩვენებლის თუ ავიღებთ, ერთი ხე 7000-მდე ნაყოფს იძლევა.

ფაქტი №20: ხალხი ვერ ცნობს...
როდესაც დიდი ბრიტანეთის ხელი-სუფლებამ მოსახლეობას მიმართა, რომ დახმარებოდნენ ალუბლის ხეების დათესვაში, აღმოჩნდა, რომ ვიდრე ხეს ყვავილობის პერიოდი აქვს, ხალხს ის მხოლოდ მონათესავე ქლიავში კი არა, ვაშლშიც ერევა.

ვენერა კოკორაშვილის გახსენება

მთხარა გულზე ანერია



არ იფიქროთ, რომ ეს ჩემი პირველი სასაბარიაო თქვენთან, ჩემი უძვირფასესი და საყვარელი ვენერა მასწავლებელი! არა, მე თქვენ ხშირად გეხმაურებით, გეკითხებით, შემოგჩივით, სწორ გადამწვებლებს გთხოვთ და ასე მოვდივარ დღემდე თქვენი დახმარებით პედაგოგიკაში. 22 წლისამ დავინწყე მასწავლებლობა და აი, 74 წლისა ისევ სკოლაში ვარ. ვერ ველევი ბავშვების ყრამულს, წიგნებს, კოლეგებს, ყოველდღიურ ქოთქოსს.

განუშვებელი ბრძანდებით. ჩემი ცხოვრების დასასრული ახლოვდება და მაინც შემძლია ვთქვა, რომ უნივერსიტეტის პროფესორებზეც კი არ გამივლია გულში „ამას როგორ გააკეთებდა ასეთ ბავშვთან!“ ეს კითხვა მხოლოდ თქვენზე მაქვს გათვლილი. ყველას გვხვობოდა თქვენი დიდი ცოდნა და საოცარი მიდგომა ნებისმიერ მოსწავლესთან. როცა თქვენ მოღვაწეობდით, არც ბლუმის თეორია იყო საბჭოეთისთვის ცნობილი და არც ამერიკელი გარდნების, მაგრამ ამას ყველაფერს ბუნებრივად ვგადავხედი იმიტომ, რომ ღვთისგან გქონდათ მონიჭებული პედაგოგის ძალა, თქვენი გული იტყვდა ყველა ჩვენგანის სიყვარულს. გარჩევა არ იცოდით. ზრუნავდით ჩამორჩენილ მოსწავლეებზეც და წარმატებულზეც. მე თუ ასე მომეფერებოდით—ნინა, რა მემამულის ყანასავით გაგსკვებდა თმებიო“ და ნანანავებს ხელში დაიჭირდით, მეორეს, თხელთმინას ეტყოდით: — შენ გლეხის ყანასავით გაგთხელდება თმებიო“ და ახლა იმას ეალერსებოდით.

ვაჟას „აღუდა ქეთილაური“ რომ აგვიხსენით, მონუსხულები დავრჩით, ქანდაკებებს ვგავდით. აღუდას პიროვნებითაც მონიჭდებოდით და ვერჩით და ქისტო მუცლითაც. კლასიდან გასვლისას კი უბრალოდ თქვით: „ვისაც ჩემი ხათრი აქვს, საზეპიროები კარგავთ ისწავლოსო“. მეორე დღეს ყველამ იცოდა გაკვეთილი, მაგრამ მე და ნანი ჯათი-აშვილამ (მეზობლები ვიყავით) მთლიანი პოემა დავისწავლეთ ზეპირად ერთმანეთის მიზაძეთი. დიდხანს მეგონა ასე, რომ მასწავლებლისთვის ვიმორმე, მაგრამ, როცა თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტში მისაღებ გამოცდაზე საყოველთაო ალტაცება გამოიწვია ვაჟა ფშაველას პოემის ჩემმა ზეპირად ცოდნამ, მეგრე მივხვდი, თუ რატომ მომინონა ძალიან ასეთი თავდადება ვენერა მასწავლებელმა.

ახალ საუკუნეში განათლების სისტემაში დიდი რეფორმა მოხდა. პროგრამები შეცვალეს, ქართულში სამი ნიშნის მაგივრად ერთილა იწერება. სახელმწიფო ენა ისევ ქართულია, მაგრამ მასზე დიდ მზრუნველობას აღარ იჩენენ. როგორც უნდათ, ისე ამახინჯებენ პრესისა და ტელევიზიის მუშაკები იმ ენას, რომელსაც მტკიცედ იცავდნენ ჩვენი წინაპრები. ჩავრთავ ტელევიზორს და ვისმენ: „ახლა მიმდინარეობს თოვა“, ან „ყველა გულმის ნევი დაჯილდოვდა“, ინგლისური ენიდან შემოსულმა სიტყვების ნიაღვარმა ხომ ნაგველეკა და ნაგველეკა, ახლა ისეთი დიქცია და წარმოთქმის სისწრაფე აითვისეს, რომ ქართული ჩინურს დაამსგავსეს.

ვერაფერს დაგიმალავთ. თქვენ ყველაზე მეტი იცოდით და იცით. მეკერა, რომ სადაც თქვენი სულია დაგანებული, ბოროტება არ არსებობს. დედა-მინაზე კი ისევ არის. არის კი არა, დაპქრის, თუმცა ჩოჩიალა სიკეთის ურემი მაინც წამოეწევა ხოლმე და სულის ერთი შეხვედრით აქრობს მას.

მჯერა, რომ ვილაც თუ რაღაც ჩამჩურჩულებს ყურში თქვენს საყვარელ შვილებს თავს ევლებით, ცხოვრების მძიმე ტვირთს უშლუბუქებთ. ზურთკოს შესახებ რომ დარბობდით, მეგრე მივხვდი მიზეზს. მის პიროვნებაში მართლაც გრძობა დომინირებს და ეს უკან სწევს ნებისმიერ ადამიანს. რაც შეეხება ნინოს, ის სახელოვანი ექიმი, რომელსაც თანაბრად ამშვენებს ცოდნა და უბრალოება. ქალი ბებია გახდა უკვე და ისეთივე მოხდენილია, როგორც ბავშვობაში იყო. მისი თვალუბრიდან სისპეტაკე და სიკეთე მოსჩქევს. ამიტომაც არის ხალხისთვის ძალიან საყვარელი და კოლეგებისთვის პატივსაცემი ექიმი.

ყვარელი ისე შეიცვალა, ვერ იცნობთ. უცვლელად დარჩნენ მთები. ისინი ისევ ისე დგანან, როგორც თქვენს დროს იდგნენ. სახლები ხომ მალა-მალაი სოკობითი გამარადედა, ზემოდან თეთრი ღრუბლებით სავსე ცისფერი ცა გვიცავს. ისევ მოსახსენებას აფრქვევს დურუჯი და ისევ ხელადიდან ჩამოსხმული ღვინის მსგავსად ტკბილად მორუკუკებს ბურსას.

ჩემი და ყველა მარადიული მასწავლებელი! თქვენ კვლავ ამშვიდებთ თქვენი ხმით თქვენს აღზრდილებს, ჩვენს აშლილ-დაშლილ, ავკაცობისგან დასაგრევედ განწირულ ქვეყანას და განმტკიცებთ ეხმარებით მას. როცა „სხვა ხალხის ყრამული“ ასეებს ყვარულს, არ იფიქროთ, რომ დაიწყებას მიეცით. ყვარლის მთებს მეკერზე აქვთ დაწერილი თქვენი და თქვენი მსგავსი ადამიანების სახელები უკვდავად. „იყავი მშვიდად შენს მყუდრო ძილში“ მარად და მარადის შემდეგაც, ჩემო აზროვნების მარადუბრებელი მასწავლებელი!

ნინო იმხანაძე, ვეარლის 1-ლი საჯარო სკოლის მასწავლებელი

ფრთხილი შენიშვნა

სკოლას ვამთავრებთ. პირველი გამოცდა ქართულ წერაში გვაქვს. მესამე სართულის დერეფანში ვსხედვართ და დავას მივჩერებთ. {ქართული წერა ჩემთვის აქილევსის ქუსლია. თუ ფრიადი არ მივიღე. მედალს ვკარგავ!}. გულისფანცქალით ველოდებით, რა თემები იქნება!

სკოლის დირექტორი, ელიკო ზაუტაშვილი კონვერტს ხსნის. „გადავი ბიგვა“, „ქალთა სახეები ვეფხისტყაოსანში“ და თავისუფალი თემა. დიდხანს ვიფიქრე. რა დამეწერა. „ვეფხისტყაოსანში“ ძალიან მიყვარდა, მაგრამ არასოდეს ვიცოდი საზეპიროები. საერთოდ, არ მიყვარდა ლექსების დაზეპირება. ის-ის იყო „გადავი ბიგვას“ წერა უნდა დამეწერა, რომ მერხებს შორის ვენერა მასწავლებელმა ჩამოიარა, ჩემთან გაჩერდა და მკითხა: ელიკო, რას წერო?—ქათაური ვაჩვენე. თავი გაიქინა და ჩუმად ჩაილაპარაკა: შენი ნებაა, რას დანერ... ისე... ნჭი და წერის უნარი „ქალთა ტიპებში“ უფრო გამომდებო... და გაიარა. ჩემთან ახლოს მთელი გამოცდის განმავლობაში აღარ მოსულა.

შავ დღეში ვარ. არც ერთი საზეპირო არ მახსოვს. ამის გარეშე კი რუსთაველს

როგორ შევეჭიდებო? ვიცი. ვერ გავქაჩავ. ჩემმა უახლოესმა მეგობარმა, ნანა გურასანიძემ ნახევარი „ვეფხისტყაოსანი“ ზეპირად იცოდა, თუმცა „გადავი“ წერდა. ვანიშნე — რამდენიმე საზეპირო მომსაშველემ-მეთქი. მე, ნანა და გალინა ხარებაშვილი ოქროს მედლის კანდიდატები ვიყავით. გალინა ქართულში ძლიერი იყო, ფილოლოგიურზე აბარებდა და „ქალთა ტიპებს“ წერდა. ვენერა მასწავლებელმა თავისდაუნებურად გალინასთან შეჯერბში გამოიწვია. მე კი მიმა მასწავლებლისგან ტვინი ისე მქონდა ფიზიკით „მონამულე“, უფრო ტექნიკურ საგნებში მთვლიდნენ ძლიერად.

ერთი საათი ვიჯექი და ვფიქრობდი. პირველად ჩავფიქრდი სერიოზულად არა მარტო ნესტანზე, თინათინზე, ასმათზე, არამედ ყველა პერსონაზე. რაღაც დიდი გაიხსნა ჩემთვის რუსთაველის პოემაში, გონება გამინათდა თითქოს. ნელ-ნელა დაიწყო წერა. ვერდი ყველაფერს, რასაც ვგრძობდი, რაც ნამეკითხა, რაც გამეგონა, რასაც ვისმენდი გაკვეთილებზე... გზადაგზა გონება მესხნოდა, თითქოს ვილაც მკარნახობდა ზევიდან. თავი არ ამინევია, ისე ჩავედი ბოლომდე. ეს პირველი თავისუფალი

თემა იყო ჩემთვის უფალი ბუნებისათვის ჩემი დამოუკიდებლობის გამოხატულება იყო... და უმაღლესი შეფასება „ფრიადი“ დავიმსახურე.

მერე იტყვის ელიკო მასწავლებელი, რომ ჩემი ნაწერი რაღაც განსაკუთრებულად ცალკე იდგა, რომ პირველად ყველაზე მეტად მოეწონა ჩემი ნამუშევარი. ამის მიზეზი კი ამ უსათნოესი ქალბატონის, ვენერა კოკორაშვილის ფრთხილმა შენიშვნამ განაპირობა, რის შემდეგაც რაღაც ძალამ იფეთქა ჩემში და საუკეთესო თემად დაიღვარა. მას შემდეგ თითქოს 55 წელი გავიდა და ისე შემეყვარა წერა, რომ დღემდე ვერ დღიურებს, სცენარებს, ბევრს ვთარგმნი.

მერე იმასაც გავიგებთ, როგორ გავვისწორებენ ელიკო და ვენერა მასწავლებლები მე, ნანას და გალინას ქართული წერის საატესტატო ნამუშევრებში პატარ-პატარა ლაფსუსებს (წერტილ-მძიმეებს), რათა თბილისიდან ჩამოსულმა კომისიამ ჩვენს მიღებულ „ფრიადებში“ ეჭვი არ შეიტანოს და მედლები არ დაეკარგოთ!

ღმერთმა აცხონოს თქვენი სულები, ჩვენო დაუწინარო ქალბატონებო!

ელიკო მარამიშვილი

ამაგლარი

ჩემო ძვირფასო ვენერა მასწავლებელი! როდესაც თქვენზე ვფიქრობ, ვნატობ ბავშვობის წლებს და ვერხვებას. — რატომ? იმიტომ, რომ ბავშვობის მძიმე წლებში ხშირად ვავდმყოფობდი და ჩემს მზრუნველ მშობლებთან ერთად გაუსაძლის ტკივლებს მატანინებდით. გაკვეთილებს ხშირად ვაცდენდი, ვერვყოლობდი. თქვენ კი გულში ჩამიკრავდით და მამშვიდებდით — ყველაფერი კარგად იქნებაო. ისეთ მშვიდ და წყნარ გარემოს მიქმნიდით, ისე ჩამრთავდით სწავლებაში, რომ მასწავლებლობის სურვილი დამეფულა და გავხდი კიდევ სკოლაშენი აღზრდის პედაგოგი.

ბავშვებთან ურთიერთობისას ცვდილობდით თქვენთვის მომებადა, ვყოფილიყავი თქვენსავით წრფელი, კეთილი და მომთხოვნი. პენსიაზე გასვლამდე მხოლოდ მათთან ვიმუშავებ და დღესაც ჩემი აღსაზრდელები ვამაყობ.

ფიქრობ, რომ ჩემი მისია შევასრულე. ეს ყველაფერი კი თქვენ შემაძლებინეთ. გმადლობთ იმ დიდი გულისხმიერებისათვის, იმ გულის სითბოსთვის, რაც თქვენ ჩემს მიმართ გამოიჩინეთ. თქვენ ასეთი იყავით ყველასთვის. დღემდე მიკვირს როგორ ახერხებდით ამას. ეს არის ალბათ, იმის მიზეზი, რომ ჩემი კლასელებიდან (ცამეტნი ვიყავით) რვა მოსწავლემ პედაგოგიური განათლება მიიღო. ყველას გვიყვარდა



თქვენს გაკვეთილებზე ყოფნა. დღევანდელ რთულ ცხოვრებაში ხშირად ჩამეძმის თქვენი ხმა, რომელიც ძალას მმატებს.

შენიერი ვარ, რომ ვიყავი თქვენი მონაწილე, ჩემო საყვარელი ვენერა მასწავლებელი!

დღეს, როცა მიხდება რაიონულ საავადმყოფოში მისვლა, ხშირად ვხედავ თქვენს ქალიშვილს — კარდელიოვ ნინო

ზაუტაშვილს. ასეთ დროს გული საოცარი სითბოთი ამიძგერდება ხოლმე... მძლავრობს მოგონებები...

ვენერა მასწავლებელი! მიიღეთ ჩემი დაგვიანებული, მოკრძალებული მადლობა იმისთვის, რომ თქვენ საკუთარი მავალით დაამანხვე როგორი მასწავლებელი, დედა და მეუღლე უნდა ვყოფილიყავი.

ცისხარი ჯონხაძე

„ყველას რაიმე აქვს სასსოვარი“

ჩვენი მარადიული მასწავლებელი! შევიკრიბეთ თქვენი ნამონაფრების მცირე ნაწილი და გადავწყვიტეთ სსოვის მისი და თქვენზე დაგვეწერა. ეს წერილები თქვენთვის დანთებული სანთლებია. გვენამს, რომ ასეთი წმინდა სანთელი ყველა თქვენი მოსწავლის გულში კიაფობს, ვისაც კი თქვენი წყნარი ხმით ახსნილი გაკვეთილი მოუხსენია, ვისაც დაუ-

ნახავს როგორი უბრალოებით გავიხდია შვილისთვის ქათქათა პერანგი და სიმღერის გუნდის წევრისთვის გიჟუქებით. თითოეული სიტყვა, თუ მიმიკა მხოლოდ დადებით და უსაფრთხო გარემოს ქმნიდა ჩვენთვის. ჩვენს უკან გასული საუკუნის 60-იანი წლების მთელი თაობის ერთადერთი სიტყვა ცად ატყორცნილი — — — — — „გმადლობთ“ — — — — — იმდე-

ნი ვართ, რომ გვჯერა, ეს ხმა თქვენამდე მოაღწევს.

თქვენნარი ადამიანების ხსოვნა მთელ თაობას უადვილებს წუთისოფლის ოკრო-ბოკრო გზებზე სიარულს და სულში გვიღვიძებს სიცოცხლისა და წინააღმდეგობის ვაჟკაცურად დაძლევის სურვილს.

ბალინა ხარაპაშვილი

მუდამ ჩვენზე მზრუნველი

არიან ადამიანები, რომლებიც ჩვენი მესხიერებიდან ვერ წაიშლებიან. ასეთ ადამიანთან რიგს ეკუთვნიან ჩვენი მასწავლებლები. ოთხი წლის ვიყავი, როცა მამიდან წამიყვანა თავისთან სოჭის მახლობლად სოფელ ჩიმიტაკვაჯში. ეს სოფელი ცნობილია იმით, რომ აქ იმ პერიოდში არსებობდა სამხედრო სანატორიუმი, რომლის დირექტორიც იყო მამიდის ქმარი. იმის გამო, რომ გვიან ჩამომიყვანეს, ექვსი თვის დაგვიანებით მიმიყვანეს სკოლაში. ჩემი პირველი კლასის მასწავლებელი იყო არაჩვეულებრივი პედაგოგი თამარ ცუკილაშვილი. მან შემეხატა, რომ კალმით წერა მისთვის, ამიტომ ვანაწირობდი დამანყებინა ასოების გამოყვანა. არასდროს დამავიწყდება ის მშობლიური ზრუნვა, რომელსაც იჩენდა ქალბატონი თამარი ჩემს მიმართ.

ზედა კლასებში მშობლიურ ლიტერატურას ვგასწავლიდა უაღრესად სათნოდ და განათლებული ქალბატონი, პედაგოგის ნიჭით დაჯილდოებული ქალბატონი ვენერა კოკორაშვილი. ჩვენ ყველას გვახსოვს ის მშობლიური ზრუნვა და ამაგი, რომელსაც ვენერა მასწავ-

ლებელი იჩენდა თითოეული ჩვენგანის მიმართ. სამწუხაროა, რომ იგი პირველი სკოლის პედაგოგიურ კოლექტივის სრულიად ახალგაზრდა გამოაკლდა.

მინდა მადლიერების გრძნობით გავისხენო ჩემი მათემატიკის მასწავლებლები, რომლებმაც შემეყვარეს ეს საგანი. ერთ დღეს ჩვენი მათემატიკის მასწავლებელი, ქალბატონი ცაცო მეზვეიშვილი შემოვიდა კლასში და გვითხრა, რომ პროფესორი დავით ავაზაშვილი მეორე საშუალო სკოლაში გააკეთებდა მოხსენებას-საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მათემატიკის სწავლების შესახებ. მისმა მოხსენებამ გადაამწყვეტინა ჩამეზარებინა გამოცდები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე.

მინდა დიდი პატივისცემითა და სიყვარულით გავისხენო ყველა ის პედაგოგი, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ჩემი მათემატიკისად ჩამოყალიბების საქმეში.

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლევან გომრბაშვილი

ღვთიით მოვლენილი

მე ჩემს წერილს უფლის ბავთვან თქმული სიტყვებით დავიწყებ: „თვინიერ ჩემსა არა-რაი ძალ-გიძ ყოფად არცა ერთი“. და მართლაც მადლობა და დიდება განგებას, რომ მე გიორგი და ოლია ჯვანთაშვილების შვილი ვარ, გავიზარდე ყვარელში, დავამთავრე 1-ლი საშუალო სკოლა, რომელიც ნიჭიერი პედაგოგიკით გამოირჩეოდა და კიდევ მადლობა მამონდელი რაიონული ბიბლიოთეკის მუშაკებს-ჩვენს საყვარელ ქალბატონ ნათელა რაზმაძეს და ან განსვენებულ ქალბატონ მართიკო მამულაშვილს, რომლებმაც სკოლის ასაკშივე მაზიარეს მსოფლიო ლიტერატურის შედევრებს.

ახლა თბილისში ვცხოვრობ, მაგრამ ყვარელი მიყვარს თავისი ხალხით, ქუჩებით, შენობებით, თუმცა ყველაზე მეტად ჩემი სკოლა და ჩემი მასწავლებლები — უკლებლივ. ჩემს მესხიერებაში დარჩა ერთი მათგანი განსაკუთრებული მოგონებებითა და შთაბეჭდილებებით. ეს არის ვენერა კოკორაშვილი, რომელიც 3 წლის განმავლობაში მასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას.

ერთი შეხედვით, ის იყო ჩვეულებრივი მასწავლებელი, მაგრამ არაჩვეულებრივი თავისი შინაგანი ბუნებით. პირველი გაკვეთილიდანვე უდიდესი ზე-

გავლენა მოახდინა ყველა მოსწავლეზე. უსმენდით დიდი ყურადღებით და მისი უმშენებრესი ხმით ახსნილი ყველა საკითხი და ნათქვამი სიტყვა ადვილად დასამახსოვრებელი იყო ჩვენთვის.

მე შემობრუნე ელიკო, რომ ამ ადამიანში პარმონიულად იყო შერწყმული საგნის ღრმა ცოდნა, ჰუმანურობა და მაღალი ზნეობა. მას ყველა უყვარდა. გაკვეთილზე მერხებს შორის ჩამოვლის დროს ყველას თავზე ხელის გადასმით გვეტყუებოდა. უბრალოება, თავმდაბლობა, სამართლიანობა, ობიექტურობა, მომთხოვნელობა მას ჩვენს თვალში ზეზუნებრივ არსებად აქცევდა.

მე გულახდილად უნდა გითხრათ, რომ მხოლოდ 2 წელი ვიმუშავე (1968-1970) ჩემი, სპეციალობით, ანუ საქონელმცოდნედ ნიგნების მაღაზიაში, შემდეგ კი დავამთავრე ცენტროსოფლის მოსკოლის საერთაშორისო ინსტიტუტის დაუსრუბელი სწავლების პედაგოგიური ფაკულტეტი და დაიწყო მუშაობა პედაგოგად თბილისის ცეკავშირის ინსტიტუტში. ორმოცი წელი ახალი თაობის აღზრდას ვემსახურებოდი. წლების მანძილზე ვიყავი უცხო ენების ფაკულტეტის დეკანი. მთელი ამ ხნის მანძილზე სულ თვალწინ მედგა და მსურდა მიმება-

და ჩემი საოცარი ვენერა მასწავლებლისათვის. ყოველგვარი ორონიის, მუქარის, ხმაშალა ლაპარაკის გარეშე გულწრფელი და მზრუნველი ურთიერთობით ვიღვევი კიდევ სტუდენტებთან მუშაობაში დადებით შედეგებს.

ახლა პენსიონერი ვარ. კიდევ უფრო დაწვრილებით ვულრმავდები და ვმსჯელობ ჩემი ცხოვრების განვლილ გზას და რაც მეტს ვფიქრობ, მით მეტად ვრწმუნდები, რომ ღვთით მოვლენილი იყო ჩემი ვენერა მასწავლებელი, თავმდაბლობა, სამართლიანობა, ობიექტურობა, მომთხოვნელობა მას ჩვენს თვალში ზეზუნებრივ არსებად აქცევდა.

მე გულახდილად უნდა გითხრათ, რომ მხოლოდ 2 წელი ვიმუშავე (1968-1970) ჩემი, სპეციალობით, ანუ საქონელმცოდნედ ნიგნების მაღაზიაში, შემდეგ კი დავამთავრე ცენტროსოფლის მოსკოლის საერთაშორისო ინსტიტუტის დაუსრუბელი სწავლების პედაგოგიური ფაკულტეტი და დაიწყო მუშაობა პედაგოგად თბილისის ცეკავშირის ინსტიტუტში. ორმოცი წელი ახალი თაობის აღზრდას ვემსახურებოდი. წლების მანძილზე ვიყავი უცხო ენების ფაკულტეტის დეკანი. მთელი ამ ხნის მანძილზე სულ თვალწინ მედგა და მსურდა მიმება-

ნანო ჯაფარიშვილი, პენსიონერი



თოვლ მომხმარებელზე არაუმეტეს 10 ჰექტრისა.

აღმოსავლეთ საქართველოში - ირი-გაციის საფასური 1 ჰექტარზე არის 75 ლარი, დასავლეთ საქართველოში - ირი-გაციის საფასური 1 ჰექტარზე 45 ლარი, დრენაჟის - 40 ლარი.

„აგრონარმობის ხელშეწყობის პროგრამა“ რას ითვლისწინებს და ვის შეუძლია ამ პროგრამით ისარგებლოს?

პროგრამის პოტენციური ბენეფიციარია საქართველოს მოქალაქე ფიზიკური ან რეგისტრირებული მენარმე, ფიზიკური-იურიდიული პირი, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი.

პროგრამა ხორციელდება საქართველოს ყველა რეგიონში, გარდა შემდეგი ქალაქებისა: თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ბათუმი, ფოთი. პროგრამა ითვალისწინებს სათბურის, სარწყავი სისტემის, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესყიდვის 50 პროცენტთან დაფინანსებას არაუმეტეს 50.000 ლარისა ერთ ბენეფი-



ყვარლის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობა საოცარი ტემპით ვითარდება, მთავრობის ანტიკრიზისული პროგრამა კიდევ უფრო ხელს შეუწყობს დარბის აღმავლობას

დასახეისი 1-ელ გვ. -ზე

ვის შეუძლია პროგრამაში მონაწილეობის მიღება?

პროგრამაში მონაწილეობა შეუძლიათ ჯამურად გააჩნია არანაკლებ 0, 25 ჰა და არაუმეტეს 10 ჰა მიწის ნაკვეთი (გარდა სათიბ-საძოვრის კატეგორიისა).

სუბსიდიების დოკუმენტს ვინ იძლევა და რომელ მაღაზიებში შეუძლიათ ფერმერებს მათთვის საჭირო შპს-ში მართვის და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის შეძენა?

თუ ბენეფიციარს საკუთრებაში ჯამურად გააჩნია არანაკლებ 0, 25 ჰა და არაუმეტეს 10 ჰა მიწის ნაკვეთი (ებ), სუბსიდიის მოცულობა განისაზღვრება 200 ლარით - შესაბამისად ბარათზე დარიცხული 200 ლარით 1 ჰა მიწის ნაკვეთზე, ანდა თუ ბენეფიციარს თანასაკუთრებაში გააჩნია ერთი საკადასტრო კოდით რეგისტრირებული არანაკლებ 0, 25 ჰა და არაუმეტეს 10 ჰა მიწის ნაკვეთი (ებ), სუბსიდიის მოცულობა განისაზღვრება თითოეულ თანასაკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე 200 ლარით - შესაბამისად, ბარათზე დარიცხული 200 ლარით 1 ჰა მიწის ნაკვეთზე პრო-პორციული გადაანგარიშებით. ფერმერებს სს „ლიბერთი ბანკის“ პლასტიკურ ბარათზე დარიცხვებით ქულები - 1 ჰა - 200 ლარი, 1 ქულა = 1 ლარი, შესაბამისად, 200 ქულა. ბენეფიციარი მიიღებს საკუთრებაში არსებული დარიცხვების მიწის მოცულობის შესაბამისად სუბსიდიას, მაგალითად: თუ აქვს 0, 25 ჰა - მიიღებს 50 ლარს, თუ აქვს 10 ჰა, მიიღებს 2,000 ლარს.

ბარათზე დარიცხული ქულებით 0, 25 ჰა და 1, 25-მდე მიწის ფართობის მფლობელებს, თანამესაკუთრებებს სპეციალიზირებულ მაღაზიებში შეეძლება შეიყიდონ სასუქები, მცენარეთა დაცვის ქიმიურ-ბიოლოგიური საშუალებები, სათესლე და სარგავი მასალები.

1, 0, 25-დან 10 ჰა მიწის ნაკვეთის მფლობელები-თანამესაკუთრებები დამატებით შეძლებენ ხვნის მომსახურების მიღებას. ხვნის მომსახურების მიღება შესაძლებელია მხოლოდ შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკისა და სერვისების“ კომპანიის (ყოფილი შპს „შექანი-ზატორი“) სერვისცენტრებში, რომელიც ფუნქციონირებს საქართველოს ყველა რეგიონში (ჯამში 12). ხვნის საფასური შეადგენს 1 ჰა-ზე 150 ლარს (150 ქულა).

მომსახურების საფასურის გადახდა მოხდება ბარათზე დარიცხვით ქულებით. 20 მაისიდან ფერმერმა უნდა მიმართოს სს „ლიბერთი ბანკის“ ნებისმიერ ფილიალს. სს „ლიბერთი ბანკი“ ფერმერს უსასყიდლოდ დაუმზადებს და გადასცემს ბარათს. დარიცხული ქულების რაოდენობის გადამოწმება ფერმერს-ბენეფიციარს შეეძლება ლიბერთი ბანკის ცხელ ხაზზე (2555500).

აგრობარათზე დარიცხული ქულების გამოყენების ბოლო ვადაა 2021 წლის 20 მაისის ჩათვლით.

თუ მინა ფერმერს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში რეგისტრირებული არ აქვს, პროგრამაში მონაწილეობას ვერ მიიღებს. ფერმერს პროგრამაში ჩართვა და დახმარების მიღება შეუძლია ნაკვეთის რეგისტრაციის გაფორმების შემდეგ.

პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 37 მილიონ ლარს. პროგრამით ისარგებლებს 200.000-ზე მეტი ფერმერი.

რომელ ავტოგასამართ სადგურებზე გაიცემა საბაზრო ფასთან შედარებით იაფი დიზელის სანავი, რომელი საბუთის საფუძველზე და რა პერიოდში შეეძლება იაფი სანავით სარგებლობა?

დიზელის შეღავათიან ფასად მიღებას შეძლებენ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის მფლობელები, ის ფიზიკური და იურიდიული პირები, რომელთაც გააჩნიათ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში საკუთრებად რეგისტრირებული არანაკლებ 0, 25 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, გარდა საძოვრისა, ან პირები, რომლებიც მოახდენენ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირველად რეგისტრაციას. პროგრამით მისარგებლე ფერმერებისთვის გათვალისწინებულია 1 ჰა-ზე გაანგარიშებით 150 ლიტრი დიზელის სანავის შეღავათიან ფასად შეძენა; 10 ჰა-ზე 1500 ლიტრის შეღავათიან ფასად შეძენა; ამგვარი დანაგარიშებით 100 ჰა-ს ჩათვლით. 100 ჰა და მეტი მიწის ფართობის მესაკუთრეები თანამესაკუთრებები შეღავათიან ფასად შეიძენენ არაუმეტეს 15000 ლიტრ დიზელს.

ფერმერებისთვის ფასდაკლების ბარათის გადაცემა განხორციელდება იუსტიციის სახლებში, საზოგადოებრივ ცენტრებში, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს რეგიონული სამსახურების ოფისებში და ლიბერთი ბანკის ფილიალებში. აგროდიზელის ფასდაკლების ბარათის მისაღებად უნდა გამოცხადდნენ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეები და თან უნდა იქონიონ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა. სხვა პირის გამოცხადების შემთხვევაში მას თან უნდა აქვდეს მიწის ნაკვეთის მესაკუთრის ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა. პროგრამით მისარგებლე ფერმერებს შესაძლებელია ექნებათ „სოკარ პეტროლუმ-ჯორჯიას“ ავტოგასამართ სადგურებზე 1.16 ლარად შეიძინონ სანავი.

კიდევ რომელი სიკეთით შეუძლიათ ისარგებლონ ფერმერებმა ანტიკრიზისული გეგმით?

2012-2019 წლებში სამელიორაციო მომსახურების დავალიანება ჩამოეწერება;

2020 წელს სამელიორაციო მომსახურების ნარმოქმნილი დავალიანება ჩამოეწერება ყველა იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირს, ვინც ისარგებლა შპს „საქართველოს მელიორაციის“ შემდეგი სერვისებით: ირიგაცია, დრენაჟი, მოხილვით ტუმბოვანი რეგულაციის წყლის მიწოდება, სატორე მეურნეობების წყლით უზრუნველყოფა. აგრეთვე იმ პირებს, რომლებსაც ვალდებულება ნარმოქმნათ შპს „საქართველოს მელიორაციის“ წინაშე წყლის დატაცების შედეგად. ამაში არ იგულისხმება წყლის დატაცების გამო დაკისრებული ადმინისტრაციული ჯარიმა.

სამელიორაციო მომსახურებაზე 2020 წელს მომსახურების საფასურზე შეღავათს მიიღებს ყველა ის პირი, ვინც ისარგებლებს საქართველოს მელიორაციის შემდეგი მომსახურებით - ირიგაცია, ანდა დრენაჟი. შეღავათის მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრება თი-

ცარზე, ხოლო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის მაქსიმალური თანადაფინანსების ოდენობა შეადგენს 500.000 ლარს.

პროექტის ფარგლებში სესხი - ლიზინგი გაიცემა როგორც სოფლის მეურნეობის პროდუქტების პირველადი ნარმოების, ასევე მათი გადამამუშავებისთვის დაფინანსებისათვის. დაფინანსება გათვალისწინებულია როგორც ძირითადი, ისე საბრუნავი საშუალებებისთვის. ძირითადი საშუალებების კომპონენტში 20 000 ლარიდან 75 000 ლარის ჩათვლით, მექანიზაციის ქვეკომპონენტში 7 000 ლარიდან 75 000 ლარის ჩათვლით, ხოლო ერთნაირი კულტურების საბრუნავი საშუალებებისთვის 5 000 ლარიდან 100 000 ლარის ჩათვლით. ძირითადი საშუალებების კომპონენტში - 20 000 ლარიდან.

საბრუნავი საშუალებები ერთნაირი კულტურებისთვის უზრუნველყოფილ სესხებზე სესხის პროცენტი დაფინანსდება სრულად, ხოლო არაუზრუნველყოფილ სესხებზე 17%. სესხის

ხოლო ერთნაირი კულტურების საბრუნავი საშუალებებისთვის სესხის აღების შემთხვევაში არ არის საფასურული რეგისტრირებული საკუთრება, შეღავათიანი აგროკრედიტი და უშეგებელია უძრავი ქონების შეძენა.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსებით რამდენად ადამიანმა შეიძინა ტრაქტორი და მონყოლია, პროგრამა ხომ არ გაუქმებულა?

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსებით მუნიციპალიტეტის 22 ფერმერმა ისარგებლა. თანადაფინანსება შეადგინა ღირებულების 50%-ი.

კონკრეტულად რა შეღავათებით ისარგებლებენ მეტყვეობის ფერმერის ნარმოქმნელები?

პროგრამაში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ პირებს, ასევე საქართველოში რეგისტრირებულ მენარმე იურიდიულ, ან ფიზიკურ პირებს, მათ შორის კოოპერატივებს.

დაფინანსება გაიცემა როგორც ახალი საქმიანობის დაწყების, ასევე არსე-



პროცენტის დაფინანსება განხორციელდება 6 თვის განმავლობაში;

ძირითადი საშუალებებისთვის - 11% სესხის პროცენტის თანადაფინანსება განხორციელდება 48 თვის განმავლობაში;

მექანიზაციის ქვეკომპონენტისთვის - 8%. სესხის პროცენტის თანადაფინანსება განხორციელდება 48 თვის განმავლობაში;

მრავალწლოვანი ბაღების ქვეკომპონენტისთვის - 11%. სესხის პროცენტის თანადაფინანსება განხორციელდება 66 თვის განმავლობაში;

სასურსათო მრეწველობის ქვეკომპონენტისთვის - 10%. სესხის პროცენტის თანადაფინანსება განხორციელდება 2 თვის განმავლობაში;

ლიზინგის შემთხვევაში - 12%. სესხის პროცენტის თანადაფინანსება განხორციელდება 48 თვის განმავლობაში;

ლიზინგი მექანიზაციისთვის - 9% სესხის პროცენტის თანადაფინანსება განხორციელდება 48 თვის განმავლობაში;

ლიზინგი სასურსათო მრეწველობისთვის - 12%. სესხის პროცენტის თანადაფინანსება განხორციელდება 24 თვის განმავლობაში.

ძირითადი საშუალებების სესხის აღების შემთხვევაში, მიწის ნაკვეთი უნდა იყოს ბენეფიციარის საკუთრებაში, ან რეგისტრირებულ სარგებლობაში,

არის ასაკი უნდა იყოს: მამაკაცების შემთხვევაში 18-დან 35 წლამდე, ქალბატონების შემთხვევაში - 18-დან 40 წლამდე.

სხვადასხვა მიმართულებით დაფინანსების მაქსიმალური მოცულობა 8000 ლარიდან 195 000 ლარამდეა. სხვადასხვა მიმართულებაში განსხვავდება პროექტის ჯამურ ღირებულებაში სააგენტოს მხრიდან დაფინანსების პროცენტული მაჩვენებელი და მერყეობს 40%-დან 80%-მდე. მაგალითად, რძის მონელებელი მწარმოების შემთხვევაში, თანადაფინანსების მოცულობა შეადგენს 8000 ლარს, მაგრამ არაუმეტეს პროექტის ღირებულების 60%-ისა. პროგრამის დასრულების თარიღია 2026 წლის 31 დეკემბერი. შესაძლებელია, დასრულდეს უფრო ადრე, თუ პროგრამის ბიუჯეტი ამოიწურა. ბიუჯეტი შეადგენს 12 000 000 ევროს.

შეღავათიანი აგროკრედიტის ვის შეუძლია ისარგებლოს?

პროექტში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ პირს, ინდივიდუალურ მენარმე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ იურიდიულ პირს (გარდა სახელმწიფოს ნილოზირი მონაწილეობით შემწილ სანარმოებისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს. პროექტის ფარგლებში სესხი-ლიზინგი გაიცემა როგორც სოფლის მეურნეობის პროდუქტების პირველადი ნარმოების, ასევე მათი გადამამუშავებისთვის დაფინანსებისათვის. დაფინანსება გათვალისწინებულია როგორც ძირითადი, ისე საბრუნავი საშუალებებისთვის.

ძირითადი საშუალებების კომპონენტში 20 000 ლარიდან 75 000 ლარის ჩათვლით, მექანიზაციის ქვეკომპონენტში 7 000 ლარიდან 75 000 ლარის ჩათვლით, ხოლო ერთნაირი კულტურების საბრუნავი საშუალებებისთვის 5 000 ლარიდან 100 000 ლარის ჩათვლით. ძირითადი საშუალებების კომპონენტში - 20 000 ლარიდან 1 500 000 ლარის ჩათვლით, მექანიზაციის ქვეკომპონენტში - 7 000 ლარიდან 1 500 000 ლარის ჩათვლით, სასურსათო მრეწველობის შემთხვევაში - 1 500 000 ლარიდან 5 000 000 ლარის ჩათვლით, ხოლო ერთნაირი კულტურების საბრუნავი საშუალებებისთვის - 5 000 ლარიდან 100 000 ლარის ჩათვლით.

საბრუნავი საშუალებები ერთნაირი კულტურებისთვის - უზრუნველყოფილ სესხებზე სესხის პროცენტი დაფინანსდება სრულად, ხოლო არაუზრუნველყოფილ სესხებზე 17%. სესხის პროცენტის თანადაფინანსება განხორციელდება 6 თვის განმავლობაში.

ძირითადი საშუალებებისთვის - 11%. სესხის პროცენტის თანადაფინანსება განხორციელდება 48 თვის განმავლობაში;

მექანიზაციის ქვეკომპონენტისთვის - 8%. სესხის პროცენტის თანადაფინანსება განხორციელდება 48 თვის განმავლობაში;

ლიზინგის შემთხვევაში - 12%. სესხის პროცენტის თანადაფინანსება განხორციელდება 48 თვის განმავლობაში;

ლიზინგი მექანიზაციისთვის - 9% სესხის პროცენტის თანადაფინანსება განხორციელდება 48 თვის განმავლობაში;

ლიზინგი სასურსათო მრეწველობისთვის - 12%. სესხის პროცენტის თანადაფინანსება განხორციელდება 24 თვის განმავლობაში.

სასურსათო მრეწველობის ქვეკომპონენტისთვის - 10%. სესხის პროცენტის თანადაფინანსება განხორციელდება 24 თვის განმავლობაში;

სასურსათო მრეწველობის ქვეკომპონენტისთვის - 10%. სესხის პროცენტის თანადაფინანსება განხორციელდება 24 თვის განმავლობაში;

სასურსათო მრეწველობის ქვეკომპონენტისთვის - 10%. სესხის პროცენტის თანადაფინანსება განხორციელდება 24 თვის განმავლობაში;

სასურსათო მრეწველობის ქვეკომპონენტისთვის - 10%. სესხის პროცენტის თანადაფინანსება განხორციელდება 24 თვის განმავლობაში;

სასურსათო მრეწველობის ქვეკომპონენტისთვის - 10%. სესხის პროცენტის თანადაფინანსება განხორციელდება 24 თვის განმავლობაში;

სასურსათო მრეწველობის ქვეკომპონენტისთვის - 10%. სესხის პროცენტის თანადაფინანსება განხორციელდება 24 თვის განმავლობაში;

სასურსათო მრეწველობის ქვეკომპონენტისთვის - 10%. სესხის პროცენტის თანადაფინანსება განხორციელდება 24 თვის განმავლობაში;

სასურსათო მრეწველობის ქვეკომპონენტისთვის - 10%. სესხის პროცენტის თანადაფინანსება განხორციელდება 24 თვის განმავლობაში;

სასურსათო მრეწველობის ქვეკომპონენტისთვის - 10%. სესხის პროცენტის თანადაფინანსება განხორციელდება 24 თვის განმავლობაში;

სასურსათო მრეწველობის ქვეკომპონენტისთვის - 10%. სესხის პროცენტის თანადაფინანსება განხორციელდება 24 თვის განმავლობაში;

სასურსათო მრეწველობის ქვეკომპონენტისთვის - 10%. სესხის პროცენტის თანადაფინანსება განხორციელდება 24 თვის განმავლობაში;

სასურსათო მრეწველობის ქვეკომპონენტისთვის - 10%. სესხის პროცენტის თანადაფინანსება განხორციელდება 24 თვის განმავლობაში;

სასურსათო მრეწველობის ქვეკომპონენტისთვის - 10%. სესხის პროცენტის თანადაფინანსება განხორციელდება 24 თვის განმავლობაში;

სასურსათო მრეწველობის ქვეკომპონენტისთვის - 10%. სესხის პროცენტის თანადაფინანსება განხორციელდება 24 თვის განმავლობაში;

სასურსათო მრეწველობის ქვეკომპონენტისთვის - 10%. სესხის პროცენტის თანადაფინანსება განხორციელდება 24 თვის განმავლობაში;

სასურსათო მრეწველობის ქვეკომპონენტისთვის - 10%. სესხის პროცენტის თანადაფინანსება განხორციელდება 24 თვის განმავლობაში;

ყვარლის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობა საოცარი ტემპით ვითარდება, მთავრობის ანტიკრიზისული პროგრამა კიდევ უფრო ხელს შეუწყობს ღარბის აღმავლობას



დასაწყისი მე-15 გვ. -ზე

ლოზინგის შემთხვევაში – 12%. სესხის პროცენტის თანადაფინანსება განხორციელდება 48 თვის განმავლობაში; ლიზინგი მექანიზაციისთვის – 9%. სესხის პროცენტის თანადაფინანსება განხორციელდება 48 თვის განმავლობაში;

ლიზინგი სასურსათო მრეწველობისთვის – 12%. სესხის პროცენტის თანადაფინანსება განხორციელდება 24 თვის განმავლობაში.

ძირითადი საშუალებების სესხის აღების შემთხვევაში, მინის ნაკვეთი უნდა იყოს ბენეფიციარის საკუთრებაში ან რეგისტრირებულ სარგებლობაში, ხოლო ერთნაირი კულტურების საბრუნავი საშუალებებისთვის სესხის აღების შემთხვევაში, არ არის საავალდებულო რეგისტრირებული საკუთრება ან სარგებლობა.

შეღავათიანი აგროკრედიტი და უშვებელია უძრავი ქონების შექმნა.

ყვარლის მუნიციპალიტეტში წლებია მიმდინარეობს მნიშვნელოვანი რეფორმები სოფლის მეურნეობაში და შედეგად თუ არის სახარბილო, კერძოდ: რამდენი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი ფუნქციონირებს და რომელ დარგებში?

ყვარლის მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი რეფორმები გატარებული სოფლის მეურნეობის კუთხით და სახეზეა მნიშვნელოვანი შედეგები: შექმნილია 25 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი მუნიციპალიტეტის წამყვანი დარგების, მეფუტკრეობის, მევენახეობის და მეცხოველეობის მიმართულებით, რომლებიც მონაწილეობას იღებენ კოოპერატივების სახელმწიფო პროგრამებში და დიდ სარგებელს იღებენ სახელმწიფოსგან.

აქაიპ სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს, კოოპერატივების ხელშეწყობის მიზნით ახორციელებს შემდეგ პროგრამებს:

მევენახეობის კოოპერატივების სახელმწიფო ხელშეწყობის პროგრამა;

რძის მწარმოებელი კოოპერატივების სახელმწიფო ხელშეწყობის პროგრამა;

მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრების რაციონალურად გამოყენების სახელმწიფო პროგრამა, რომლის ფარგლებში გათვალისწინებულია დუშეთის, ახალქალაქის და დმანისის მუნიციპალიტეტებში აშენებული-სასაშენებელი რძის გადამამუშავებელი საწარმოების კოოპერატივებისათვის თანამონაწილეობის პრინციპით გადაცემა;

თაფლის ერთიანი საწარმოო უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამა. პროგრამა ითვალისწინებს კოოპერატიული სისტემის ფარგლებში მევენახე ფერმერების მიერ ყურძნის ნაშობების

ზრდის სტიმულირებას და ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოს ჩამოყალიბებას.

ყურძნის მწარმოებელი კოოპერატივებისათვის არანაკლებ 100 ტონა ყურძნის გადამამუშავებისათვის და ღვინის წარმოებისათვის შესაბამისი აღჭურვილობის შექმნის 90%-იან თანადაფინანსებას არა უმეტეს 500 ათასი ლარის ერთ კოოპერატივზე.

რძის მწარმოებელი კოოპერატივების სახელმწიფო ხელშეწყობის პროგრამა ითვალისწინებს კოოპერაციის ფარგლებში რძის მიმღებ გადამამუშავებელი საწარმოს ჩამოყალიბებას და რძის წარმოების წარმოებას.

რძის მწარმოებელი კოოპერატივებისათვის რძის გადამამუშავებისათვის საჭირო აღჭურვილობის შექმნის სახელმწიფო თანადაფინანსება შეადგენს 90%-იან თანადაფინანსებას არა უმეტეს 150 ათასი ლარის ერთ კოოპერატივზე.

თაფლის ერთნაირი საწარმოო უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამა ითვალისწინებს გორის (სოფ. ბერბუკი) მუნიციპალიტეტში აშენებული და აღჭურვილი თაფლის გადამამუშავებელი (დლიორად 2 ტ. წარმადობის) საწარმოს კონკურსის წესით შერჩეული კოოპერატივისათვის გადაცემას კოოპერატივების მხრიდან 30%-იანი თანადაფინანსებით 8 წლის განმავლობაში; პროგრამაში მონაწილეობის უფლება აქვთ იმ სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივებს, რომლებიც პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად განაცხადის წარდგენის მომენტში აკმაყოფილებენ შემდეგ ძირითად პირობებს:

კოოპერატივის მუშაობა არაა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების წევრები, რომელთა საერთო რაოდენობა შეადგენს არანაკლებ 35 სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივს;

კოოპერატივის ანდა მის მუშაობას საკუთრებაში გააჩნიათ ჯამურად არანაკლებ 7000 სკისა, რომელიც აღრიცხულია სააგენტოს მიერ;

კოოპერატივის თითოეულ მუშაიეს საკუთრებაში აქვს სააგენტოს მიერ აღრიცხული არანაკლებ 200 სკისა;

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივში ჩამოყალიბებულია სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც შედგება არანაკლებ 5 (ხუთი) წევრისაგან;

კოოპერატივის გამგეობა შედგება არანაკლებ 3 (სამი) წევრისაგან, რომელთაგანაც მინიმუმ ორი წარმოადგენს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს.

ყვარლის მუნიციპალიტეტის 32 კოოპერატივმა ისარგებლა კოოპერატივების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამებით, რომელშიც გაერთიანებულია 500-მდე ფერმერი. მნიშვნელოვანი დახ-

მარება მიიღეს მეფუტკრე კოოპერატივებმა სკებისა და თაფლის სანურის, ასევე თაფლის შესანახი ჭურჭლის სახით. დაფინანსდა 11 მეფუტკრის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, ხოლო მევენახეობის პროგრამით დაფინანსდა 14 კოოპერატივი, რომელთაც თანადაფინანსებით შექმნეს მცირე ღვინის მარნები.

აგროდაზღვევით მოსარგებლეთა რაოდენობა იზრდება თუ კლებულობს?

აგროდაზღვევის ბენეფიციარი სესაძლებელია იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ფლობს ან სარგებლობს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთით. დაზღვევა ან მინის მესაკუთრე რეგისტრირებული უნდა იყოს ფერმერთა, ფერმათა რეესტრში. ფიზიკური პირის შემთხვევაში, ერთ ფერმერს შეუძლია დაზღვიოს ყველა კულტურა, მაქსიმუმ 5 ჰექტარზე, ხოლო მარცვლოვანი კულტურების შემთხვევაში, მაქსიმუმ 30 ჰექტარზე მოყვანილი მოსავალი. კოოპერატივის შემთხვევაში, ფართობის შეზღუდვა არ არის დადგენილი. თანადაფინანსება არ უნდა სცდებოდეს 50 000 ლარს.

დაფინანსების მიღებას შეძლებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მინის ნაკვეთი რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

შესაძლებელია დაიზღვეს როგორც საკუთრებაში, ისე სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთი.

აგროდაზღვევის პროგრამაში შესაძლებელია დაიზღვეს შემდეგი სასოფლო-სამეურნეო კულტურები: ხორბალი, ქერი, სიმინდი, შვრია, ჭვავი, ლობიო, მზესუმზირა, სოიო, მინის თხილი, ბადრიჯანი, წიწაკა, კომბოსტო პომიდორი, კიტრი, კარტოფილი, ხახვი, ნიორი, სტაფილო, ჭარხალი, ბროკოლი, ყვავილოვანი კომბოსტო, მწვანელი (არასასათბურე), ცერეცო (არასასათბურე), საზამთრო, ნესვი, გოგრა, ვაზი თეთრი, ვაზი წითელი, ვაშლი, მსხალი, კომში, ბალი, ალუბალი, ატამი, გარგარი, ქლიავი, ბრონეული, ალუწა, ტყემალი, მარწყვი, ყოლი, მოცხარი, მოცვი, მაცვალი, თხილი, კაკალი, ნუში, კივი, სუბტროპიკული ხურმა, კარალიკო, ფეიხოა, მანდარინი და ლიმონი.

სახელმწიფოს თანადაფინანსება ყველა კულტურაზე შეადგენს პოლისის ღირებულების 70%-ს, ხოლო ვაზზე – 50%-ს.

შეგიძლიათ დაზღვიოთ მოსავალი სეტყვისგან, წყალდიდობისგან, ქარიშხლისგან. სამუშაოდ მოყვანილი მხოლოდ ციტრუსოვანი კულტურების დაზღვევა შესაძლებელია.

აგროდაზღვევით მოსარგებლეთა რაოდენობა ყვარლის მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად მნიშვნელოვნად მატულობს. 2018 წელს დაზღვეულმა ფართობებმა შეადგინა 2000 ჰა, ბენეფიციართა რაოდენობა იყო – 1800, 2019 წელს – 2200 ჰა, 2000 ბენეფიციარი.

გვარაუდობთ, რომ 2020 წელს მნიშვნელოვნად გაიზრდება როგორც დაზღვეული ფართობები, ისე ბენეფიციართა რაოდენობა.

და ბოლოს ვენახზე რას გვეტყვი, ხომ არ შეჩერდა მისი გაშენების ტემპი?

2012 წლის შემდეგ ყვარლის მუნიციპალიტეტში ვენახების რაოდენობა თითქმის გაორმაგდა. მიმდინარე წელსაც გაშენდა 500 ჰა-მდე ვენახი, მათ შორის 450 ჰა-მდე საფერავი. ვენახები გაშენდა როგორც ფერმერთა პირადი ინვესტიციებით, ასევე სახელმწიფო პროგრამებით: აგროკრედიტი, „დანერგე მომავალი“, ახალგაზრდა მეწარმე.

გმადლობთ ბატონო მამუკა, უაღრესად საინტერესო საუბრისათვის.

ესაუბრა ალექსანდრე გიგილოვიძლი



სვილენკს კორონავირუსის გავრცელების შეჩერების უნარი აქვს

საუტკმპტონის უნივერსიტეტის უფროსი მიკრობიოლოგის უილიამ კივილი მოგვიხატებს, რომ კარების, საზოგადოებრივი ტრანსპორტის ყველა სახელური, სუპერმარკეტების ურიკები და სპორტული დარბაზების ტრენაჟორები სპილენძით დაიფაროს. ამ ლითონს გააჩნია გამობატული გამაუფრებელი მოქმედება. შედარებისთვის: ფოლადზე და პლასტმასზე კორონავირუსი სამ დღეს ცოცხლობს, ხოლო სპილენძზე ოთხ საათში ნადგურდება.

ცნობილია, რომ თუ ინფიცირებული რაიმე საგანს შეეხება, ობიექტი ვირუსის გამავრცელებლად იქცევა. შემდეგი, ვინც შეეხება აღნიშნულ საგანს, და შემდეგ ხელს მოიკიდებს სახეზე, დასნებოვნების რისკის ქვეშაა, რადგან

ნაც ვირუსი ადვილად აღწევს სხეულში თვალის, ცხვირისა და პირის საშუალებით. როდესაც კორონავირუსი სპილენძზე ხვდება, ლითონის იონები უტყვენ ვირუსის ლიპიდურ მემბრანას – პათოგენის დამცავ ცხიმოვან გარსს. შემდეგ სპილენძი აღწევს ვირუსში და ანადგურებს მის დნმ-ს.

საავადმყოფოს პალატების ჰაერში, სადაც ინფიცირებულები იყვნენ მოთავსებულები, ნებრასკას უნივერსიტეტის სპეციალისტებმა აღმოაჩინეს, ვირუსული ნაწილაკების მაღალი დონე, რომელიც გარკვეული პერიოდი ნარჩუნდებოდა. უფრო მეტიც, კორონავირუსის კვალს ასევე აღმოჩენილი იქნა პალატებს გარეთ, საავადმყოფოს კორიდორებში.

mkurnali. ge

რა საუზო დაავადებაში შეიძლება გამოიწვიოს ნიღბაბა და ხელთათმანება

COVID-19-ის ვირუსი ზედაპირზე 24-72 საათი ძლებს. მრავალმა ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ ეს არა ცოცხალი ვირუსი, არამედ მისი ცხოველმომქმედების კვალაა. გენომი, თავად ვირუსი ამ დროს სიცოცხლის უნარს მოკლებულია. მარტივი მონაცემების ვირუსებს, როგორცაა პოლიომიელიტი, გარემოში ძალიან დიდხანს შეიძლება იმყოფებოდეს, ხოლო რთული მონაცემების ვირუსები, გარემოში დიდ ხანს ვერ ძლებენ. ამიტომ ხელთათმანების ტარება არა თუ უსაფრთხო, მავნებელიცაა. აღნიშნული პრაქტიკა სოკოვანი ინფექციის განვითარების საშიშროებას ქმნის. მათზე ჩვენ ვაგრძელებთ სოკოებს, ბაქტერიებს, ალერგენებს და ყველაფერი ეს მოგაქვს სახისკენ. ამასთან ნებისმიერი ხელთათმანი აფუჭებს კანს. კანი ჩვენი დამცველობითი ბარიერია, თანდაყოლილი იმუნური პასუხის ნაწილი. კანი ხელთათმანზე უკეთ გვიცავს. ხელთათმანების ტარება, განსაკუთრებით სიცხეში იქნება ძალიან ძნელი. რაც შეეხება ნიღბისტიკებს, ისინი ასევე აზიანებენ კანს და ანადგურებენ სასარგებლო მიკროფლორას.

პირადად ქუჩაში ზედმეტია, თუ იქნება დაცული სოციალური დისტანცია. სამედიცინო ნიღბი უნდა გვექეთოს ხალხის შეკრების ადგილებში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში, მაღაზიებში. ნიღბი 2 საათის შემდეგ დაცვის საშუალებადან ინფექციის გამავრცელებლად იქცევა.

ჰაერში, გარდა კორონავირუსისა, უამრავი სხვა ინფექცია ტრიალებს – ბაქტერიები, სოკოები – რომლებიც ნიღბზე შეიძლება დაიბეჭოს. ბევრი არც ცვლის ნიღბს და ყოველთვის ერთი და იგივე პირადით სარგებლობს. შესაძლებელია ნიღბის მუდმივი ტარებით გაიზარდოს ისეთი დაავადებების რიცხვი, როგორცაა: ფილტვების ცმფიზემა, ბრონქული ასთმა, სოკოვანი, ალერგიული, ბაქტერიული დაავადებები.

როგორც ექსპერტები აცხადებენ, ქალაქის ქუჩების სადენიფიციკო ხსნარებით დამუშავებისას, გზადით მათ მიმართ მდგრად ბაქტერიებს. ბაქტერიები მდგრადობას იმუშავებენ ანტიბიოტიკებისადმი, ისინი ზუსტად ასევე გამოიმუშავებენ მდგრადობას დეზინფექტანტების მიმართაც.

mkurnali. ge



გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. დამფუძნებელია ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი“. გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად ავებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დირექტორი
ალექსანდრე გიგილოვიძლი
მონადგელი
ნუგზარ ღონიავიძლი

პასუხისმგებელი მდივანი
ია გიგიავიძლი
კორესპონდენტი
დალი ტატულიაშვილი

რედაქციის მისამართი:
ქ.ყვარალი, კუდიბორის №2
საკონტაქტო ტელეფონი:
22-01-86